[illegible]

# [illegible]

# [illegible]

გამომცემლობა
«ႱႠႡႹႭႧႠ ႱႠႵႠႰႧႥႤႪႭ»
თბილისი : 1986

84 ფრ
მ 854

FRANÇOIS MAURIAC
Thérèse Desqueyroux
Editions du Progrès
Moscou, 1975

„ტერეზა დეკეირუ“ ოჯახურ რომანთა ჟანრს განეკუთვნება, მაგრამ მორიაკი მარტო მემატიანე როდია, უჩვეულო სიმართლით რომ ასახავს ბურჟუაზიული საზოგადოების გახრწნის სურათს. მისი ნაწარმოები სავსეა დრამატული კოლიზიებით, მწერალი უდიდესი ოსტატობით გვიხატავს თავისი გმირების სიხარბესა და შეზღუდულობას, მათ სულიერ მისწრაფებებს, თვითონაც ბოლომდე რომ არა აქვთ გაცნობიერებული.

ფრანგულიდან თარგმნა ციცინო მესტიაშვილმა
Traduit du français par TSITSINO MESTIACHVILI

$M \frac{4703040000\ 273}{M\ 601\ (08)\ 86}$ 329 — 86

© ქართული თარგმანი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1986

> უფალო, შეიბრალე შეშლილნი! ჰოი შემოქმედო! განა იქნება ურჩხულებად შერაცხო ისინი... შენ ერთადერთმა იცი რად იშვნენ, რისგან არიან შეთხზულნი და რა გზით შეიძლება ბედს განერიდონ...
>
> **შარლ ბოდლერი**

ტერეზა, ბევრნი დაიწყებენ მტკიცებას, რომ შენ ჩემი ფანტაზიის ნაყოფი ხარ. მაგრამ მე ხომ ვიცი, რომ არსებობ. რამდენი წელია გხვდები, თვალყურს გადევნებ, ხშირად გაჩერებ გზაზე და სახიდან ნიღაბს გხდი.

მახსენდება, ჯერ კიდევ ჩემი ჭაბუკობის ჟამს, სასამართლოს შეხუთულ დარბაზში შევნიშნე შენი პატარა, გაფითრებული სახე; მორთულ-მოკაზმული ქალბატონები უფრო განრისხებით შემოგცქეროდნენ, ვიდრე ისინი, ვინც გასამართლებდნენ.

მოგვიანებით სოფლური სახლის სასტუმრო ოთახში ყმაწვილი ქალის გულჩათხრობილ-დაბნეული სახის გამომეტყველებით მომევლინე, რომელსაც აღშფოთებდა მოხუცი ნათესავების მზრუნველობა და გულუბრყვილო მეუღლის ლაპარაკი:

— ნეტავი რა დაემართა? რა სურს? აკი არაფერს ვაკლებთ, მისთვის გვინდა ყველაფერი.

მას აქეთ მრავალჯერ მალულად ვჭვრეტდი მაღალსა და ლამაზ შუბლთან მიტანილ შენს ცოტათი დიდრონ ხელებს. მრავალგზის შემიმჩნევიხარ ოჯახის წევრებით გარშემორტყმული, ძუ მგელივით აქეთ-იქით რომ აწყდებოდი; ბოროტ და ნაღვლიან მზერას ხანდახან ჩემზე შეაჩერებდი, თითქოს რაღაცას მეკითხებოდი.

ხალხს გაუკვირდება, რატომ გამოვიყვანე ჩემ მიერ შექმნილი არსება დანარჩენ გმირებზე უფრო საძაგელი.

ნუთუ ვერასოდეს მოვახერხებ რაიმე ვთქვა სათნოებით სავსე ადამიანებზე, სახეზე რომ აწერიათ, რაც გულში უძევთ? მაგრამ ასეთ

ხალხს არა შეემთხვევა ხოლმე. გულჩათხრობილთა სალმობას კი, რომელთა ცოდვილი სულებიც ხორცის ჭუჭყს შეხიზვნია, მე კარგად ვიცნობ.

მე მსურდა, ტერეზა, ტანჯვას ღმერთთან დაეახლოებინე, რათა წმინდა ლოკუსტას სახელის ტარების ღირსი ყოფილიყავ. მაგრამ ისინი, ვისაც სწამთ, რომ შემცოდე სულებს მონანიებით ძალუძთ ცოდვათა გამოსყიდვა, მკრეხელობას შემწამებდნენ.

ასეა თუ ისე, ქუჩაში, სადაც გტოვებ, ვიმედოვნებ, მარტო არ იქნები.

## 1

ვექილმა კარი გააღო. სასამართლოს შენობის დერეფანში ქუჩიდან ნოტიო ჰაერი შემოიჭრა. ტერეზა დეკეირუმ იგრძნო სახეზე ნისლის შეხება და ხარბად ჩაისუნთქა. ეშინოდა, გასვლისას ყურება არ დამიწყონო. საყელოაწეული მამაკაცი ჭადრის ქვეშ მდგარი სკამიდან წამოდგა. ტერეზამ იცნო მამა. ვექილმა გასძახა.

— ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო საქმე მოსპობილია! — შემდეგ ისევ ტერეზას მიუბრუნდა: — შეგიძლიათ გასვიდეთ, აქ არავინაა.

ქალი სველ საფეხურებზე დაეშვა. პატარა მოედანი მართლაც უკაცრიელი ჩანდა. მამა არ მოხვევია, ერთხელაც არ შეუხედავს. ვექილ დიუროს მიუბრუნდა და გამოკითხვა დაუწყო. ის კი ისე ხმადაბლა პასუხობდა, თითქოს ეშინოდა, არავინ გვისმენდესო. ტერეზას მათი საუბარი გაურკვევლად, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ესმოდა:

— ხვალ სასამართლოს დადგენილების ასლს მივიღებ...

— რაო, რაიმე უსიამოვნება ხომ არ არის მოსალოდნელი?

— არავითარი. როგორც იტყვიან: თავი ქუდში გვაქვს.

— ჩემი სიძის ჩვენებამ შეცვალა ვითარება, არა?

— შეცვალა.... შეცვალა... სინამდვილეს ასეთ შემთხვევაში ვერასოდეს გაიგებ.

— აკი თავად აღიარა, არასოდეს დამითვლია წვეთები, როდესაც წამალს ვიღებდიო...

— კი მაგრამ, ლაროკ, ხომ იცით, ამგვარ შემთხვევებში მსხვერპლის ჩვენებას...

გაისმა ტერეზას ხმა:

— არავითარი მსხვერპლი არ ყოფილა!

— ქალბატონო, მე მხოლოდ მინდოდა მეთქვა: დაუდევრობის მსხვერპლი-მეთქი.

ერთხანს ორივე მამაკაცმა მზერა ახალგაზრდა ქალის მანტოში გახვეულ უძრავ სხეულს მიაპყრო; მის გაცრეცილ სახეს მიაჩერდნენ,

რომელზეც არაფრის ამოკითხვა არ შეიძლებოდა. ქალმა იკითხა, ეტლი სად არისო. ეტლი თურმე ბიუღოს გზაზე იცდიდა, ქალაქგარეთ, რომ არავის ყურადღება არ მიექცია.

მოედანი გადაჭრეს, წვიმისაგან დასველებულ სკამებს აქა-იქ ჭადრის ფოთლები მიკვროდა. კიდევ კარგი, ღლეებმა საგრძნობლად იკლო და ადრე ბინდდებოდა. ესეც არ იყოს, ბიუღოს რაიონში გასვლა ყველაზე უკაცრიელი ქუჩით შეიძლებოდა. ორივე მამაკაცი ისე იყო საუბარში გართული, რომ ვერც კი ამჩნევდა მათ შუა მიმავალ ტერეზას. ზოგჯერ მათ შორის მიმავალი ქალის სხეული თუ შეუშლიდათ ერთმანეთისკენ გადახრას, უნებურად იდაყვს გაჰკრავდნენ. ბოლოს ქალი სულაც ჩამორჩა რამდენიმე ნაბიჯით, მარცხენა ხელიდან ხელთათმანი წაიძრო და ძველი კედლების ქვებს შორის ამოსული ხავსის წიწკნა დაიწყო. გვერდით ხან მეეტლე ჩაუქროლებდა, ხან ველოსიპედზე მჯდარი მუშა. იმის შიშით, ტალახმა არ დამსვაროსო, კედელს ვაეკვრებოდა ხოლმე. ჩამოწოლილმა წყვდიადმა სულ მალე დაფარა ცნობისმოყვარეთა და გამვლელთა თვალთაგან. ახლა იმის შიში აღარ ჰქონდა, რომ იცნობდნენ. ქალი ახალი, აქამდე უცნობი გრძნობით ყნოსავდა ნისლისა და პურის საცხობიდან გამოსულ, პატარა ქალაქისათვის ჩვეულ სურნელებას. ეჩვენებოდა, რომ ეს სხვაგვარი ცხოვრების სურნელება იყო, რომელიც დღეს სასამართლო დარბაზში ხელმეორედ აჩუქეს. სველი პალახიდან თითქოს მშვიდად მძინარე დედამიწის ფშვინვა ისმოდა. ტერეზა ცდილობდა არაფერზე არ ეფიქრა, არ გაეგონა რას ლაპარაკობდა მშვიდდივით ფეხებმოღუნული პატარა კაცუნა — მამამისი. მას შემდეგ, რაც ტერეზა სასამართლოს შენობიდან გამოვიდა, ბატონ ლაროკს სიტყვაც არ უთქვამს ქალიშვილისათვის. შეიძლება ტერეზა სულაც დავარდნილიყო გზის პირას, მაგრამ ვერც ის და ვერც დიურო ამას ვერ შენიშნავდნენ. ახლა ისინი ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, აღარ ეშინოდათ, ვინმე გაიგონებსო.

— დიახ, შესანიშნავი იყო ბატონ დეკეირუს ჩვენება... მაგიამ რეცეპტის ამბავი... საერთოდ, ბნელი საქმეა... ყოველივე ექიმ პედმეის ბრალია, მან შეიტანა საჩივარი.

— მაგრამ აკი უკანვე წაიღო.

— ასე კი მოიქცა, მაგრამ, მაინც... მერე რა უცნაური ახსნა-განმარტება მოეფიქრებინა ტერეზას. უცნობმა კაცმა შემომაჩეჩა რეცეპტიო...

ტერეზა დაღლილობას კი არა, იმ სიტყვებს გაურბოდა, აგერ უკვე რამდენიმე კვირის მანძილზე რომ ესმოდა გამუდმებით, ამიტომ ფეხი

შეანეღა, მაგრამ ამაოდ, მამის გამყინავი ხმა მაინც ჩაესმოდა ყურში.

— სულ იმას ჩავჩიჩინებდი: უბედურო, ამ სისულელეს ნუ ამბობ, რაიმე სხვა მოიგონე-მეთქი, სხვა, სხვა რამ...

სიმართლე უნდა ითქვას, იგი მართლაც ხშირად ეუბნებოდა ამას. მაგრამ ყოველივე ხომ კარგად დამთავრდა, მაშ, რაღა აწუხებს? სახელიც არ შებღალვია. არავის აღარ გაახსენდება ეს ამბავი და აღარც ხელი შეეშლება სენატში არჩევნების დროს. ასე ფიქრობდა ტერეზა და არ უნდოდა მიახლოებოდა იმ ორ მამაკაცს, საუბრით გატაცებულნი შუა ქუჩაში რომ გაჩერებულიყვნენ და ხელებს იქნევდნენ.

— მერწმუნეთ, დაროკ, დაასწარით და შეტევაზე გადადით. ჯობს „მთესველის" საკვირაო ნომერში მოათავსოთ შენიშვნა თუნდაც ამგვარი სათაურით: „ბინძური ცილისწამება". იქნებ გირჩევნიათ ეს მე ვიკისრო?

— არა, მეგობარო, ასე არ შეიძლება. აშკარად ჩანს, ძიებას მეტად ნაჩქარევი ხასიათი ჰქონდა, მაგალითად, რეცეპტზე ხელმოწერის დასადგენად ექსპერტსაც კი არავინ უხმო. უნდა ვიყუჩოთ, მივჩქმალოთ და მივაყურისძიროთ ეს საქმე, აი, ერთადერთი გამოსავალი. ეს აუცილებელია ოჯახის ინტერესებისათვის... დიახ, აუცილებელია, ეს ამბავი დავიწყებას მიეცეს.

ტერეზამ ვერ გაიგო დიუროს პასუხი, რადგან მათ ფეხს აუჩქარეს. ქალი კვლავ ხარბად ისუნთქავდა ღამის ნოტიო ჰაერს იმ ადამიანივით, რომელიც დახრჩობას გადაურჩა. უცებ უცნობი ბებია გაახსენდა, დედის დედა, ჟიული ბელადი. ამაოდ დაუწყებდით ძებნას მის ფოტოსურათს, ან დაგეროტიპს, დაროკებთან იქნებოდა ეს თუ დეკეირუებთან. ამ ქალზე მარტოოდენ ის იცოდნენ, რომ ერთ მშვენიერ დღეს სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა. ტერეზამ წარმოიდგინა, შეიძლება მეც ასევე დავიკარგო და უგზო-უკვლოდ გავქრე ამ ცხოვრებიდანო. ოდესმე მის ქალიშვილს, მის პატარა მარის, აუკრძალავენ საოჯახო ალბომში იმ ადამიანის სურათის მოძებნას, ვინც იგი ამქვეყნად მოავლინა... მარის კი ახლა ალბათ თავის ოთახში სძინავს, იქ, არჟელუზში, სადაც ამაღამ გვიან ჩავა დედამისი. ახალგაზრდა ქალს თითქოს ღამის წყვდიადში შემოესმა მძინარე ბავშვის სუნთქვა. თითქოს კიდევაც დაიხარა და ტუჩებით მოწყურებულივით ხარბად დაუწყო ძებნა ბავშვის სახეს, ფიქრით რომ წარმოესახა.

ღრმა თხრილის ნაპირას მდგარი, სახურავგადმოწეული ეტლის ფარნები ცხენების გამხდარ გავებს ანათებდნენ. გზის ორივე მხარეს კედლებივით ალმართულიყო ჩაბნელებული ტყე. ფიჭვებს ერთი ფერდობი-

ჯან მეორემდე გადაეხლართათ ტოტები და თაღი შეექმნათ, რომლის ქვეშაც იდუმალებით მოცული გზა მიიმართებოდა. მხოლოდ ზეციდან ჩამომავალი მკრთალი სინათლე ატანდა ხეების ტოტებში ვიწრო ზოლად. მეეტლე ხარბად უცქეროდა ტერეზას. როცა ქალმა ჰკითხა, შევძლებთ თუ არა ნიზანის სადგურში დროით მისვლას, რომ უკანასკნელ მატარებელს მივუსწროთო, მან დაამშვიდა ქალი, დრო ჯერ კიდევ ბევრიაო.

— დღეს უკანასკნელად გაირჯებით ჩემი გულისათვის, გარდერ!

— ქალბატონს აღარ დასჭირდება აქ ჩამოსვლა?

ტერეზამ თავი გაიქნია. მეეტლე კვლავ თვალმოუშორებლად მიშტერებოდა. ღმერთო! ნუთუ ამიერიდან მთელი სიცოცხლე ყველა ამ მამაკაცივით დაუწყებს ყურებას?

— აბა, რას იტყვი, კმაყოფილი ხარ?

როგორც იქნა, აღირსა მამამ ქალიშვილს ყურადღება. ტერეზამ წუთიერად მიაპყრო თვალი მის ზაფრანისფერ, უხეშ, ჭაღარაბალნიან სახეს, რომელსაც ფარნის შუქი სცემდა და ჩუმად უთხრა:

— რამდენი ვეწამე... ღონე აღარა მაქვს... — და გაჩუმდა.

ან კი ამის თქმა რა საჭირო იყო: მამა ყურს არ უგდებდა, თითქოს ვერც ამჩნევდა მის იქ ყოფნას. სულ არ ენაღვლება ტერეზას განცდები! მხოლოდ ერთი რამ აწუხებს: სენატის კარი დაეხშო... ყოველივე ამის მიზეზი კი ღვიძლი შვილი აღმოჩნდა (ყველა ქალი ან ისტერიულია, ან იდიოტი). კიდევ კარგი, ტერეზა აღარ ატარებს ლაროკების გვარს, იგი დეკეირუა. როგორც კი თავი დააღწია სასამართლოსა და მსაჯულებს, თავისუფლად ამოისუნთქა. ახლა, როდესაც ყოველივე დამთავრდა, როგორ შეუშალოს ხელი მოწინააღმდეგეებს, რომ ეს ამბავი არ გააზვიადონ და არ გაახმაურონ? ხვალ პრეფექტს ნახავს... მადლობა ღმერთს, „ლანდ კონსერვატრისის" რედაქტორი, მისი მთავარი მოქიშპე, ახლა აღარაა საშიში: პატარა გოგონების ის ამბავი ძვირი დაუჯდა... ამ ფიქრებში გართულმა მამამ ტერეზას ხელი მოჰკიდა:

— ჩქარა ჩაჯექი, წასვლის დროა.

განშორებისას ვექილმა ცბიერად, ან იქნებ სულაც იმიტომ, რომ რაიმე ეთქვა, სანამ ტერეზა წავიდოდა, ჰკითხა, ბატონ ბერნარ დეკეირუსთან დაბრუნებას ხომ არ აპირებო.

— რაღა თქმა უნდა, ჩემი მეუღლე დღეს მელოდება... — მიუგო მან.

ახლაღა გაახსენდა, რომ რამდენიმე საათის შემდეგ ხელახლა გადააბიჯებდა იმ ოთახის კარის ზღურბლს, სადაც ჯერ ისევ შეუძლოდ

შყოფი ქმარი იწვა და ელოდა. კვლავ მიჰყვება დღეს დღე, ღამეს ღამე ამ კაცთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრებაში...

მას შემდეგ, რაც მისი საქმის გამოძიება დაიწყო, იგი მამასთან ცხოვრობდა ქალაქგარეთ და ხშირად უხდებოდა არჟელუზში ჩასვლა დღევანდელივით. მაგრამ მაშინ იმიტომ ჩადიოდა, რომ სასამართლოს მსვლელობის ყოველი წვრილმანი ცნობები გადაეცა მეუღლისათვის. ყოველთვის, როდესაც ტერეზა ეტლში ჯდებოდა, დიუროს დარიგებასა და მითითებებს უსმენდა, იმახსოვრებდა, რა პასუხი უნდა გაეცა ბატონ დეკეირუს, როცა კვლავ დაჰკითხავდნენ. დღევანდელ დღემდე ქალს არ განუცდია არც სევდა, არც წუხილი და არც მღელვარება იმის მოლოდინში, რომ ქმარს უნდა შეხვედროდა. როდესაც მარტონი რჩებოდნენ, მათი გონება მხოლოდ იმით იყო შეპყრობილი, სასამართლოზე რისი თქმა იქნებოდა მიზანშეწონილი და რას უნდა განრიდებოდნენ. ის, რაც სინამდვილეში მოხდა, სადღაც ღრმად იყო დაფარული. ცოლ-ქმარი ასეთი თანხმობით უწინ არასოდეს ყოფილა, ისინი თავდაცვის ინსტინქტმა დააკავშირა. ორივეს ერთადერთი საფიქრალი მათი პატარა ქალიშვილი მარი იყო. ორივემ ერთად შეთხზა უბრალო და ლოგიკური ამბავი, რაც მართლმსაჯულებას ტერეზას უდანაშაულობას დაუმტკიცებდა. იმ ხნის განმავლობაში ტერეზა მუდამ იმ ეტლით დადიოდა, რომელიც ამ საღამოს უცდიდა, მუდამ ისწრაფოდა, რაც შეიძლება მალე დაბრუნებულიყო არჟელუზში, თავის სახლში, რომ ყოველი ჩვენება დაწვრილებით ეამბნა ბერნარისათვის. დღეს კი.. დღეს იმას ნატრობდა, ნეტავი გზას დასასრული არა ჰქონდესო. ბერნარის ჩვენებაზე ფიქრობდა და უნდოდა გამოეცნო, რა განიცადა მაშინ, როცა უშიშრად განუცხადა გამომძიებელს, ერთ საღამოს ჩემმა მეუღლემ მითხრა, ეს რეცეპტი ვიღაც მამაკაცმა შემომაჩეჩა და მთხოვა, აფთიაქში წამალი შემიკვეთე, აფთიაქარს ვერ დავენახვები, დიდი ვალი მაქვს მისიო... ბატონი დეკეირუ იმასაც კი ირწმუნებოდა, მახსოვს, მაშინ როგორ დავტუქსე ცოლი ამგვარი გაუფრთხილებლობის გამოო.

ახლა, როდესაც კოშმარმა გადაიარა, რალაზე ისაუბრებენ ბერნარი და ტერეზა დღეს საღამოს? ქალმა გონების თვალით წარმოიდგინა განცალკევებული სახლი, სადაც ქმარი უცდიდა. ფილებით მოპირკეთებულიატაკიანი ვრცელი ოთახის შუაგულში საწოლია, დაბალ მაგიდაზე, წამლის შუშებსა და ჟურნალებს შორის, ლამპა დგას...

ეზოში შესული ეტლის ხმაურზე ძაღლები გაიღვიძებენ, დაყეფენ და ისევ მიყუჩდებიან, ირგვლივ კვლავ იმ საშინელი ღამეების მსგავსი საზეიმო სიჩუმე გამეფდება, როდესაც იგი ბერნარის გულისრევის მტანჯველი შეტევების მომსწრე იყო... ტერეზა ცდილობდა წარმოედგინა როგორ გაუყრილნენ თვალს თვალში შეხვედრისას, როგორ გადევდნენ ღამეს, როგორი დილა გაუთენდებოდათ, ან კი როგორ იცხოვრებდნენ იმ სახლში, სადაც საჭირო აღარ იქნებოდა ერთად, მხარიმხარ სასამართლო პროცესისთვის ხელსაყრელი ვერსიის შეთხზვა. დიახ, ახლა ისინი ჭეშმარიტად სინამდვილის პირისპირ აღმოჩნდებიან... შიშით შეპყრობილი ტერეზა ბუტბუტებს, ვექილს მიმართავს (მაგრამ ამ სიტყვებს მოხუცის გასაგონად ამბობს):

— ვფიქრობ, რამდენიმე დღე დავრჩე ბატონ დეკეირუსთან, მერე კი, როდესაც სრულიად გამოჯანსაღდება, მამასთან დავბრუნდები.

— არა, არა, ჩემო პატარავ, ეს არ მოხდება! — მიუგო მამამ, მაგრამ, რაკი შენიშნა, მეეტლე გარდერს ყური აქეთ აქვსო, ხმა დაიდაბლა: — ნამდვილად ჭკუიდან შეიშალე. განა შეიძლება ასეთ დღეში დატოვო ქმარი? ახლა ხალხს უნდა დაანახვოთ, რომ კვლავ შეხმატკბილებულად ცხოვრობთ... დიახ, შეხმატკბილებულად... გესმის? დღეიდან სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე...

— მართალი ხარ, მამა! რა მემართება? მაშ, შენ ჩამოხვალ ხოლმე არჟელუზში?

— არა, ტერეზა, ხუთშაბათობით კვლავ ჩემთან გელით, აკი ბაზრობის დღეს ყოველთვის ჩამოდიოდით ქალაქში!

პირდაპირ წარმოუდგენელი ამბავია, რომ ტერეზას ვერ შეუგნია, რაოდენ საშიშია მათი ცხოვრების წირის მცირეოდენი შეცვლაც კი. მაშ, შეიძლება, მამას ტერეზას კეთილგონიერების იმედი ჰქონდეს? მან ისედაც ბევრი უბედურება დაატეხა ოჯახს თავზე.

— ისე მოიქცევი, როგორც შენი ქმარი გიბრძანებს. სხვა არაფრის თქმა არ შემიძლია.

მამამ ქალიშვილი ეტლში ჩასვა.

ტერეზა უნებურად მიაჩერდა ვექილის გამოწვდილ ხელს, მის ბინძურფრჩხილებიან თითებს.

— კარგია, რაც კარგად მთავრდება... — თქვა მან.

ამას მთელი გულით ამბობდა. მართლაც, საქმე ასე რომ არ წარმართულიყო, აგრე უხვად არავინ დაასაჩუქრებდა. მაშინ ეს ოჯახის ბორდოელ ვექილს — ბატონ პეირეკავს მიმართავდა. დიახ, ახლა ყოველივე მოგვარდა...

მწვანე ეტლის ტყავისა და ოზის სუნი ძალიან უყვარს ტერეზას. ეს სუნი ერთგვარად სიგარეტის მაგივრობას უწევს, რომლის წამოღებაც დაავიწყდა. თუმცა არც უყვარს ღამის წყვდიადში წევა. ფანრების სინათლეზე მოჩანს ფერდობები, მაქმანივით შემოვლებული გვიმრა, გოლიათი ფიჭვების ტოტები და ქვების გროვა. ხანდახან ფორანი შემოხვდებათ და ცხენები თავისით უხვევენ მარჯვნივ ისე, რომ მთვლემარე მეეტლე არც კი ინძრევა. ტერეზას ეჩვენება, რომ ვერასოდეს მიაღწევს არჟელუზს. იმედი აქვს, გზას დასასრული არ ექნებაო. ნეტავი მართლაც ასე იყოს... საათზე მეტი უნდა იაროს ნიზანის სადგურამდე, შემდეგ პატარა მატარებელში გადაჯდება, რომელიც დიდხანს ჩერდება ხოლმე ყოველ ბაქანზე. სენ-კლერიდან არჟელუზამდე კიდევ ათი კილომეტრი ორთვალათი უნდა გაიაროს (ისეთი გზაა, ავტომობილი ვერ გაბედავს ღამე სიარულს). ტერეზას აგონდება სასამართლოს წინა საღამო, ისეთი შეგრძნება ჰქონდა, როგორც მიწისძვრის მოლოდინში აქვს ხოლმე ადამიანს. ხომ შეიძლებოდა დანაშაული დამტკიცებოდა? მაგრამ ყოველივე უკან დარჩა. ვინ იცის, ეგებ ბედმა კვლავ მოწყალედ გაუღიმოს. ქუდი მოიხადა, გაფითრებული სახე ტყავის ბალიშს მიაყრდნო და ბორბლების რიტმს აყოლილმა უნებურად რხევა დაიწყო. მთელი ამ ხნის განმავლობაში მისი მდგომარეობა დევნილი ნადირის ყოფას წააგავდა; ახლა, როდესაც საშიშროებამ გაიარა, იგრძნო, რაოდენ გადაქანცულია. ჩაცვენილი ლოყები, სიმწრისაგან მოკუმული ტუჩები, მაღალი, მშვენიერი შუბლი მსჯავრდადებული ადამიანის გარეგნობას გამოხატავს; თუმც მოსამართლეებმა უდანაშაულოდ ალიარეს, მაინც სამუდამო მარტოობა აქვს მისჯილი. ჯერ კიდევ ამ რამდენიმე ხნის წინ ხალხი ამბობდა, ტერეზა მშვენიერი, მომხიბლავი გარეგნობის ქალიაო. ახლა იგი ღრმა, ფარული ჭრილობით გამოწვეული, ქედმოუხრელი, დაუმორჩილებელი სულის მომხიბლაობითაა ალსავსე. ღამის წყვდიადში ჩაფლულ, შავბნელით მოცულ, ფიჭვებით დაფარულ გზაზე მიმავალ მოქანავე ეტლში ახალგაზრდა ქალი მარჯვენა ხელს ნილაბჩამოგლეჯილ სახეზე ივლებს, ცოცხლად დამწვარი კაცის სახეზე. ნეტა პირველად რას ეტყვის ბერნარი, რომლის ყალბმა ჩვენებამაც გადაარჩინა იგი? უეჭველია, ამ საღამოს არაფერს ჩაეკითხება. მაგრამ ხვალ? ტერეზა თვალებს ხუჭავს და ცდილობს წარმოიდგინოს როგორი დილა გაუთენდება. წინასწარ ვერაფერს გაიჭვრეტს. იქნებ ყოველივე უფრო იოლად მოგვარდეს, ვიდრე ჰგონია. რა საჭიროა ხვალინდელ დღეზე

ფიქრი? უმჯობესია დაიძინოს... რატომ ეტლში აღარა ზის? მწვანე სუფრაგადაფარებულ მაგიდასთან მჯდარი მამაკაცი მგონი ისევ გამომძიებელია... მაგრამ მან ხომ იცის, რომ საქმე უკვე მოგვარებულია... არა, უარის ნიშნად მამაკაცი თავს აქნევს. „სასამართლოს გადაწყვეტილება: გამართლებულ იქნას ბოროტმოქმედების დაუმტკიცებლობის გამო — უარყოფილია, რადგან ხელთა გვაქვს ახალი ცნობები"... ახალი ცნობები! ტერეზა პირს იბრუნებს, რომ მტერმა არ შეხედოს მის ჯავრისგან დამანჭულ სახეს. „გთხოვთ, აღიდგინოთ მეხსიერებაში, ქალბატონო! ძველი წამოსასხამის გულის ჯიბეში, რომელსაც მხოლოდ ოქტომბრის თვეში გარეულ მტრედებზე ნადირობის დროს ხმარობდით, ხომ არაფერი ჩაგრჩენიათ, ან დაგიმალავთ?" უარყოფა შეუძლებელია. ტერეზას სუნთქვა ეკვრის. მოსამართლე მაგიდაზე წითელლუქიან პაწაწინა პაკეტს დებს, თან თვალს არ აცილებს თავის მსხვერპლს. ტერეზას კარგად ახსოვს გარეკანზე მინაწერი ფორმულა, რომელსაც მამაკაცი გულისგამგმირავი ხმით კითხულობს:

ქლოროფორმი — 10 გრამი
აკონიტინი — 2 გრამი
დიგიტალინი — 20 ცენტიგრამი.

გამომძიებელი ხმამაღლა ხარხარებს. ბორბლების ჭრიალმა ქალი გაალვიძა. ჰაერში სინოტივე იგრძნობა. ალბათ ახლოს არიან ნაკადულთან. ტერეზას გულზე მოეშვა. ოდესღაც, ჯერ კიდევ ბავშვობისას ზოგჯერ ღამით ესიზმრებოდა ხოლმე, რომ დაშვებული შეცდომის გამო სელახლა აბარებინებდნენ გამოსაშვებ გამოცდებს. მაშინაც, როდესაც გაელვიძებოდა, ისეთივე სიხარული ეუფლებოდა, როგორც ახლა. ოღონდ ის გარემოება აწუხებს, რომ გამართლებას ჯერ ოფიციალური სახე არ მიუღია:

— განა არ იცი, რომ ჯერ ვექილს აუწყებენ ხოლმე, — ეუბნება იგი თავის თავს.

თავისუფალია.. მეტი რაღა უნდა? ახლა ადვილად შეუძლია შეეგუოს ბერნართან ცხოვრებას. ყოველმხრივ მიენდობა, ყველაფერში გამოუტყდება, გულს გაუხსნის, არც ერთ კუნჭულს მალულად არ დატოვებს. აი ეს არის ხსნა. აქამდე თუ რაიმე მცირეოდენს მაინც ინახავდა სადმე გულის სიღრმეში, დღეს საღამოდან სინათლის შუქს მოჰფენს. ეს გადაწყვეტილება სიხარულით ავსებდა ტერეზას. ვიდრე არეე-

ღუზს მიაღწევს, ღრო საკმაო აქვს, რომ „აღსარებისათვის მოემზადოს“. ასე იცოდა ხოლმე თქმა მისმა ღვთისმოსავმა მეგობარმა ანა დე დატრავმა ყოველ შაბათს მათი ბედნიერი არდადეგების დროს. პატარა დაიკო ანა, ძვირფასო უბიწო გოგონავ, შენ ხომ ფიქრადაც არ მოგივა, რაოდენ მნიშვნელოვანი ადგილი გეჭირა მთელ ამ ამბავში! მუდამ ასეა— უმანკო არსებამ არ იცის, რამდენი ცოდვა და წამებაა მათ ირგვლივ ყოველდღე, ყოველ ღამით. იგი ვერ ამჩნევს ფეხქვეშ გაზრდილ შხამიან მცენარეებს.

რა თქმა უნდა, ეს პატარა გოგონა მართალი იყო, როდესაც ეუბნებოდა ტერეზას, რომელიც ლიცეუმში ჭკვიან და სკეპტიკოს ქალიშვილად იყო ცნობილი:

— ვერ წარმოიდგენ, აღსარების შემდეგ რა დიდ სულიერ განტვირთვას გრძნობ, ცოდვათა შენდობა ისეთ სპეტაკსა და უმანკოს ხდის ადამიანს, რომ იგი ცხოვრებას განახლებული ხალისით იწყებს...

ახლა ტერეზა გუნებაში ეუბნებოდა თავის თავს, ბერნარს ყველაფერს ვეტყვი, არაფერს დავუმალავო. და ამ გადაწყვეტილებით ქალი სწორედ იმ „სიმსუბუქეს“ გრძნობდა, რაზედაც ანა ელაპარაკებოდა ხოლმე. „დიახ, ყველაფერი უნდა იცოდეს, არაფერს დავუმალავ“.

მაგრამ რას ეტყვის? რითი დაიწყოს? განა შეიძლება ყოველივე ის, რაც ბორგავდა მასში, ბუნდოვანი, გაურკვეველი ხლართები სურვილებისა და შეუცნობელი სულისკვეთებისა, ენით გამოითქვას? როგორ იქცევიან ისინი, ვინც თავიანთ დანაშაულს აღიარებენ? „მეც არ ვიცოდი, რას ვაკეთებდი, არ მინდოდა ჩამედინა ის, რასაც ბრალად მდებენ. თავადაც არ გამეგებოდა, რა მიზანი მამოძრავებდა. არ ვიცოდი, საით გამისროდა ის ძალა, რაც ჩემში და ჩემ ირგვლივ ბობოქრობდა და გარეთ გადმოსჩქეფდა. იგი ანადგურებდა ჩემს გზაზე ყოველივეს. და აი, თვითონვე შევკრთი, შევძრწუნდი“...

მხრჩოლავი ნავთის ლამპა ანათებდა ნიშანის სადგურის თეთრად შეღესილ კედლებს და იქვე გაჩერებულ ორთვალა ეტლს (რაოდენ სწრაფად ცვლის ირგვლივ ყოველივეს წყვდიადი!). ჩამომდგარი მატარებლიდან ღამის სიჩუმეში ისმოდა ღმუილისა და ნაღვლიანი ბღავილის მსგავსი ხმები. გარდერმა ტერეზას ჩანთა აიღო. იგი ისევ გაშტერებული მისჩერებოდა. ეტყობა, ცოლმა დააბარა, კარგად დააკვირდი როგორ გამოიყურება, რანაირი გამომეტყველება ექნებაო. ტერეზამ ბატონ დაროკის მეეტლის ამ გამოხედვას ღიმილით უპასუხა. ხალხი ამბობდა, ამ ქალს რომ უცქერი, იმდენად თავბრუდამხვევი მომხიბვლელობა აქვს, რომ ვერც კი ამჩნევ, ულამაზოა თუ ლამაზიო.

ტერეზამ გარდერს სთხოვა, ბილეთი აეღო საღაროში, რადგან ვერ გაბედა მოსაცდელ დარბაზში გავლა, სადაც ორ მოიჯარის ცოლს კალათები მუხლებზე დაედო და თავჩაქინდრული ქსოვდა.

მეეტლემ ბილეთი რომ მისცა, ტერეზამ ფული გადაუხადა. გარდერმა ხელი ქუდთან მიიტანა, ისევ ეტლს დაუბრუნდა, წამოკრიფა სადავეები და უკანასკნელად გახედა თავისი პატრონის ქალიშვილს.

მატარებელი ჯერ მზად არ იყო წასასვლელად. არცთუ დიდი ხნის წინ, არდადეგებზე სახლში გამომგზავრებისას, ანდა სასწავლებელში დაბრუნებისას, ტერეზა ლაროკი და ანა დე ლა ტრავი დიდად სიამოვნებდნენ ნიზანის სადგურში ხანგრძლივი გაჩერებით. სამიკიტნოში მიირთმევდნენ ერბო-კვერცხიან შაშხს, ხელგადახვეულნი დასეირნობდნენ იმავ გზაზე, რომელიც დღეს საღამოს პირქუში და ჩაბნელებული მოეჩვენა ტერეზას. ეს მთვარის შუქით გასხივოსნებული გზა იმ გარდასულ დროს აგონებს, როდესაც ორივეს მხიარულად ეცინებოდა თავიანთი დაგრძელებული ჩრდილების დანახვაზე. რაზე ლაქლაქებდნენ მაშინ? რა თქმა უნდა, თავიანთ პედაგოგებზე, ამხანაგებზე. ერთი თავის მონასტერს აქებდა, მეორე ლიცეუმით იწონებდა თავს. ანა... ტერეზამ ხმამაღლა წარმოთქვა ეს სახელი ღამის წყვდიადში. ჰო, რა თქმა უნდა, ბერნართან საუბარიც, უწინარეს ყოვლისა, ამით უნდა დაიწყოს. ბერნარი სიზუსტის მოყვარული კაცია. იგი ყოველ გრძნობას გულდაგულ ახარისხებს, ანცალკევებს, მას არ ესმის, რომ კაცის ერთი ქმედება მეორესთანაა გადაჯაჭვული, მისგანაა გამომდინარე. რა მხრიდან შეიძლება შევიყვანოთ ბერნარი იმ ბნელით მოცულ სამყაროში, სადაც ტერეზა ცხოვრობდა და იტანჯებოდა? ეს კი აუცილებელია, სხვა გამოსავალი არა აქვს, ოთახში შესვლისთანავე უნდა ჩამოუჯდეს ქმარს საწოლზე და ყველაფერი, ყველაფერი წვრილად უამბოს, ვიდრე იგი არ შეაჩერებს და არ ეტყვის:

— ახლა ყოველივე გასაგებია. ადექი, მიპატიებია!

ხელის ფათურით გადაიარა სადგურის უფროსის ბაღი, საიდანაც სიბნელეში უჩინარი ქრიზანთემების ამო სურნელება იფრქვეოდა. მატარებელში ავიდა. პირველი კლასის ვაგონი ცარიელი იყო. ლამპის მკრთალი შუქი ძლივს უნათებდა ტერეზას სახეს. ამ წყვდიადში კითხვაზე ფიქრიც კი შეუძლებელი იყო. თუმცა, რომელი მოთხრობა, ან რომანი შეიძლება ყოფილიყო ისეთი, რომ უფერული და მოსაწყენი არ მოჩვენებოდა თავის საშინელ და შემაძრწუნებელ ცხოვრებასთან შედარებით? შეიძლება ტერეზა სირცხვილს მოეკლა, მწუხარებას, სინდისის ქენჯნას, სულიერ ტანჯვას, მაგრამ მოწყენილობა ვერაფერს ავნებდა.

ტერეზა კუთხეში მიჯდა და თვალები მილულა. ნუთუ შეიძლება, რომ ქალმა, ვის განათლებასა და გონიერებასაც ასეთ მაღალ შეფასებას აძლევდნენ, ვერ შეძლოს სიტყვებით გადმოსცეს ის სულიერი დრამა, რაც განიცადა? დიახ, როდესაც აღსარებას დაამთავრებს, ბერნარი გაუგებს და ეტყვის:

— დამშვიდდი, ტერეზა, მეტად ნუღარ შეწუხდები. არჟელუზში, ამ ჩვენს სახლში, სიკვდილამდე ერთად ვიცხოვრებთ. ის, რაც მოხდა, ვერ დაგვაცილებს ერთმანეთს... მწყურია, ჩადი სამზარეულოში და ერთი ჭიქა ფორთოხლის სასმელი მომიმზადე. თუნდაც მღვრიე იყოს, მაინც სულმოუთქმელად დავლევ. მერე რა, თუ ფორთოხლის სასმელი იმ უცნაურ გემოს მომაგონებს. რაც იმ დილით ჩემს შოკოლადს ჰქონდა? ძვირფასო, გახსოვს რა საშინელი ლებინება დამეწყო: შენი საყვარელი ხელებით გეჭირა ჩემი თავი, თვალიც არ მოგირიდებია, რომ არ დაგენახა ის მომწვანო სითხე. ჩემმა კრუნჩხვებმა არ შეგაკრთო. მაგრამ რაოდენ ფერწასული იყავი იმ ღამეს, როდესაც ვიგრძენი, რომ ფეხები წამერთვა, თითქოს დამბლა დამეცა. სიმწრისაგან კბილს კბილზე მაცემინებდა და ვცახცახებდი. ის ტუტუცი ექიმი პედმეი კი გაოცებული იყო; სიცხე სულ არ მქონდა, გული კი გამალებით მიცემდა.

„ოჰ, — ფიქრობდა ტერეზა, — ვერაფერი გამიგო, ისევ თავიდან უნდა ავუხსნა"... მაგრამ სად ვეძიოთ ჩვენი მოქმედების სათავეები? როგორც ღრმად ფესვგადგმულ მცენარეს ვერა ძალა ვერ ამოძირკვავს, ისევე ვერ მოიგლეჯს ადამიანი შავ ბედს. იქნებ ჯობდეს ბავშვობას დაუბრუნდეს? მაგრამ ბავშვობა არა მარტო საწყისია, არამედ — დასასრულიც.

ტერეზას ბავშვობა... თოვლივით სპეტაკი და ცივი მღვრიე მდინარის სათავესთან. ლიცეუმში სწავლის დროს გარემოს მიმართ გულგრილი იყო, თითქოს თავისთვის ცხოვრობდა, განსაკუთრებული ცხოვრებით, სულ არ აინტერესებდა ის წვრილმანი ტრაგედიები, რაც მის თანატოლებს აგრერიგად აწვალებდა. მასწავლებლებს ტერეზა ლაროკი ხშირად მოჰყავდათ მაგალითად სხვებისათვის:

— ხედავთ, ტერეზას არავითარი საჩუქარი არ ხიბლავს, მარტო ის სწადია, სრულყოფილი გახდეს. სინდისი — აი, მისი ერთადერთი მრჩეველი. იმის შეგნებით სიამაყე, რომ საუკეთესოთა რიცხვს ეკუთვნის, უფრო მეტად ამხნევებს, ვიდრე შიში სასჯელის წინაშე...

ასე ამბობდა ტერეზას ერთ-ერთი მასწავლებელი. ტერეზა ეკითხე-

ბოდა თავის თავს: „ნუთუ ჭეშმარიტად ბედნიერი ვიყავი? ისე სპეტაკი და უმანკო? ქალიშვილობის ხანა ჩემს მეხსიერებაში სპეტაკი შარავანდედითაა მოსილი. ქორწინებამ კი სიბინძურის ჭაობში ჩამაგდო და მეტი არაფერი. ლიცეუმში გატარებული წლები ჩემი გათხოვებისა და დედობის დროსთან შედარებით სამოთხედ მეჩვენება. მაშინ ვერ ვხვდებოდი ამას. განა შეიძლება მცოდნოდა, რომ იმ „ნამდვილი ცხოვრების" წინა წლები ჭეშმარიტი ცხოვრება იყო? მე უმანკო ვიყავი, მაგრამ ეს უმანკოება ჯერაც შეუცნობელი ვნებებით იყო აღსავსე. და თუმც მასწავლებლები მუდამ მაქებდნენ, ვიტანჯებოდი და სხვასაც ვაყენებდი ტანჯვას. ვნეტარებდი, როცა სხვას ვტანჯავდი და როდესაც ჩემი მეგობრების წყალობით მეც ვიტანჯებოდი. ეს გახლდათ ჭეშმარიტი ტანჯვა, რომელიც არანაირი სინდისის ქენჯნით არ იყო შეფერილი. სიხარულიცა და მწუხარებაც უცოდველ სიამეთაგან იყო შობილი".

ანა დე და ტრავი „საკრე-კერში"[1] იზრდებოდა. ისინი ერთმანეთს მხოლოდ ზაფხულობით, მუხნარში ხვდებოდნენ. ტერეზას ეამაყებოდა, რომ ანას არაფრით ჩამოუვარდებოდა. მას შეეძლო ეთქვა ამ ბავშვისთვის:

— იმიტომ, რომ შენსავით უმანკო გამოვჩნდე, სულ არა მჭირდება ზიზილ-პიპილები და გაცვეთილი ფრაზები.

ანა დე და ტრავის უბიწოება უცოდინარობის შედეგი იყო. „საკრე-კერის" აღმზრდელები ყოველნაირად ცდილობდნენ, თავის აღსაზრდელ გოგონებსა და სინამდვილეს შორის ბურუსით მოცული ფარდა ჩამოეფარებინათ. ტერეზას სძულდა ისინი, რადგანაც უმეცრებასა და სათნოებას აიგივებდნენ. „ძვირფასო, შენ არ იცნობ ცხოვრებას", — უმტკიცებდა ტერეზა არდადეგების იმ მცხუნვარე დღეებში, გარდასულ ჟამთა ზაფხულის შესანიშნავ დღეებში... მატარებელი, როგორც იქნა, დაიძრა. ქალი ფიქრობდა, რომ თუ სურდა ყოველივე ნათლად წარმოედგინა, გონების თვალით უნდა აღედგინა წარსული. პირდაპირ დაუჯერებელია, რომ ცხოვრების განთიადზე, როცა ცხოვრება ისე კამკამა და უბიწოა, ადამიანი წინასწარვე გრძნობს ქარიშხლის მოახლოებას. მოწმენდილი დილა იმის მაჩვენებელია, რომ შუადღისას ან საღამო ჟამს ამინდი წახდება. ნიაღვარი ყვავილნარს გადათელავს, ხეების ტოტებს შემოლეწავს და გზებს აატალახებს. ტერეზას თავის დღეში არ აუწონ-დაუწონია, არ განუჭვრეტია საკუთარი ცხოვრების ყოველი ნა-

———

[1] წმინდა გულის მონასტერი.

ბიჯი. მის არსებობაში არავითარ უეცარ გარდატეხას ადგილი არ ჰქონია. იგი თითქოს ფერდობზე ეშვებოდა ჯერ ნელა და შემდეგ ფეხს აუჩქარა. დღეს განწირული ქალი ოდესღაც სიხარულით გაბრწყინებული ის ქმნილება იყო, რომელიც ზაფხულის არდადეგებს არჟეღუზში ატარებდა, სადაც იგი ახლა ღამის წყვდიადში ჩუმად, ქურდულად მიიპარებოდა.

როგორ დაიქანცა... რა საჭიროა ყველა იმ საიდუმლო მიზეზის ძებნა, რაც მოხდა? ფანჯრის მინაზე შუბლმიდებული ქალი გარეთ ვერაფერს ხედავდა, გარდა საკუთარი, მკვდარივით გაფითრებული სახის ანარეკლისა. მატარებლის რიტმული რწევა უეცრად შეწყდა. ისმის ლოკომოტივის გაბმული კივილი... მატარებელი დინჯად უახლოვდებოდა რომელიღაც სადგურს. მეისრე ფანარს აქნევს, ვიღაც კუთხურად უქცევს, ისმის ვაგონიდან ჩამოსხმული გოჭების ყურთასმენის წამღები ჭყვიტინი. ეს უკვე უზესტია. კიდევ ერთი სადგური და სენ-კლერში ჩავლენ, სადაც იგი ეტლში გადაჯდება და არჟეღუზამდე უკანასკნელ გზას გაივლის. რაოდენ მცირე დრო რჩება ტერეზას, რომ თავის დასაცავად მოემზადოს.

## III

არჟეღუზი ჭეშმარიტად ქვეყნის დასასრულია, ერთ-ერთი იმ კუთხეთაგანი, სადაც წყდება ყოველი გზა და სავალი. არც მერიაა, არც ეკლესია, არც სასაფლაო, მხოლოდ რამდენიმე სახლი დგას თავისი ეზოებითა და ყანებით. დაბა სენ-კლერიდან იგი ათი კილომეტრითაა დაცილებული და ერთადერთი ოღროჩოღრო გზა აკავშირებს მასთან. არჟეღუზის გადაღმა ეს ჩახრამული გზა დახლართულ, სილიან ბილიკებშია გადაზრდილი, ოკეანემდე უკაცრიელი ადგილებია და ვერაფერს შეხვდებით. ოცი კილომეტრის მანძილზე გადაჭიმულია საფლობი ჭაობები, პატარა ტბები, პირქუში ფიჭვნარი და ღანდები, სადაც ზამთრის მიწურულს ცხვრის ბეწვი ნაცრისფერ შეფერილობას ღებულობს. სენ-კლერის საუკეთესო გვარიშვილების ოჯახებიც ამ მიყრუებულ მინდვრებში ჩაკარგული კუთხიდან არიან გამოსულნი. გასული საუკუნის შუა წლებში, როდესაც ცხვრის ფარიდან აღებულ უწინდელ მცირედ შემოსავალს ტყისა და ვენახების შემოსავალიც დაერთო, ჩნეულ ოჯახთა წინაპარნი არჟეღუზიდან სენ-კლერში გადასახლდნენ. არჟეღუზში მიტოვებული სახლები კი საავარაკო კარ-მიდამოდ გადააქციეს. საჩეხის

მოჩუქურთმებული კოშკები, ზოგან კი მარმარილოს ბუხარიც, მათ გარდასულ დღეთა დიდების მოწმედ დარჩენილიყო. ამ შენობათა საძირკველი ყოველ წელიწადს დაბლა იწევდა და ასე გეგონებოდათ, რომელიმე ძველი სახურავი სადაცაა მიწას შეეხებაო.

ამ ძველ შენობათა შორის ორს შემორჩენია თავადთა სადგომის იერი. ლაროკებმა და დეკეირუების საგვარეულომ ისევე შემოინახეს თავიანთი კარ-მიდამო არჟელუზში, როგორიც წინაპართაგან მიიღეს. მერმა და მთავარმა მრჩეველმა ბ-ში ჟერომ ლაროკმა, რომელსაც სახლი პრეფექტურის მიდამოებში ჰქონდა, ან მოისურვა რაიმე შეეცვალა არჟელუზის ბინაში, რაც თავის მეუღლისგან ერგო (მისი ცოლი მშობიარობას გადაჰყვა, როდესაც ტერეზა პაწაწინა იყო). მამას არ უკვირდა, რომ არდადეგების გასატარებლად ტერეზას არჟელუზისკენ მიუწევდა გული. ივლისი დადგებოდა თუ არა, ტერეზა იქ გადაბარგდებოდა და უფროსი მამიდის, კლარას, ყრუ შინაბერა მოხუცის მეთვალყურეობით ცხოვრობდა. მოხუცსაც ასევე უყვარდა ეს მყუდრო ადგილი. „აქ თვალში არ მხვდება ბაგეთა მოძრაობა, რომელთაგან წარმოთქმული სიტყვებიც არ მეყურება", — იცოდა თქმა მამიდა კლარამ. ერთადერთი, რაც შეიძლება გავიგონო, ეს ქარის სისინია, რომელიც ფიჭვთა შორის დათარეშობსო. ბატონი ლაროკი თავს ბედნიერად გრძნობდა, რომ არჟელუზის წყალობით თავიდან იცილებდა ქალიშვილზე ზრუნვას და ამავე დროს აახლოებდა მას ბერნარ დეკეირუსთან; ორივე ოჯახის სურვილით ტერეზა პატარაობიდანვე ბერნარის საცოლედ დაეთქვათ, თუმც აშკარად ამაზე არ ლაპარაკობდნენ.

ბერნარ დეკეირუმ არჟელუზში მამისგან მემკვიდრეობად მიიღო სახლი ლაროკების ადგილ-მამულის გვერდით. იგი მარტოოდენ ოქტომბრის თვეში გამოჩნდებოდა ხოლმე, ნადირობის ჟამს; ზამთარში ეს გონიერი და საქმიანი ახალგაზრდა პარიზში სამართალს სწავლობდა, ზაფხულში მცირე დროით ჩნებოდა თავის ოჯახში. მას სძულდა თავისი ჯიბეგახვრეტილი მამინაცვალი, ვიქტორ დე ლა ტრავი, რომელსაც ქვრივად დარჩენილი დედამისი გაჰყვა ცოლად და რომლის საარაკო მფლანგველობა სალაპარაკოდ ჰქონდათ გამხდარი სენ-კლერში. ბერნარის აზრით მისი და ანა, რომელიც დედამისს მეორე ქმართან შეეძინა, ერთობ პატარა იყო და არ ღირდა ანგარიში გაეწია. განა ტერეზაზე უფრო მეტს ფიქრობდა? მთელ იმ მხარეში ტერეზა და ბერნარი შესაფერ წყვილად მიაჩნდათ; რაკი მათი ადგილ-მამული ერთმანეთს ესაზღვრებოდა, ადვილად შეიძლებოდა მიჯნის წაშლა და ერთ სამფლობელოდ გადაქცევა. გონიერი ჭაბუკი თანდათან საერთო აზრს ეთანხმე-

ბოდა. იგი არასოდეს მოქმედებდა აღაღბედზე, დარწმუნებული გახლდათ, რომ ადამიანი თვითონ იყო საკუთარი ბედის მჭედელი. თუ კაცი უბედურია, დამნაშავე თვითონვე არისო, ხშირად ამბობდა ხოლმე ბერნარი. ქორწინებამდე შრომისა და სიამოვნებისთვის დროს თანაბრად ანაწილებდა. უყვარდა მაძღრისად ჭამა, სმა და იტაცებდა ნადირობა; არც თავგადაკლულ შრომას გაურბისო, იტყოდა ხოლმე დედამისი. თავად მიაჩნდა, რომ ქმარი ცოლთან შედარებით უფრო განსწავლული უნდა ყოფილიყო. ქვეყანა ტერეზას ბრწყინვალე განსწავლულობაზე დაპარაკობდა. ჭეშმარიტად, ქალიშვილი მართლაც გონიერი და განათლებული იყო... ძალიან ჭკვიანიც... მაგრამ ბერნარმა იცოდა, რის წინაშე ყრიან დიაცნი ფარ-ხმალს, დედამისიც დაჟინებით ეჩიჩინებოდა, ურიგო არ იქნება თუ ორივე მამულის მფლობელი გახდებითო. მამა დაროკს არ გაუჭირდებოდა ამგვარი სამსახურის გაწევა. ოცდაექვსი წლის ბერნარ დეკეირუს იტალიაში, ესპანეთსა და ფლანდრიაში რამდენჯერმე მოგზაურობის შემდეგ შეეძლო ცოლად ეთხოვა ქალიშვილი, რომელიც მზეთუნახავი არ იყო, მაგრამ სამაგიეროდ სახელი ჰქონდა მოხვეჭილი სიმდიდრითა და კეთილგონიერებით. ტერეზაზე ასე დაპარაკობდნენ:

— იმდენად გხიბლავს ეს ქალი, რომ ვეღარ გრძნობ ვერც მის სილამაზეს, ვერც სიმახინჯეს.

ტერეზას ღიმილი მოჰგვარა ბერნარის იმ კარიკატურამ, რაიც ფანტაზიით წარმოესახა: „მართალი რომ ვთქვა, ბერნარი ბევრად უფრო ნატიფი იყო იმ ახალგაზრდებზე, ვისაც შემეძლო გავყოლოდი". ლანდებში მცხოვრები ქალები გაცილებით მაღლა დგანან იმ მამაკაცებთან შედარებით, რომელნიც კოლეჯის დამთავრების შემდეგ ამ მიყრუებულ მინდვრებში ბრუნდებიან და კარგავენ შენაძენ სინატიფეს. ტრამალები იპყრობს მათ გულსა და გონებას. მათთვის არსებობს მხოლოდ ის ნეტარება, რაც შეუძლია მიანიჭოს ამ თვალუწვდენელმა მინდვრებმა, ისინი თავიანთ ფერმერებს ემსგავსებიან და ადგილობრივი კილოკავი, დრომოჭმული და უხეში ქცევები, გემოვნებანი, ზნე-ჩვეულებიანი რომ უარყონ, ეს მათთვის მშობლიური ლანდების ღალატი იქნებოდა. ბერნარის უხეში და მკაცრი ქცევების მიღმა განა სიკეთე არ იმალებოდა? როდესაც იგი სიკვდილის პირას იყო, ფერმერები ამბობდნენ: თუ მოკვდა, ამგვარი მეპატრონე აქ აღარავინ გვეყოლებაო. დიახ, იგი სიკეთითაა სავსე, სამართლიანი და გულწრფელია. არ უყვარს მსჯელობა იმაზე, რაც არ იცის, არ სურს იმაზე მეტი გამოჩნდეს, რაც სი-

ნამდვილეშია. ეს გაუთლელი იპოლიტი[1] ახალგაზრდობაში საამო გარეგნობისა იყო, მაგრამ ქალიშვილები უფრო ნაკლებ იზიდავდნენ, ვიდრე კურდღლები, რომლებსაც იგი ლანდებში იჭერდა.

ვაგონის ფანჯარაზე სახემიყრდნობილი ტერეზა ამჯერად თავის გულგრილ საქმროს კი არ იგონებდა, არამედ მის პატარა დას ანას, უთენია სახეალეწილი ველოსიპედზე რომ შემჯდარა და მიქრის სენკლერის გზაზე არჟელუზამდე, ვიდრე პაპანაქება სიცხე არ ჩამომდგარა. ჭრიჭინობელები იწყებენ ჭრიჭინს, ფიჭვის ხეებს მზისგან თითქოს ცეცხლი წაჰკიდებია. მცხუნვარე მზის ქვეშ ლანდები ღუმელივით იწყებს ქშინვას. მანანას ბუჩქნარით დაფარული ადგილებიდან ბუზების მთელი გუნდი მიფრინავს.

— გეთაყვა, მოსასხამს ნუ მოიხდი, ჩვენი სასტუმრო ნამდვილი საყინულეა.

— ჩემო გოგონა, მხოლოდ მაშინ მიიღებ სასმელს, როდესაც ოფლი შეგაშრება. — უმატებს მამიდა კლარა.

ანა მოხუცს ხმამაღლა ესალმება.

— ნუ უყვირი ასე, გეთაყვა, ტუჩების მოძრაობით ისედაც ყოველივე ესმის.

ამაოდ ცდილობს სტუმარი მკაფიოდ და მარცვალ-მარცვალ წარმოთქვას ყოველი სიტყვა, გულმოდგინედ მანჭავს პაწაწინა ბაგეებს. მამიდა სულ სხვა პასუხს აძლევს და მეგობრები იძულებული არიან ბაღში გაიქცნენ, რომ თავისუფლად იცინონ.

ჩაბნელებულ კუპეში მჯდარ ტერეზას გონებაში ცოცხლდება ქალიშვილობის დროის ნათელი დღეები, გასხივოსნებული სათუთი, ჯერაც შეუცნობელი სიხარულით. მაშინ ტერეზამ ვერ ამოიცნო, რომ მხოლოდ ის მკრთალი ნათელი სიხარულისა იქნებოდა ამ ქვეყანაზე მისი ხვედრი, რასაც ბედ-იღბალი უწილადებდა. არაფერი აუწყებდა, რომ ცხოვრებაში არასოდეს ექნებოდა ამაზე უფრო ნათელი დღეები, როცა პაპანაქება სიცხეში სანახევროდ ჩაბნელებულ სასტუმროში ისხდნენ და ანა წითელ რიფსგადაკრულ სავარძელზე მეასედ ფურცლავდა მუხლებზე დადებულ ფოტოსურათების ალბომს. რატომ გრძნობდა თავს ბედნიერად ანას გვერდით? აკი ორივეს სრულიად სხვადასხვა გემოვნება ჰქონდა. ანას სძულდა წიგნები, უყვარდა კერვა, ლაქლაქი და კისკისი. სერიოზულად არაფერზე ფიქრობდა. ტერეზა კ.: ერთნაირი სიხარბით ეწაფებო-

---

[1] იპოლიტი — უბიწო ჭაბუკი, რომელმაც უარყო თავის დედინაცვალ ფედრას სიყვარული (ბერძნ. მითოლ.).

და, რაც კი სოფლის ძველ წიგნების კარადაში მოიპოვებოდა: პოლ დე კოკის[1] რომანები იქნებოდა ეს, „ორშაბათ დღეების საუბარი"[2] თუ „კონსულობის ისტორია"[3]. ანასა და მას არაფერი ჰქონდათ საერთო გარდა იმ სასიამოვნო დროისა, სადილის შემდეგ ეზოს მცხუნვარებას განრიდებულნი დარაბებდახურულ, ბინდით მოცულ ოთახში რომ ატარებდნენ. ანა დროგამოშვებით დგებოდა, რომ გაეგო, აგრილდა თუ არა, მაგრამ საკმარისი იყო ოდნავ გამოეღო დარაბები და გავარვარებული ლითონის ნაკადისებრ იჭრებოდა მწველი მცხუნვარება. იძულებული ხდებოდნენ ხელახლა მიეხურათ დარაბები და მიმალულიყვნენ.

მწუხრის ჟამს, ოლეს ფიჭვნარის ტოტებზე ჩამავალი მზის მეწამული ათინათიდა რჩებოდა, ძირს, მუხნარის ჩრდილში კვლავ სულის შემხუთავი პაპანაქება იდგა. ტერეზა და ანა ტბის პირას ისხდნენ, შემდეგ მინდვრის თავში ბაღახზე წვებოდნენ. საავდრო ღრუბლები უცნაურსა და ცვალებად გამოსახულებას ღებულობდა. ვიდრე ტერეზა ცდილობდა ფრთოსანი ქალის გამოსახულება დაენახა, რომელიც ანას შეენიშნა, ანა უკვე ირწმუნებოდა, იმავე ქალმა ვეებერთელა, უცნაური ცხოველის სახე მიიღოო.

სექტემბრის თვეში სულშემხუთავი პაპანაქება აღარ აშინებდათ და საუზმის შემდეგ შეეძლოთ ამ „მოწყურებულ მხარეში" ხეტიალი. არჟელუზში ვერსად ნახავდით ვერც ნაკადულსა და ვერც გუბეს. ქვიშიან უდაბურ ადგილებში დიდხანს უნდა ევლოთ, ვიდრე იმ ერთადერთი ნაკადულის სათავეს მიაღწევდნენ, რომელსაც ურს უწოდებდნენ. ველ-დაბლობზე მურყნის ფესვებს შორის ამ ნაკადულის წყალობით ვიწრო ნაპრალებში მრავალი ტბორი გაჩენილიყო. ქალიშვილებს სიამოვნებდათ გავარვარებულ ქვიშნარზე სიარულისაგან დამწვარი ფეხების ყინულივით ცივ წყალში ჩაყოფა, მაგრამ, როგორც კი წყლიდან ამოვიდოდნენ, ფეხები კვლავ უშრებოდათ და ისევ ეწვოდათ. სიარულისაგან დაქანცულები ქოხს აფარებდნენ თავს; ამ ქოხს მონადირეები ოქტომბრის თვეში ესტუმრებოდნენ ხოლმე, როცა გარეულ მტრედებზე ნადირობდნენ. წამები მიქროდა ამ ხანგრძლივი და მდუმარებით აღსავსე შესვენებისას. გარინდებული ქალიშვილები ერთმანეთს ხმას

---

[1] პოლ დე კოკი (1794—1871) — ფრანგი მწერალი, ბულვარული რომანების ავტორი

[2] „ორშაბათ დღეების საუბარი" — სენტ-ბევის (1804—1869) ლიტერატურულ-კრიტიკული ნარკვევების მრავალტომეული

[3] იმპერიის და კონსულობის ისტორია (1845—1862) — ადოლფ ტიერის (1798—1877) ისტორიული ნაშრომი.

არ სცემდნენ, უჩუმრად ისხდნენ, არც ინძრეოდნენ, იმ მონადირის დარად, რომელიც არ ინძრევა, ფრინველი არ დავაფრთხოო. ასე ეჩვენებოდათ, თითქოს ოდნავ შერხევასაც კი შეეძლო დაეფრთხო ის ბუნდოვანი და უცოდველი ბედნიერება, რასაც ორივენი განიცდიდნენ. პირველი ანა წამოიჭრებოდა, სურვილს ვერ იოკებდა, უნდოდა შებინდებისას ტოროლები დაეხოცა. და თუმცა სძულდა ეს თამაში, ტერეზა მაინც უკან მისდევდა, რადგან მეგობრის გვერდით ყოფნა ერჩია. ანა ჩამოიღებდა შესასვლელში ჩამოკიდებულ ოცდაოთხყალიბიან სანადირო თოფს, რომელიც მხარში არ არტყამდა. ტერეზა ფერდობზე გაჩერდებოდა და იქიდან უცქეროდა მეგობარს, შუა ყანაში ჩამდგარი მზეს რომ უმიზნებდა, თითქოს მისი ჩაქრობა სურსო. სროლის ხმა რომ არ გაეგონა, ყურებში თითებს გაირჭობდა ხოლმე. სიხარულისგან ალტაცებული კივილი ჰაერში იყინებოდა. მონადირე ქალიშვილი მსწრაფლ დასწვდებოდა დაკოდილ ფრინველს, ფრთხილად იღებდა ხელში, ჯერ კიდევ თბილ ბუმბულს ბაგეებით ეხებოდა და ახრჩობდა.

— ხვალ მოხვალ?

— ოჰ, არა. ხომ არ შეიძლება დღენიადაგ თქვენთან ვიყო.

მას არ სურდა ყოველდღე ტერეზას ნახვა. მართალიც იყო. ტერეზა არც ედავებოდა რამეში. თუკი ანა მოსვლას ინდომებდა, ვერა ძალა ვერ შეაკავებდა, მაგრამ ყოველდღე რად უნდა ენახათ ერთმანეთი? ასე ერთმანეთს მოვიძულებთო, ამბობდა ანა, ტერეზაც კვერს უკრავდა: „შენ მართალი ხარ, თავს ნუ აიძულებ. მაშინ მოდი, როდესაც გული გამოგიწევს... მაშინ, როდესაც ამაზე კარგი არაფერი გექნება გასაკეთებელი". ანა ველოსიპედს მოაჯდებოდა და ზარის წკარუნით მიქროდა უკვე სიბნელით მოცულ გზაზე.

ტერეზა შინ ბრუნდებოდა. ფერმერები შორიდან ესალმებოდნენ. ბავშვები არსად ჩანდნენ. ეს ის დრო იყო, როდესაც საძოვრიდან შინისაკენ მიმავალი ცხვრის ფარა მუხნარის ქვეშ იშლებოდა და მწყემსის შეძახილზე ისევ ერთად გამორბოდა. მამიდა კარის ზღურბლთან ელოდა ძმისწულს და თვითონ რომ არ დაეძაბა ყურადღება ტერეზას ნათქვამის მისახვედრად, ყრუ ადამიანის ჩვეულებისამებრ გაუთავებლად დაქდაქებდა. რატომ შეუპყრია ასეთ სევდა-ნაღველს? ტერეზას არ უნდოდა წიგნის კითხვა. საერთოდ არაფრის სურვილი არ ჰქონდა. მერე კვლავ გარეთ გავიდოდა და აღაღბედზე დაადგებოდა გზას.

— შორს ნუ წახვალ, მალე სუფრას გავშლით.

ტერეზა იმავე ადგილას ბრუნდებოდა, სადაც გზა იწყებოდა, უცქეროდა დაცარიელებულ ქუჩას, მაგრამ იქ ძეხორციელი არ ჭაჭანებდა. სა-

მზარეულო ოთახიდან ზარის ხმა მოისმოდა, ტერეზას უხმობდნენ. აღბათ დღეს ლამპის ანთება მოგვიწევს. ეს მდუმარება ისევე ღრმა იყო ამ ყრუ მოხუცისთვის, სუფრაზე ჯვარედინად რომ დაეწყო ხელები, როგორც ამ გულჩათხრობილი და პირქუში ქალიშვილისათვის.

ბერნარ, ბერნარ, როგორ დაგანახო ის იდუმალი განცდებითა და ბნელეთით მოცული სამყარო შენ, ვინც ბრმათა, გულგრილთა და შეუბრალებელთა მოდგმას ეკუთვნი? „მაგრამ, — ფიქრობდა ტერეზა, — მაშინვე გამაწყვეტინებს: რატომ მომთხოვდი, მე ხომ არ გაიძულებდიო“. მართლაცდა, რატომ გაჰყვა? განა ბერნარი ჩქარობდა მის ქმრად გახდომას? ტერეზას ახლაც ყურებში ედგა ბერნარის დედის, მადამ დე ლა ტრავის, სიტყვები:

— ჩემს ვაჟს არ ეჩქარებოდა, შეეძლო მოეცადა, მაგრამ ტერეზას თავად სურდა... საუბედუროდ, მას არ გააჩნია ჩვენებური პრინციპები. ასე გასინჯეთ, ჯარისკაცივით ექაჩება პაპიროსს. ასეთი ზნისა გახდავთ... სამაგიეროდ, მეტად გულწრფელი და პატიოსანი ბუნების გოგონაა, აღაღმართალი. იოლად ჩავაგონებთ კეთილგონიერ აზრებს. რა თქმა უნდა, ეს ქორწინება ყოველმხრივ არაა მოსაწონი.. დიახ... ბებია ბელადი... მე კარგად ვიცი... მაგრამ ვილას ახსოვს ეს ამბავი: ყველაფერი ისე უმად ჩაფარცხეს, რომ ამ სამარცხვინო ამბის ნიშანწყალიც აღარ დარჩა. თქვენ გწამთ შთამომავლობა? მართალია, არც მამამისის აზრები და მსჯელობა მომწონს, მაგრამ თავი ყოველთვის კარგად ეჭირა და მაგალითსაც მშვენიერს აძლევდა: თუმც ურწმუნოა, მაინც წმინდან ურწმუნოთ მიეკუთვნება. ესეც არ იყოს, დიდად გავლენიანი პიროვნებაა. მისი გამოყენება ყოველთვის შეიძლება. ბოლოს და ბოლოს, ზოგიერთ რაიმეზე შეიძლება თვალიც დახუჭო. იმასაც ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენზე მდიდარიცაა. დაუჯერებელია, მაგრამ სრული ჭეშმარიტებაა. ტერეზა აღმერთებს ბერნარს.

დიახ, იგი „აღმერთებდა“ ბერნარს. ეს იმდენად ბუნებრივი იყო, რომ არავითარ ძალდატანებას არ საჭიროებდა. არჟელუზის სახლის სასტუმრო ოთახში იქნებოდა ეს, თუ ტყის პირას, მუხების ქვეშ, როდესაც ტერეზა ბერნარს უმზერდა, თვალები სავსე ჰქონდა ნაზი და გულწრფელი სიყვარულით. ჭეშმარიტად, ტერეზას გააჩნდა ამისი უნარი. ამგვარი გამარჯვება კი არ აკვირვებდა, აამებდა ბერნარის თავმოყვარეობას. „ნუ ეთამაშები, — ეხვეწებოდა დედა, — ქალი დაიტანჯება“...

„ცოდად იმიტომ გავყევი, რომ“... შუბლშეჭმუხნილი ტერეზა თვა-

ღებზე ხელს იფარებს და ცდილობს აღადგინოს წარსული. ეს ბავშვური სიხარული იყო; ბერნარის მეუღლე თუ გახდებოდა, ანას რძალი იქნებოდა. ეს ამბავი ანას უფრო მეტად ახარებდა. ტერეზა ამას ნაკლებ მნიშვნელობას აძლევდა. რატომ უნდა წითლდებოდეს სირცხვილისაგან, როდესაც ეს ჭეშმარიტებაა? უდაოდ ბერნარის ორი ათასი ჰექტარი მიწაც იზიდავდა ტერეზას, კერძო საკუთრებისადმი სიყვარული ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი. სადილის შემდეგ, როდესაც სუფრაზე სასმელი მიჰქონდათ, ტერეზას უყვარდა ზოგჯერ მამაკაცთა შორის ყოფნა, რათა მოესმინა საუბარი მოიჯარეების, მაღაროების, სკიპიდრის მოპოვებისა და ძვირფასი განძეულის შესახებ. იგი გატაცებით უსმენდა მამაკაცთა კამათს, როდესაც ისინი ვინმეს ავლა-დიდების შეფასებას იწყებდნენ. თქმა არ უნდა, ისიც ხიბლავდა, რომ ბერნარისა და თავისი მიწების შეერთებით თვალუწვდენელი მამულის პატრონები გახდებოდნენ. „ბერნარიც ეტრფოდა ჩემს ფიჭვნარს", — ფიქრობდა გუნებაში ტერეზა, მაგრამ, ვინ იცის, იქნებ ქალი ამ შეუღლებაში ეძებდა არა ადგილ-მამულსა და სამფლობელოებს, არამედ თავშესაფარს. ეს იყო შიში მომავლის წინაშე და იქნებ იმიტომაც ესწრაფებოდა. პრაქტიკული პატარა ქალიშვილი, სიყრმიდანვე ყაირათიანობას და მომჭირნეობას ჩვეული, ისწრაფოდა მოეძებნა ცხოვრებაში თავისი საბოლოო ადგილი, სურდა თავი დაეცვა გაურკვეველი და გაუგებარი ხიფათისაგან. არასოდეს ისეთი საზრიანი არ ყოფილა, როგორც თავისი ნიშნობის დროს. იგი „ოჯახურ წრეში" შედიოდა, „ეწყობოდა"; ტერეზას სურდა თავი ეხსნა რაღაც მოულოდნელი საფრთხისაგან, რაც მისი ცხოვრების წესრიგიანობას დარღვევით ემუქრებოდა.

ადრე გაზაფხულზე დანიშნული ტერეზა და ბერნარი ხშირად დასეირნობდნენ არჟელუზიდან ვილმეჟამდე მიმავალ ქვიშიან ბილიკზე. მუხებს ჯერ კიდევ შერჩენოდათ მჭკნარი ფოთლები და უხეიროდ მოჩანდნენ ლაჟვარდოვანი ცის კაბადონზე. მიწაზე გაბადრულ, გამხმარ გვიმრას ხასხასა მწვანევ ტოტები გამოელო.

— მიწაზე ნუ დაჰყრით პაპიროსის ნამწვავებს, შეიძლება ხანძარი გაჩნდეს, მით უმეტეს, მთელს ლანდებში წყალი არსად მოიძებნება, — უთხრა ბერნარმა.

ტერეზამ ჰკითხა:

— ნეტავი მართალია, რომ გვიმრა წყალბადციანმჟავას შეიცავს?

ბერნარმა არ იცოდა მართლაც თუ იყო გვიმრაში ეს ნივთიერება, რომლითაც შეიძლებოდა კაცი მოწამლულიყო. მან სათუთად ჰკითხა:

— განა თქვენ სიკვდილი გსურთ?

ტერეზას გაეცინა. ბერნარი ხედავდა, რომ იგი თანდათან თავმდაბალი ხდებოდა. ტერეზას გაახსენდა, რომ თვალები დახუჭა, როდესაც მამაკაცის ორი მძლავრი ხელი შემოეხვია მის პატარა თავს და ხმამ ყურში წასჩურჩულა:

— ამ თავში ჯერ კიდევ არის უგუნურობა და ცრუ აზრები.

ტერეზამ უპასუხა:

— თქვენი ნებაა, თუ ამოაგდებთ და განდევნით მათ, ბერნარ!

ისინი უცქეროდნენ კალატოზებს, რომელნიც ვილმეჟას ფერმას ერთ ოთახს უშენებდნენ. მისი მეპატრონე ბორდელები აქ ასახლებდნენ თავიანთ უმცროს ვაჟიშვილს, რომელსაც, როგორც ამბობდნენ, ჭლექით სიკვდილი ელოდა. მისი და იმავე სენით გარდაცვლილიყო. ბერნარში ეს აზევედოები ღრმა ზიზღის გრძნობას იწვევდნენ: „ისინი ყველა წმინდანს ფიცავენ, ჩვენში ებრაელის სისხლი არა ჩქეფსო, მაგრამ საკმარისია გარეგნობას დაუკვირდე. ყველა ბედნიერებასთან ერთად ჭლექიცა ჭირთ! ყოველი ღირსებით არიან შემკულნი!..“

ტერეზა ხმას არ იღებდა.

ქორწილზე დასასწრებად ანა უნდა ჩამოსულიყო სენ-სებასტიანის მონასტრიდან. გოგონა იმედოვნებდა, დეგილემის ვაჟს „ჩავიჭეროს“. ტერეზას სთხოვა, გამომიგზავნე წერილი „მოკითხვამდე“ და მაცნობე, როგორი კაბებით იქნებიან მორთულნი შენი მეგობრები. იქნებ მიშოვო კიდეც და გამომიგზავნო ქსოვილების ნიმუშები. იმას რა აჯობებს, თუ ყველას შეხამებული ფერის კაბები გვეცმევაო. ტერეზას არასოდეს არ უგრძნია ესოდენ ღრმა სიმშვიდე, მაგრამ ეს სულის სიმშვიდე და დაოკება მხოლოდ მოჩვენებითი გახლდათ, მის მკერდში ჩაბუდებული, გარინდებული და ძილ-ბურანში წასული ასპიტი ჯერ კიდევ თვლემდა.

## IV

ზაფხულის სულშემხუთველ დღეს, როდესაც ისინი ჯვარს იწერდნენ სენ-კლერის პატარა, ვიწრო ეკლესიაში, სადაც ქალების ყაყანი პატარა ორგანის სუსტ ხმას ფარავდა და მათი ნელსაცხებლის სურნელება საკმევლის სურნელებას ერთვოდა, ტერეზა შიშის გრძნობამ შეი-

პყრო. ძიღ-ბურანში მყოფივით შევიდა გაღიაში და მძიმე კარის გრუხუნმა საბრაღო გოგონა უეცრად გამოაფხიზლა. თითქოს არაფერი შეცვლილა, მაგრამ ამიერიდან ტერეზა მარტო ველარ დაიღუპავდა თავს. მჭიდრო ოთახით გარემოცული ძლიერ იტანჯებოდა და თავადაც ველარ ეცნო თავისი თავი. იგი მიაგავდა ცეცხლს, რომელიც თავდაპირველად შეუმჩნევლად ღვივის მანანას ქვეშ, შემდეგ კი ერთიმეორის მიყოლებით ედება ფიჭვის ყოველ ხეს, სათითაოდ, ვიდრე მთელი ტყე ჩირაღდნისებრ არ აგიზგიზდება. ნათესავთა თუ სტუმართა ამ ზღვა ხალხში არც ერთი სახე არ იყო ისეთი, ვისი შეხედვაც თვალს გაუხარდებოდა; მხოლოდ ანა... მაგრამ ანასთან განცდილი ბავშვური სიხარული მათ შორის ღღეს უფსკრულივით წვებოდა და დობილებს ერთმანეთს აცილებდა. ამიერიდან მათ მარტო სივრცე კი არ დააცილებდა, არამედ ის სულიერი განცდაც, რაიც ტერეზას უმანკო გულსა და სხეულს ელოდა. ანა იმ ნაპირას რჩებოდა, სადაც იცდიდნენ სხვა უბიწო არსებანი, ტერეზა კი იმ ბრბოს უნდა შერეოდა, ვნებებს აგრერიგად რომ ემონებოდნენ. მას გაახსენდა, როდესაც საკურთხეველში მისაღოცად მოსული თავისი მეგობრის მხიარული სახის საკოცნელად დაიხარა, თითქოს ფარდა აიწია და იხილა არარაობა ნეტარებით და მწუხარებით მოცულ ბუნდოვან სამყაროსი, რაიც თავადვე შექმნა. სულ რაღაც წამის განმავლობაში თვალნათლივ დაინახა ის მიჯნა, რაც შავბნელით მოცულ მის სულს ამ მხიარულსა და შეპუღრულ გოგონას აცილებდა.

ამ ღღის შემდეგ ბ.-სა და სენ-კლერში ხალხს დიდხანს ჰქონდა სალაპრაკოდ გამხდარი ეს გამაშის[1] ქორწინება, სადაც ასზე მეტი ფერმერი, მოიჯარე და მსახური სვამდა და ჭამდა მუხის ქვეშ, და მუდამ იხსენებდნენ, რომ პატარძალი, რომელიც, „მართალია, მზეთუნახავი არ იყო, მაგრამ ენით უთქმელი მომხიბლაობა ჰქონდა", იმ ღღით ყველას მახინჯად და საშინლად მოეჩვენა. „თავის თავს არ ჰგავდა, თითქოს სხვა ქალიშვილად ქცეულიყო"... მაგრამ ხალხი, ვინც ეს გარეგნული ცვლილება შენიშნა და ყოველივეს ქორწინების თეთრ ტანსაცმელს, სიცხესა და დაქანცულობას მიაწერდა, ვერ მიმხვდარიყო, რომ ეს მისი ჭეშმარიტი სახე იყო.

ნახევრად გლეხური და სანახევროდ ბურჟუაზიული ქორწინების შემდეგ, საღამოს, ჯვარდაწერილთა ავტომობილს გზადაგზა ჭრელაჭრულა ტანსაცმელში გამოწყობილი ქალიშვილები და გლეხები აჩერებდნენ,

---

[1] გამაშის ქორწინება — გულუხვი საქორწინო ნადიმი (ეს სახელი მომდინარეობს სერვანტესის „დონ კიხოტში" მდიდარი გლეხის გამაშის ქორწინების აღწერიდან).

სოფლელები გზაზე აკაციის ყვავილებს უფენდნენ. ავტომობილი უსწრებდა ფორნერს, რომელთა მეეტლეებიც სადავეებს ველარ იმაგრებდნენ, რადგან უკვე მოესწროთ გადაყლურწვა. ტერეზას გაახსენდა ღამე, რომელიც იმ დღეს მოჰყვა და ჩაიბუტბუტა: „საშინელი ღამე იყო". შემდეგ თავის თავს შეუტია: „არა, ღმერთო ჩემო, არცთუ ისე საშინელი"... იტალიაში მოგზაურობის დროს ვითომ იტანჯებოდა? არა, არა, იგი აიყოლია კიდევაც ამ თამაშმა, რომ თავი არ გაეცა არაფრით. დანიშნულის მოტყუება ადვილია, მაგრამ ქმრისა? სიტყვებით ვის არ გააბრუებ, საწოლში კი მეტი ხელოვნება მართებს ქალს. ყველას არ ძალუძს ყალბად გამოხატოს სურვილი, სიხარული, სანეტარო მოთენთილობა და ბედნიერ მეუღლედ მოაჩვენოს თავი. ტერეზამ შეძლო თავისი სხეული თვალთმაქცური ზრახვებისთვის დაემორჩილებინა და მით მწარე სიამოვნებას განიცდიდა. ღლემდე მისთვის სრულიად უცნობი შეგრძნების სამყაროში, სადაც იძულებით შეიყვანა მამაკაცმა, ტერეზას წარმოდგენით შეიძლება არსებობდეს ბედნიერება, მაგრამ რაგვარი? როდესაც ვუმზერთ პეიზაჟს შხაპუნა წვიმის, ჩამოქუფრული ნისლის დროს და ვცდილობთ წარმოვიდგინოთ როგორი იქნება იგივე მიდამო კაშკაშა მზით გასხივოსნებული, ისევე წარმოსახვით შეიგრძნო ტერეზამ ვნებიანობა.

ბერნარი მუდამ დაბნეული, ერთთავად გაჯავრებული იყო, რომ მუზეუმებში სურათების ნომრები არ ემთხვეოდა ბედეკერის[1] ცნობარის ნომრებს, თან უხაროდა, ასე მოკლე ხანში ამდენი რამის ნახვა რომ მოასწრო და ქალსაც სულ არ გასჭირვებია ასეთი კაცის გაბრიყვება! იგი ეძლეოდა სიამოვნებას მშვენიერი ვარდისფერი გოჭებივით, რომელთა ცქერა მოწნული ღობიდან ძლიერ თავშესაქცევია, როდესაც ისინი კმაყოფილი ღრუტუნით ერტყმიან გარს გობს („გობი მე ვარ", — ფიქრობდა ტერეზა). ბერნარს სიყვარულის წუთებშიც აჩქარებული, ხარბი და საქმიანი გამომეტყველება ჰქონდა. იგი მეთოდური იყო. „ეს მეტისმეტი ხომ არ არის?" — ხანდახან გაბედავდა ხოლმე კითხვას განცვიფრებული ტერეზა. ბერნარი იცინოდა და ამშვიდებდა. სად შეისწავლა ამგვარი დამაჯერებლობით ყოველივე იმის დახარისხება, რაც სიამოვნების განცდებს ეხებოდა და რაც ანსხვავებდა პატიოსანი მამაკაცის აღერსს სადისტის ხვევნა-კოცნისგან? არასოდეს შეყოყმანებულა. ერთხელ, პარიზში, უკან რომ ბრუნდებოდნენ, ბერნარმა დემონსტრატიულად დატოვა მიუზიკ-ჰოლი, თავზარდაცემული იყო ამგვარი

1 ბედეკერი — გზამკვლევი.

ურცხვი სპექტაკლით. „ხომ შეიძლება ამას უცხოელებიც ესწრებოდნენ! რა თავის მოჭრაა! ამის გამო უცხოეთში გაგვკიცხავენ!..“ ტერეზას ანცვიფრებდა იმ ადამიანის ასეთი კლემამოსილება, რომლის ავხორცულ ხუშტურებსაც ერთი საათის შემდეგ ბნელით მოცულ საძილე ოთახში თავად უნდა დამორჩილებოდა.

„საბრალო ბერნარი, იგი სხვებზე ცუდი არაა, მაგრამ ადამიანს ჟინი ურჩხულად გადააქცევს და ბუნებრივ სახეს აკარგვინებს. ისე ძლიერ არაფერი გვაძულებს ჩვენს თანამზრახველს, როგორც ცხოველური სიშმაგე. მე ყოველთვის ვუმზერდი სიამოვნებაში ჩაფლულ ბერნარს და შიშისაგან ვთრთოდი, თითქოს ამ გადარეულს, ეპილეფსიით შეპყრობილს რომ ჰგავდა, შეეძლო ჩემი დახრჩობა. ხშირად, როდესაც იგი სიტკბოების უკანასკნელ წვეთს შესვამდა, ხვდებოდა, რომ სულ მარტო იყო. შფოთიანი ვნება ქრებოდა. ბერნარს უბრუნდებოდა აზროვნება და გრძნობდა, რომ მე ვგავდი ტალღებით ნაპირზე გარიყულს, გაყინულს, კრიჭაშეკრულს“.

მხოლოდ ერთადერთი წერილი მიიღო ანასგან. გოგონას არ უყვარდა წერა. პირდაპირ სასწაული იყო, რომ წერილში ყოველი სტრიქონი ტერეზასთვის სასიამოვნოდ ჟღერდა. წერილებში არასოდეს გამოითქმის ის გრძნობა, რასაც სინამდვილეში განვიცდით, შიგ ისეთ რამეებსა ვწერთ, რაც მკითხველს გაახარებს. ანა ჩიოდა, აზეველოს ვაჟის ჩამოსვლის შემდეგ მოკლებული ვარ ვილმეჟას მხარეს გასეირნების ბედნიერებასო. იგი შორიდანვე ამჩნევდა გვიმრებს შორის ჩადგმულ ტახტს, ჭლექიანების დანახვა კი საოცარ შიშს ჰგვრიდა.

ტერეზამ ბევრჯერ გადაიკითხა ეს სტრიქონები და აღარაფერს ელოდა. მიუზიკ-ჰოლიდან წამოსვლის შემდეგ. დილას, მოულოდნელად, როდესაც ტერეზა ფოსტას ათვალიერებდა, მისდა გასაკვირად სამ კონვერტზე ანა დე ლა ტრავის ხელნაწერი შეიცნო. სხვადასხვა ქალაქებში, სადაც დაქორწინებულნი უნდა შეჩერებულიყვნენ, „მოკითხვამდე“ გაგზავნილი წერილები პარიზში გადაეგზავნათ. ტერეზამ ყველა ერთად მიიღო, რადგან სამოგზაურო გზა შეამოკლეს და, ბერნარის თქმისა არ იყოს, „ჩქარობდნენ თავიანთ ბუდეში დაბრუნებას“. სინამდვილეში კი ხანგრძლივად ერთად ყოფნა სტანჯავდათ. ბერნარს ენატრებოდა თავისი თოფ-იარაღი, ძაღლები და ფუნდუკი, სადაც პიკონის ღვინოს ისეთი გემო ჰქონდა, როგორიც არსად დაულევია... განსაკუთრებით ეს ყინულადქმნილი ქალი ულონებდა გულს, დამცინავიც რომ იყო და არ

უყვარდა გულახდილად გამოეხატა თავისი სიამოვნება, არ სურდა ისეთ თემებზე საუბარი, რაც ბერნარს მოსწონდა. ტერეზა კი სენ-კლერში დაბრუნებას გადასახლებამისჯილივით ესწრაფოდა, ცნობისმოყვარეობითა და მოუთმენლობით იყო აღსავსე, სურდა რაც შეიძლება მალე ეხილა ის კუნძული, სადაც წილად ხვდა მთელი სიცოცხლე გაეტარებინა. ტერეზა ყურადღებით დააცქერდა სამივე კონვერტის თარიღს. ბოლოს ამოირჩია ყველაზე გვიანი რიცხვით დათარიღებული წერილი. ბერნარმა უეცრად რაღაც შეჰყვირა, მაგრამ რას ამბობდა, ქალმა ვერ გაიგო გაღებულ ფანჯარაში შემოვარდნილი ავტობუსის გრიალის გამო. ბერნარმა მიატოვა პირის პარსვა, რომ დედამისის წერილი წაეკითხა. ტერეზას ახლაც თვალწინ უდგას ბამბის ქსოვილის ჟილეტი, ქმრის კუნთიანი მკლავები; სიბრაზისაგან გასწითლებოდა არა მარტო სახე, რომელიც ჩვეულებრივ ჩაყვითლებული ჰქონდა ხოლმე, არამედ კისერიცივლისის იმ დილით სულშემხუთავი პაპანაქება იდგა. თითქოს შებოლილი მზე მათი აივნის მიღმა შენობის კედლებს რაღაც ჩამკვდარ რუხ ფერსა ჰფენდა. ბერნარი წამოხტა და ტერეზასკენ გაემართა, თან ყვიროდა:

— არა, ეს უკვე მეტისმეტია! ხედავ, რა ხდება! შენი მეგობარი ანა ერთობ შორს შეიჭრა... ვინ იფიქრებდა, რომ ჩემი პაწაწინა დაიკო...

ტერეზამ გაოცებით შეხედა, ბერნარი განაგრძობდა:

— წარმოიდგინე, ანას აზევედოების ვაჟი შეჰყვარებია. მეტი რა მეთქმის, პირდაპირ შესანიშნავია! ის ჭლექიანის მოდგმისა, ისა, ვისთვისაც ვილმეჟაში აგარაკს აფართოებდნენ... დიახ, დიახ, ეს ამბავი სერიოზულ სახეს იღებს. ანა ამბობს, მოვიცდი, ვიდრე სრულწლოვანი გავხდებიო... დედა იწერება, მთლად გადარეულიაო... ნეტავი დეგილემების ყურამდე მაინც არ მივიდეს ეს ამბავი. თორემ ყმაწვილი კაცი უკან წაიღებს თავის სიტყვას. შენც ხომ არაფერსა გწერს ანა? ახლა ყველაფერს შევიტყობთ.. .აბა, რაღას უყურებ, გახსენი საჩქაროდ!

— თანმიმდევრობით მინდა წავიკითხო. თუმც შენ მაინც ვერ გაჩვენებ.

ასეთი ჩვევა აქვს ტერეზას, ბერნარმა იცის, ყოველთვის ყველაფერს ართულებს! მაგრამ ამჟამად ძირითადი და არსებითი ანას გონს მოყვანაა.

— ჩემი მშობლები შენზე ამყარებენ იმედს. თუ მოინდომებ, შეგიძლია ანა ყველაფერზე დაითანხმო. ისინი მხსნელივით მიგელიან.

ვიდრე ტერეზა ჩაიცვამდა, ბერნარი ტელეგრამის გასაგზავნად და

სამხრეთის ექსპრესზე ორი ბილეთის დასაკვეთად წავიდა. დაბრუნებულს ტერეზა უკვე მზად დახვდა, ბარგსღა ალაგებდა.

— რაღას უყურებ, რატომ ანას წერილებს არ კითხულობ?

— შენს გასვლას ველოდები.

მისი წასვლის შემდეგ ტერეზა დიდხანს იჯდა გაშტერებული. თვალები მოპირდაპირე აივანზე მიკრული ოქროსასოებიანი აბრისთვის მიეპყრო და ზედიზედ ეწეოდა სიგარეტებს. შემდეგ გადახსნა პირველი კონვერტი. არა, ყოვლად შეუძლებელია, ნუთუ ის პატარა, საყვარელი, სულელი, მონასტერში აღზრდილი, შეზღუდული გონების გოგონა იწერებოდა ასეთ გრძნობით აღსავსე, მწველ სიტყვებს? ტერეზა ხომ კარგად იცნობს მის მშრალსა და გაყინულ გულს, საიდანაც ახლა გადმოსჩქეფს ქებათა ქება, ვნებით და ბედნიერებით აღსავსე ჩივილი სიყვარულით შეპყრობილი ადამიანისა, ძახილი ნეტარებისგან მომაკვდავი სხეულისა, რომელმაც პირველად შეიცნო თავისი თავი.

„...როდესაც პირველად შევხვდი, არ მინდოდა მერწმუნა, რომ ის იყო. თავის ძაღლთან ერთად დარბოდა და მხიარულად გაჰყვიროდა. ნუთუ მასზე ამბობდნენ, მძიმე სენი სჭირსო? სრულიადაც არაა ავადმყოფი. იმ უბედურების შემდეგ, რაც მათ ოჯახს დაატყდა თავს, მშობლები ძლიერ უფრთხილდებიან. სუსტი აგებულებისა არაა, ბუნებრივადაა გამხდარი. ძლიერ გათამამებული და განებივრებულია... ტერეზა, რომ დაგენახა, როგორ გავრბივარ მისი მოსასხამის მოსატანად, მეშინია, არ გაცივდეს, როდესაც მზე ჩადის... ველარ მიცნობ, არც კი დაიჯერებ“...

იმ წუთს ბერნარი უკან რომ მობრუნებულიყო, დაინახავდა საწოლზე ჩამომჯდარ მისთვის სრულიად უცნობსა და უცნაურ არსებას. ტერეზამ სიგარეტი გადააგდო და მეორე კონვერტი გადახსნა.

„...დაველოდები იმ დროს, როცა შესაძლებელი იქნება ცოლად გავყვე. დავუცდი, რამდენსაც საჭიროება მოითხოვს. არავითარი დაბრკოლება არ მაშინებს. ჩემს სიყვარულს ყოველივე ეს არაფრად მიაჩნია. სენ-კლერიდან არსად მიშვებენ, მაგრამ არჟელუზი არც ისე შორსაა, მაინც მოვახერხებთ ერთმანეთს შევხვდეთ. გახსოვს მონადირეთა ქოხი? ძვირფასო, ეს შენ აღმოაჩინე ის ადგილი, სადაც მე ესოდენ ღრმა სიხარული ვიგრძენი... ოღონდ ნუ იფიქრებ, რომ ჩვენ რაიმე

ცუდს ვაკეთებთ. იგი მეტად ნატიფი და ფაქიზია... შენ წარმოდგენაც არა გაქვს მის მსგავს მამაკაცებზე... იგი ბევრს სწავლობდა, ბევრს კითხულობდა, შენსავით, მაგრამ ამგვარი რამ მამაკაცში არ მაღიზიანებს, არც არასოდეს მიფიქრია მისი გახედება. ახლა არაფერს დავზოგავდი, ოღონდ ისეთივე განათლებული ვიყო, როგორც შენა ხარ, ძვირფასო. ჰოი, რაოდენ ძლიერი უნდა იყოს ის სიამე, რაც ახლა შენ ხელთა გაქვს და მე ჯერ არ მიგემია, თუკი ამ ბედნიერების მოახლოებაც კი გულს ნეტარებით მივსებს! მონადირეთა ქოხში, სადაც ჩვენ საუზმით მივდიოდით ხოლმე, მე და ჟანი გვერდიგვერდ ვსხედვართ, მისი ხელი უმოძრაოდ ჩემს მკერდზე დევს, ჩემი კი მის მკერდს ეხება, სწორედ იმ ადგილს, სადაც ფეთქავს მისი გული (იგი ამას უწოდებს „ნებადართული ალერსის დასასრულს"). მე ამ ბედნიერებას თითქოს ხელის შეხებითაც შევიგრძნობ. ჩემს თავს ვეუბნები, ამ სიხარულს ის სხვა სიხარული მეტობს-მეთქი და როდესაც გაფითრებული ჟანი მცილდება, ჩვენი წარსული ალერსის მოგონებანი, ხვალინდელი დღის მოლოდინი ყურთასმენას მიხშობს და არ მესმის ჩივილი, ხვეწნა-მუდარა და წყევლა-კრულვა ხალხისა, რომელმაც არ უწყის და არც არასოდეს უწყოდა... ძვირფასო ტერეზა, მაპატიე, მე იმ ბედნიერებაზე გებაასები, რაც შენ უკვე შეიცანი; მე ხომ შენთან შედარებით გამოუცდელი მორჩილი ვარ. მწამს, შენც ჩვენ შემოგვიერთდები მათ წინააღმდეგ, ვინც ცდილობს ჩვენს დაცილებას"...

ტერეზამ მესამე წერილი გახსნა. მარტოოდენ რამდენიმე საჩქაროდ მინაწერი სიტყვა იყო:

„ჩამოდი, ძვირფასო. ჩვენ დაგვაშორეს. თვალს არ მაცილებენ. დარწმუნებულნი არიან, რომ შენც მათებურად განსჯი. ასე ვუთხარი, მხოლოდ ტერეზას გადაწყვეტილებას დავემორჩილები-მეთქი. ყველაფერს აგიხსნი: იგი არაა ავადმყოფი, მე ბედნიერი ვარ და ვიტანჯები. ბედნიერი ვარ, რომ ვიტანჯები მისი სიყვარულის გამო და მიყვარს მისი მწუხარება, ვითარც ნიშანი იმ სიყვარულისა, რასაც იგი ჩემ მიმართ განიცდის"...

ტერეზამ აღარ განაგრძო კითხვა. როდესაც წერილს უკანვე დებდა კონვერტში, ფოტოსურათს წააწყდა, რაც აქამდე არ შეენიშნა. მივიდა ფანჯარასთან და ფოტოსურათს დააცქერდა. ეს იყო ახალგაზრდა ვაჟი, რომელსაც თავი ხშირი თმის წყალობით დიდად მოუჩანდა. ტერეზამ იცნო ის ადგილი, სადაც ეს სურათი გადაელო; ბორცვზე დავი-

თის[1] მსგავსად აღმართულიყო ჟან აზეველო (ეს ბორცვი დანდების მიღმა მდებარეობდა, სადაც ცხვრები მიჰყავდათ საძოვარზე), ხელში ქურთუკი ეჭირა, პერანგი ოდნავ გადახსნოდა. „იგი ამას უწოდებს ნებადართული აღერსის დასასრულს", — გაახსენდა ანას სიტყვები. ტერეზამ შეხედა სარკეს და თავისმა გამოსახულებამ თავადვე შეაშინა. დიდი წვალებით გახსნა ბაგე და ნერწყვი გადაყლაპა. შემდეგ შუბლი და საფეთქლები ოდეკოლონით დაიზილა. „ანამ შეიცნო ის სიხარული... მე? მე?.. მე რაღა დავაშავე?" ფოტოსურათი მაგიდაზე იდო, შორიახლო ქინძისთავი ბრწყინავდა...

„დიახ, მე ჩავიდინე ეს, ეს მე ჩავიდინე... — ჩურჩულებდა ტერეზა მატარებლის რახრახში. — აგერ, უკვე ორი წელია, რაც სასტუმროს ოთახში ქინძისთავით გავხვრიტე იმ ჭაბუკის გული. ეს აღელვებით და სიშმაგით კი არა, დამშვიდებით მოვიმოქმედე. შემდეგ გახვრეტილი ფოტოსურათი პირსაბანში ჩავაგდე და წყალი მოვუშვი".

როდესაც ბერნარი დაბრუნდა, იგი გაახარა ტერეზას სერიოზულმა სახემ, მიხვდა, ბევრი უფიქრია და მოქმედების გეგმაც უკვე შემუშავებული აქვსო. კი მაგრამ, რად ეწევა ასე ბევრს? ამით თავს იწამლავს. ტერეზამ უთხრა, ჩემი აზრით იმ პატარა გოგონას ჭირვეულობას ყურადღება არ უნდა მივაქციოთ, ვეცდები რაიმე ჩავაგონოო... ბერნარს გულით უნდოდა, ტერეზას იგი დაემშვიდებინა; მაინც მხიარულად იყო, რადგან ჯიბეში მატარებლის ბილეთები ეგულებოდა. კმაყოფილებას განიცდიდა, მშობლები მისი ცოლისგან უკვე შველას რომ ითხოვდნენ. ტერეზას უთხრა, რარიგ ძვირიც არ უნდა დამიჯდეს, უკანასკნელი საუზმე ბულონის ტყეში უნდა გავმართოო. ტაქსიში ნადირობის სეზონის გახსნაზე ლაპარაკობდა: მოუთმენლად ველი იმ დროს, როდესაც ჩემს ძაღლს გამოვცდი, მას ხომ ბალიონი საგანგებოდ წვრთნის ჩემთვისო... დედაჩემი იწერება, ფაშატი ცხენი აღარ კოჭლობსო... რესტორანში ჯერ ცოტა ხალხი იყო, მაგრამ მრავალრიცხოვან მოსამსახურეთა წინაშე თავს უხერხულად გრძნობდნენ... ტერეზას გაახსენდა ნემსიწვერასა და საჭმელების ერთმანეთში არეული სურნელი. ბერნარს არასოდეს შეუსვამს „რჩეული"; „ეშმაკმა დაილახვროს, აქაც არა ჰქონიათ". ყოველთვის ხომ არ არის დღესასწაული. ბერნარის განიერი მხრების წყალო-

[1] დ ა ვ ი თ ი — ბიბლიური მეფე, რომელმაც სიჭაბუკის ჟამს ბუმბერაზი გოლიათი დაამარცხა.

ბით ტერეზა ვერ ხედავდა დარბაზს. ქუჩაში, ფანჯრების ვეებერთელა შუშებს იქით, როგორც ეკრანზე, ისე მოცურავდნენ ავტომობილები და უხმოდ ჩერდებოდნენ. ტერეზა უმზერდა ქმარს და ხედავდა, როგორ უთრთოდა საფეთქლებზე დაჭიმული ძარღვები. ორი-სამი ჭიქის შემდეგ ჭარხლისფერი დაედო. თავის ვრცელ მინდვრებს მოცილებულმა ლამაზმა, ჯანმრთელმა სოფლელმა ვაჟმა მაძღრისად სმა-ჭამის შემდეგ აღარ იცოდა, რაში მოეხმარა ძალ-ღონე. არა, ტერეზა მისდამი არც სიძულვილსა და არც ზიზღს არ განიცდიდა. მას ტანჯავდა განმარტოებით ყოფნის სურვილი, რომ უფრო თავისუფლად მისცემოდა ფიქრს და ამოეცნო, ასე მწარედ რად უკვნესოდა გული. სურდა, ბერნარი არ ჰყოლოდა გვერდით, რათა იძულებული არ გამხდარიყო ნაძალადევად გაეღიმა და ეჭამა, რომ ვალდებული არ ყოფილიყო კოხტად დაეჭირა თავი და თვალები მიებნიდა. უნდოდა მოეკრიბა გონება და თავის იდუმალ ტანჯვას ჩაფიქრებოდა: არსება, ვისი იმედიც გქონდა, რომ იმ განმარტოებულ კუნძულზე, სადაც ბედმა გადაგისროლა, მარად შენთან იცხოვრებდა, გაიქცა. ანა გადაახტა იმ უფსკრულს, რაც შენ სხვა ხალხს გაცილებდა, მან იპოვა ის სხვანი... ანამ სხვა პლანეტას მიაშურა... მაგრამ არა, ვის ძალუძს შეცვალოს პლანეტა თვისი? ანა ყოველთვის ისეთ ადამიანებს მიეკუთვნებოდა, რომელთა ცხოვრება უბრალოა და ნათელი. ანა, ვისაც ბევრჯერ დაუდვია თავი ტერეზას მუხლებზე და ტკბილ ძილს მისცემია, მხოლოდ აჩრდილი ყოფილა. ტერეზას თურმე დღემდე არ სცნობია ანა დე ლა ტრავი, ის, ვინც ახლა არჟელუზისა და სენ-კლერის გზაზე განმარტოებულ ქოხში ხვდება ჟან აზევედოს.

— რა გემართება, რატომ არაფერსა ჭამ? ცოდვაა რჭიმეს დატოვება. ამ საუზმის გამო საკმარისად გაგვაძრეს ტყავი. იქნებ სიცხის ბრალია? აბა, შემომხედე! ნუთუ ფეხმძიმედ ხარ? უკვე...

ტერეზას ღიმილმა ოდნავ გაუპო ბაგე. ანას ამბავზე ვფიქრობო, უთხრა (უნდოდა ანაზე ელაპარაკა) და რაკი ბერნარმა მიუგო, არხეინად ვარ, რადგან ეგ საქმე შენს თავზე აიღეო, ტერეზამ ჰკითხა, რატომ არიან შენი მშობლები ამ ქორწინების წინააღმდეგიო. ბერნარმა ეს კითხვა დაცინვად მიიღო და სთხოვა, შენებურ პარადოქსებს ნუ მოჰყვებიო.

— უპირველეს ყოვლისა, მშვენივრად იცი, რომ ებრაელები არიან. დედა იცნობდა ამ აზევედოს პაპას, სწორედ იმას, ვინც არ მოისურვა რჯულის გამოცვლა.

მაგრამ ტერეზამ თქვა, ბორდოში ყველაზე ძირძველი გვარიშვილები პორტუგალიელი ებრაელები არიანო.

— აზევედოები ჯერ კიდევ მაშინ იყვნენ ცნობილნი, როდესაც ჩვენი წინაპრები, საბრალო მწყემსები, ჭაობში გდებით ციებისაგან კბილს კბილზე აცემინებდნენ.

— ტერეზა, გაჩერდი. შენ კამათის გუნებაზე ხარ და ეგ არის; რაც გინდა თქვი, ებრაელები მაინც ებრაელებად რჩებიან... ესეც არ იყოს, ეს გადაგვარებულთა ოჯახია. ჭლექისაგან არიან შეჭმულები, მთელმა ქვეყანამ იცის.

ტერეზამ სიგარეტს მოუკიდა, მისი ასეთნაირი ხელის მოძრაობა ყოველთვის ანერვიულებდა ბერნარს.

— აბა გაიხსენე, რისგან გარდაიცვალა პაპაშენი, პაპის მამა? იქნებ არ იცი? ცოლად მთხოულობდი და ნუთუ არ დაინტერესდი რა სნეულებამ მოუღო ბოლო დედაჩემს? შენ გგონია, ჩვენს წინაპრებში ვერ აღმოვაჩენთ ჭლექითა და ათაშანგით დაავადებულთ, რომელნიც მოწამლავენ მთელ შთამომავლობას?

— შენ ძლიერ ღრმად იჭრები, ტერეზა. გთხოვ, დაიმახსოვრო, რომ ხუმრობითაც კი არ შეიძლება ჩვენი გვარის აუგად ხსენება.

ბერნარი განაწყენდა, გაიფხორა. უნდოდა ცოლი დაეჯაბნა და თან სასაცილოც არ გამოჩენილიყო მის თვალში. მაგრამ ქალი თავისას არ იშლიდა:

— სასაცილოდ მეჩვენება ჩვენი ოჯახების კეთილგონიერება და თხუნელასებრი სიფრთხილე. ისინი შიშისაგან თრთიან სააშკარაოზე გამოტანილი ბიწიერების გამო, საიდუმლოდ დაფარულ მრავალრიცხოვან მანკიერებას კი არაფრად აგდებენ. შენ არაერთხელ გიხმარია ამგვარი გამოთქმა: „საიდუმლო სნეულებანი"... ასეა, ხომ? განა ეს „საიდუმლო სნეულებანი" ყველაზე უფრო საშიში არაა ერისთვის? ჩვენი ოჯახები ამაზე არ ფიქრობენ. მათ ესმით მხოლოდ ის, რომ „თავიანთი სიბინძურე გარეთ არ უნდა გამოიტანონ". იციან ოჯახურ საიდუმლოებათა დაფარვა. მოსამსახურეები რომ არა, ამ საიდუმლოებას ვერავინ გაიგებდა. მაგრამ საბედნიეროდ არსებობენ მოსამსახურეები...

— არც კი გიპასუხებ, ტერეზა. როცა აიწყვეტ, ყველაფერს სჯობს დაველოდო, როდის ინებებ გაჩერებას. ჩემთან კიდევ არა უშავს, ციცი, თავს იქცევ ამით. მაგრამ ნუ დაგავიწყდება, შინ თავი შეიკავო. ჩვენ არ გვიყვარს ჩვენი გვარის აუგად ხსენება.

გვარი! შთამომავლობა! ტერეზას არც კი შეუნიშნავს, რომ სიგარეტი ჩაუქრა. თვალგაშტერებული შესცქეროდა მის წინ ცხაურივ აღმართულ გალიას, რომელსაც უამრავი ცოცხალი ცხაური ჰქონდა, ათასი

თვალი ება, ათასი ყური... ამ კედლების შიგნით მოკრუნჩხული იჯდა ტერეზა, ნიკაპი მუხლებზე დაეყრდნო, ფეხებზე ხელები შემოესალტა და ასე გარინდულიყო სიკვდილის მოლოდინში.

— კარგი, ტერეზა, ასე ნუ იგრიხები. ნეტა შენი თავი დაგანახა!

ტერეზამ გაიღიმა და კვლავ ნიღაბი აიფარა.

— მე მხოლოდ ვხუმრობ. რა გულუბრყვილო ხარ, ძვირფასო.

ტაქსიში, როდესაც ბერნარი მას მიეკრა, ტერეზამ ხელისკვრით მოიცილა.

რაკი მეორე დღეს მშობელ მხარეში უნდა დაბრუნებულიყვნენ, ადრე, ცხრა საათზე დაწვნენ. ტერეზამ ძილის წამალი დალია, თუმცა ძილი არ ეკარებოდა. რამდენიმე ხანს გარინდული იწვა, მაგრამ ბერნარი ძილში გაუგებრად ადუდუნდა, გაინძრა და ტერეზა გამოაფხიზლა. იგი გრძნობდა თავის გვერდით ვეებერთელა ცხელ სხეულს. ტერეზამ, იქნებ აღარ შევიგრძნო სხეულის სიცხოველეო, საწოლის კიდისკენ გაიწია. მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ ბერნარმა კვლავ გაიწვდინა ხელი მისკენ, თითქოს მისი სხეული უგონო ძილშიაც დაეძებდა თავის მსხვერპლს. ქალმა კვლავ უხეშად უბიძგა ხელი და კინაღამ გამოაღვიძა. ნეტა შეეძლოს ერთხელ და სამუდამოდ მისი მოცილება, რომ სიბნელეში, საწოლში, თავის გვერდით აღარ შეიგრძნოს ეს მხურვალე სხეული!..

სარკმლის მიღმა, ღამის წყვდიადში ჩაფლული პარიზის ცხოვრება იდუმალებას მოეცვა. ავტომობილების საყვირების მოძახილები არჟელუზის მამლების ყივილსა და ძაღლების ყეფას წააგავდა, მთვარიან ღამეში რომ გაისმის ხოლმე. ღია ფანჯრიდან ოდნავი სიოც კი არ ქროდა. ტერეზამ ლამპა აანთო და ბალიშზე იდაყვებდაყრდნობილი ოცდაშვიდი წლის უმოძრაო, მძინარე მამაკაცის სხეულს დააცქერდა. ბერნარს საბანი გადახდოდა; მისი სუნთქვაც კი არ ისმოდა. აბურძგნილი თმა შუბლზე ჩამოშლოდა. ამ უმწეო, შიშველ ადამიანს ღრმა, თითქოს სამუდამო ძილით ეძინა. ქალმა საბანი დააფარა, წამოდგა, მონახა ერთ-ერთი წერილი, ლამპასთან მივიდა და შეწყვეტილი კითხვა განაგრძო:

„...მას რომ ეთქვა, გამომყევიო, ერთი წუთითაც არ დავფიქრდებოდი, მივატოვებდი ყველაფერს და უკან არც მოვიხედავდი. ჩვენ ვერ მივედით აღერსის უკანასკნელ მიჯნამდე, ეს ჩემი წინააღმდეგობით არაა გამოწვეული, მისი სურვილია. იგი ჯიუტობს, მე კი მსურს შევიჭრა იმ უხილავი ნეტარების სამყაროში, რაც, მისი თქმით, უფრო აახლოებს ქალ-ვაჟს და უფრო მეტ სიხარულს ანიჭებს, ვიდრე სხვა ყოველივე. ეამაყება კიდეც, რომ ახერხებს თავდაღმართში არ დაცურ-

დეს და მეუბნება, ერთხელ შეცდენილნი თავშეუკავებლად მიექანებიან ძირსო"...

ტერეზამ წვრილ ნაკუწებად აქცია წერილი, ფანჯარა გამოაღო და ძირს ქვაფენილზე გადაუძახა, სადაც გამეფებულ მდუმარებას მარტოდ მიმავალი ფორნის რახრახი არღვევდა. წერილის ნაფლეთები ფარფატით ცვიოდა ქვედა სართულის აივნების მოაჯირებზე. ახალგაზრდა ქალი ხარბად ისუნთქავთა ბაღახთა სურნელებას. ნეტავი რომელი სოფლიდან შემობერა მინდვრის სურნელებამ ამ ასფალტის უდაბნოში? ტერეზამ წარმოიდგინა თავისი სხეული ფილაქანზე დაცემული, დამტვრეული და დამახინჯებული. ირგვლივ პოლიციელთა და უსაქმურთა ჩოჩქოლი... არა, ტერეზა, შენი გონება იმდენად ძლიერია, რომ წინ აღუდგება ამ უაზრო ზრახვებს. კაცმა რომ თქვას, მართლა როლი სურდა სიკვდილი. საჩქარო საქმე ჰქონდა, არც შურისგება სწყუროდა, არც სიძულვილი. სენ-კლერში მყოფმა ბედნიერებაში დარწმუნებულმა პატარა სულელმა გოგონამ უნდა გაიგოს, როგორც ტერეზამ, რომ ბედნიერება არ არსებობს. თუ მათ საერთო ალარაფერი აქვთ, მაშინ ეს მაინც იყოს საზიარო: მოწყენილობა, უფერული და ულიმლამო ცხოვრება. მაღალი იდეალებისა და ღირსეული მოვალეობის უქონლობა. უიმედო და უნუგეშო მარტოობა. რიჟრაჟმა სახურავები გაანათა. ტერეზა ისევ დაწვა ბერნარის გვერდით. მძინარე ქმარი კვლავ მისკენ მიჩოჩდა.

ტერეზამ დამშვიდებულმა და ნათელი აზროვნებით აღსავსემ გაიღვიძა. რა საჭიროა ეძებოს რაღაც შეუძლებელი? ოჯახი მისგან შე...დას ითხოვს და იგი ისე იმოქმედებს, როგორც მოვალეა მოიქცეს. დარწმუნებულია, არ გადუხვევს იმ გზიდან, სადაც უნდა გაიაროს. ტერეზა კვერს უკრავდა ბერნარს, როცა ის გაიძახოდა, დეგილემის ვაჟი ანამ ხელიდან არ უნდა გაუშვასო. დეგილემები მათ წრეს არ ეკუთვნოდნენ. მათი პაპა მწყემსი იყო... სამაგიეროდ მათ ყველაზე საუკეთესო ფიჭვის ტყე აქვთ. ანა კი არცთუ ისე მდიდარი იყო. მას მამისგან დარჩება მხოლოდ ვენახები დაჭაობებულ დაბლობზე, ლანგონის ახლოს, რომელსაც ყოველ ორ-სამ წელიწადში წყალდიდობა აფუჭებს. ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ანას დეგილემის ვაჟი ხელიდან არ წაუვიდეს. ლილით ოთახში შოკოლადის სურნელება შემოიჭრა, ტერეზამ გულის რევა იგრძნო... ამ უქეიფო შეგრძნებამ ერთხელ კიდევ დაადასტურა მისი ეჭვი. დიახ, იგი უკვე ფეხმძიმედ იყო! „უმჯობესია, ეს ახ-

დავე მოხდეს, მერე საზრუნავი და საფიქრალი აღარა იქნება რა“, — ამბობდა ბერნარი. იგი მოწიწებით უცქეროდა ქალს, რომელიც მკერდის ქვეშ წარაფების მომავალ მფლობელს ატარებდა.

## V

სენ-კლერი, ახლა სენ-კლერი იქნება... ტერეზა ზომავს გზას, რომელიც მრავალჯერ წარმოიდგინა გონების თვალით. შეძლებს კი დაითანხმოს ბერნარი, რომ ეს გზა ფეხით განვლონ? იმედი არა აქვს, რომ ბერნარი წაჰყვება ოღროჩოღრო გზაზე ნელი ნაბიჯებით. გზადაგზა მოუყვებოდა ბერნარს ყველაზე უფრო საყურადღებოს: „როდესაც ორივენი ხევს მივაღწევთ, კიდევ ბევრი რამ მექნება სათქმელი“. იგი ცდილობს გამოიცნოს საკუთარი თავი. გონებაში ეკითხება ახალგაზრდა, გათხოვილ ბურჟუა ქალს, ვისი გონიერებაც ყველას ცამდე აჰყავდა, ახსენდება დედამთილისა და მამამთილის გრილსა და ბნელ სახლში გატარებული პირველი კვირა. მოედანზე გამავალი ფანჯრები მუდმივად დარაბებით იყო ჩაგმანული. მაგრამ მარცხნივ ლიობიდან მოჩანდა ბაღი, სადაც ნემსიწვერები, პეტუნიები და მოლურჯო ჰელიოტროპები ჰყაოდნენ. ცოლ-ქმარი დე და ტრავები პირველ სართულზე ბნელ, პატარა სასტუმროში ბჭობდნენ; ანას გასვლა აკრძალული ჰქონდა და ბაღში დახეტიალობდა, ტერეზა მათი შუამავალი იყო. ენდობოდნენ, თანამზრახველადაც თვლიდნენ. იგი ეუბნებოდა ცოლ-ქმარ დე და ტრავებს: „პატარა დათმობაზე უნდა წახვიდეთ! ვიდრე რაიმეს გადაწყვეტთ, მოგზაურობა შესთავაზეთ. ვიმედოვნებ, დათანხმდეს. მე დავიყოლიებ. თქვენი აქ არყოფნის დროს მე ვიმოქმედებ“. როგორ? მშობლები ხედავდნენ, რომ ტერეზას ახალგაზრდა აზევედოს გაცნობის სურვილი ჰქონდა:

— დედა, ასეთი აშკარა ბრძოლით ვერაფერს გახდებით, — ეუბნებოდა იგი დედამთილს.

ქალბატონი დე და ტრავი გულს იმშვიდებდა, მადლობა ღმერთს, ეს ამბავი არავის გაუგიაო. მხოლოდ ფოსტაში მომუშავე ქალმა მონომ იცოდა ეს საიდუმლოება. ანას რამდენიმე წერილიც კი დააკავა: „ის კი სამარესავით უტყვია, ჩვენი ხათრით არაფერი წამოსცდება“.

— ვეცადოთ, ანას ტანჯვა შევუმსუბუქოთ. — გაიძახოდა ჰექტორ დე და ტრავი. მას ძლიერ უყვარდა ანა და ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინ შვილს ყოველგვარ სულელურ ახირებას უსრულებდა. მაგრამ ახლა მხო-

ლოდ კვერს უკრავდა თავის ცოლს და ამბობდა: ერბო-კვერცხს ვერ მოამზადებ, თუ კვერცხს არ გატეხო. ანა „ბოლოს მადლობასაც გვეტყვის". საშიშია, ვაითუ ავად გახდეს! მამა და დედა ჩუმდებოდნენ და შეშფოთებული უცქეროდნენ ერთმანეთს. ისინი გონების თვალით ხედავდნენ თავიანთ გოგონას, რომელიც მზით განათებულ ბაღში ბორგავდა, ზიზღით ხელს ჰკრავდა საჭმელს და დღითი დღე ხდებოდა. ვერ ამჩნევდა, როგორ თელავდა ყვავილებს, ლობეს აწყდებოდა, ნუკრივით ცდილობდა ეპოვა გასაძრომი. ქალბატონი დე და ტრავი თავს აქნევდა:

— ხომ არ შეიძლება მის მაგიერ მე დავლიო ხორციანი წვენი. იგი ბაღში ხილს ჭამს, რათა სადილობისას პირი არ დააკაროს საჭმელს.

ჰექტორ დე და ტრავი დასძენდა:

— მერე ჩვენვე გვისაყვედურებს, რატომ მომეცით დასტური ამ ქორწინებაზეო... საყვედურის მიზეზი კი ის უბედური ავადმყოფი შთამომავლობა იქნება, ამქვეყნად რომ მოავლენს.

ცოლი ჯავრობდა, რომ ჰექტორ დე და ტრავი თითქოს თავს იმართლებდა.

— კიდევ კარგი, დეგილემები ჯერ არ დაბრუნებულან! ბედნიერებაა, რომ ისინი ასე ებღაუჭებიან ამ ქორწინებას!

ცოლ-ქმარი უცდიდა ტერეზას სასტუმრო ოთახიდან გასვლას, რომ უფრო გულითადი საუბარი დაეწყო:

— ვინ იფიქრებდა ანასგან ამგვარ რამეს? იქნებ მონასტერში გამოუტენეს თავი ამგვარი უმსგავსობით! ჩვენს სახლში წესიერი ყოფაქცევის მეტი არაფერი უნახავს. მუდამ ყურადღებას ვაქცევდით, რას კითხულობდა. ტერეზა ამბობს, გოგონებზე ყველაზე ცუდ გავლენას ისეთი რომანების კითხვა ახდენს, რაც ლიტერატურაში „სამაგალითო ნიმუშად" ითვლებაო... მაგრამ ტერეზას ახირებული ლაპარაკი სჩვევია, ესეც არ იყოს, მადლობა ღმერთს, ანა მაინცდამაინც არაა კითხვით გატაცებული. ჩემს ღლეში არ გამიგდებინებია წიგნი ხელიდან, ანა სამაგალითო მეუღლედაა შექმნილი. ჭეშმარიტი დე და ტრავია. კარგი იქნებოდა სადმე წაგვეყვანა... გახსოვს, როგორ უშველა სადიმ მას შემდეგ, რაც წითელა გადაატანა და ბრონქიტიც ზედ დაერთო? უმჯობესია, იქ წავიდეთ, სადაც თვად მოისურვებს. უნდა გვეცოდებოდეს საბრალო გოგონა. — ბატონმა დე და ტრავმა მძიმედ ამოიოხრა: — ეჰ, ჩვენთან ერთად წასვლა მისთვის რა სასიხარულო იქნება...

მის მეუღლეს ცოტა ყურთ აკლდა და როცა ჰკითხა, რა თქვიო, ჰექტორმა უპასუხა:

— არაფერი, არაფერი. — ნეტავ რომელი ბედნიერი მოგზაურობა

და ნეტარებაში განვლილი საათები მოაგონდა ამ ოჯახურ კეთილდღეობაზე ზრუნვაში დაბერებულ მამაკაცს.

ტერეზამ ბაღში იპოვა ყმაწვილი ქალი, რომელსაც შარშანდელი კაბა საგრძნობლად დასრულებოდა.

— აბა, რას იტყვი? — შესძახა მისკენ მომავალმა მეგობარმა. რა დაავიწყებს ტერეზას რუხი ფერის მტვერით დაფარული ბილიკების, ჭკნობაში შესული ნემსიწვერების სურნელებას, პირქუშ ამომშრალ გუბეებს და ვნებისაგან უფრო მეტად დამწვარ გოგონას, ვიდრე აგვისტოს პაპანაქებისგან გადატრუსული ყვავილები არიან ხოლმე. ახსენდება ჭექა-ქუხილი და კოკისპირული წვიმები; ზოგჯერ ტერეზა და ანა თავს ორანჟერეას აფარებდნენ. სეტყვა შუშებზე აბრახუნებდა.

— რა გაბრკოლებს, რომ არ მიდიხარ, სულ ერთია, ხომ მაინც ვერ ხედავ?

— მართალია, ვერ ვხედავ, მაგრამ ვიცი, რომ აქედან ათი კილომეტრის მანძილზე ცხოვრობს და სუნთქავს. როდესაც აღმოსავლეთის ქარი ქრის, ვიცი, რომ მე და ჟანს ერთსა და იმავე დროს გვესმის ზარების გუგუნი. ნუთუ შენთვის სულ ერთია ბერნარი პარიზში იქნება თუ არჟელუზში? თუმც ჟანს არა ვხვდები, მაგრამ ვიცი, რომ აქვე ახლოსაა. კვირაობით, წირვაზე, თავის მიტრიალებასაც კი ვერ ვბედავ, რადგან სადაც მე ვდგავარ, იქიდან მხოლოდ საკურთხეველი მოჩანს, სვეტი კი იქ მყოფს ეფარება. სამაგიეროდ გამოსვლისას...

— ამ კვირას არ ყოფილა წირვაზე?

ტერეზამ იცოდა ეს, ისიც იცოდა, დედის მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი ანა როგორ დაეძებდა თვალებით მიჯნურს, რომელიც იქ არ იყო.

— იქნებ ავად არის... მის წერილებს აკავებენ. არაფერი ვიცი მასზე.

— ნუთუ აქამდე ვერ მოახერხა რაიმე ეცნობებინა?

— შენ რომ მოინდომო, ტერეზა... კარგად მესმის, რომ უხერხულობას გრძნობ...

— პირობა მოგვეცი, რომ წახვალ სამოგზაუროდ და შენი არყოფნის დროს შეიძლება...

— ვერ ავიტან მასთან განშორებას!

— ძვირფასო! სულ ერთია, ადრე თუ გვიან, უნდა შეურიგდე ამ აზრს. რამდენიმე კვირაში იგი წავა არჟელუზიდან.

— ოჰ, გაჩუმდი! უზომოდ მტანჯავს ეს ფიქრები! არც ერთი საიმედო სიტყვა არ უთქვამს ჩემთვის, რომ ეს გაწამებული ცხოვრება შეემსუბუქებინა. ამას სიკვდილის პირამდე მივყავარ. მის სიტყვებს მრავალჯერ ვიმეორებ და ისე მეჩვენება, თითქოს არასოდეს უთქვამს. ახლაც ნათლად მესმის ის, რასაც უკანასკნელ პაემანზე მეუბნებოდა: მე თქვენს მეტი არავინ მაბადიაო. არა, ასე კი არა, ჩემთვის თქვენ ყველაზე ძვირფასი ხართო... ძალა არ შემწევს ყოველივე ზუსტად გავიხსენო.

შუბლშეკრული ანა ცდილობდა დაეჭირა იმ სანეტარო სიტყვების გამოძახილი, რომელთა მნიშვნელობასაც უსასრულოდ განავრცობდა.

— მაინც როგორია ის ვაჟი?

— შენ ვერ წარმოიდგენ...

—ასე ცოტათი ჩამოჰგავს სხვებს?

— ძალიან მინდა აგიწერო... თუმცა ვერ შევძლებ სრულყოფილად წარმოგიდგინო... შეიძლება ჩვეულებრივ ადამიანადაც მოგეჩვენოს... მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ არა.

სიყვარულის იმ დიდი ხანძრის წყალობით, ახალგაზრდა ვაჟმა რომ გააღვივა ანას გულში, ვერასოდეს შეძლებდა ჭეშმარიტად შეეფასებინა იგი. „ვნება მე უფრო შორსმჭვრეტელ ადამიანად გადამაქცევდა. — ფიქრობდა ტერეზა. — ვინც ასეთ ძლიერ სიყვარულს აღმიძრავდა, ვურაფერს გამომაპარებდა“.

— ტერეზა, თუ სამოგზაუროდ წასვლას გადავწყვეტ, შენ ხომ შეხვდები და გადმომცემ მის ნალაპარაკევს? გადასცემ ჩემს წერილებს? ოღონდ თუ მეყოფა გამბედაობა, რომ წავიდე...

სინათლისა და პაპანაქების სამყაროდან ტერეზა გზააბნეულ კრაზანასავით კვლავ ჩაბნელებულ სასტუმროს დაუბრუნდა, სადაც ანას მშობლები უცდიდნენ აგრილებას და თავიანთი ქალიშვილის მოთვინიერებას. ტერეზას მრავალჯერ მოუხდა ბაღში წასვლა და უკანვე დაბრუნება, სანამ ანას გამგზავრებაზე დაიყოლიებდა. ვერც მიაღწევდა თანხმობას, დეგილემების მოულოდნელი ჩამოსვლა რომ არა. ანას თავზარი დასცა ახალმა საშიშროებამ. ტერეზა ჩასჩიჩინებდა, ასეთი მდიდარი კაცის კვალობაზე ეს დეგილემი არცთუ ისე ცუდად გამოიყურებაო.

— ტერეზა, მე ხომ წესიერად არც კი მინახავს. ელამიცაა, მელოტიც და მოხუციც.

— ოცდაცხრა წლისაა...

— აკი გეუბნები, მოხუცია-მეთქი. ბოლოს და ბოლოს, მოხუცია თუ არა, არ მეპრიანება.

ვახშამზე მშობლები ბიარიცზე საუბრობდნენ, მსჯელობდნენ, რომელ სასტუმროში აელოთ ოთახი. ტერეზა უმზერდა გაშტერებულ, გაყინულ ანას, რომელსაც სიცოცხლის ნიშანწყალიც არ ემჩნეოდა.

— უნდა გამაგრდე... უნდა აიძულო თავი, — ჩასჩიჩინებდა ქალბატონი დე და ტრავი. ანას ანგარიშმიუცემლად მიჰქონდა კოვზი ტუჩებთან. თითქოს მის თვალებში შუქიც ჩამქრალიყო. ანასთვის არავინ არსებობდა შორს მყოფი საყვარელი ადამიანის გარდა. მოგონებაში ჩაფლულს ხანდახან ოცნებით ღიმილი გადაურბენდა, როდესაც გაახსენდებოდა ვაჟისგან წარმოთქმული რაიმე სიტყვა ანდა ალერსი, ოდეს მონადირეთა ქოხში ჟან აზევედოს ძლიერმა ხელმა შემთხვევით საკინძე გაუხია. ტერეზა შესცქეროდა თეფშზე დახრილ ბერნარს: იგი სინათლისკენ ზურგშექცევით იჯდა და ქალი ვერ ხედავდა მის სახეს. სამაგიეროდ ესმოდა დინჯი ღეჭვა და ენის წლაკუნი, ბერნარისთვის ხომ წმიდათაწმიდა იყო ჭამა-სმის წესის შესრულება. ტერეზა წამოდგა მაგიდიდან. დედამთილმა თქვა:

— ტერეზას არ სიამოვნებს, თუ ვინმე შენიშნავს უქეიფობას. მინდა გავანებივრო და ველოლიავო, მაგრამ არ უყვარს, როდესაც მასზე ზრუნავენ. მისი ამგვარი მიზეზიანობა ბუნებრივია ფეხმძიმობის დროს. ეს კია, მეტისმეტად ბევრს ეწევა. — შემდეგ თავისი ფეხმძიმობა გაიხსენა: — ბერნარის მოლოდინში რომ ვიყავი, რეზინის ბურთის სუნი მსიამოვნებდა. მხოლოდ მაშინ ვგრძნობდი შვებას.

— ტერეზა, სადა ხარ?

— აქ, სკამზე.

— ჰო, როგორ არა, ვხედავ, როგორ ანათებს შენი სიგარეტი.

ანა გვერდით მიუჯდა, თავი ტერეზას გაშეშებულ მხარს მიაყრდნო, თან ზეცას უმზერდა და ლაპარაკობდა:

— იგი ხედავს ამავე ვარსკვლავებს, ისმენს მწუხრის ზარების რეკვას... — შემდეგ უცებ დაუმატა: — ტერეზა, მაკოცე.

მაგრამ ტერეზა არ განძრეულა, არც გადახრილა მიამიტად მოყრდნობილი სახისაკენ. მან მხოლოდ ჰკითხა:

— გიჭირს?

—არა, ამ საღამოს აღარ განვიცდი ტანჯვას. და მივხვდი, რომ რა გზითაც არ უნდა წავიდეთ, საბოლოოდ მაინც ერთმანეთს შევხვდებით. ახლა დამშვიდებული ვარ. მთავარია, მან იცოდეს ყოველივე. ეს შენ უნდა აცნობო, ტერეზა. გადავწყვიტე წავიდე სამოგზაუროდ, მაგრამ,

როდესაც დავბრუნდები, ყოველგვარ დაბრკოლებას გადავლახავ, კედლებს გავარღვევ. ადრე თუ გვიან, მაინც დავეკონები მის მკერდს. ეს ისეთივე ჭეშმარიტებაა, როგორც ის, რომ ახლა მე შენ გიცქერი. არა, ტერეზა, გემუდარები, ნუ დამიწყებ ჭკუის დარიგებას, ოჯახის სახელს გაუფრთხილდიო.

— ოჯახზე კი არა, მასზე ვფიქრობ, ძვირფასო! არ შეიძლება ასე შეჭრა მამაკაცის ცხოვრებაში. მასაც აქვს ოჯახი, გააჩნია საკუთარი ინტერესები, სამუშაო, რაიმე კავშირი...

— არა, თვითონვე მითხრა: თქვენს მეტი არავინ გამაჩნიაო... მეორეჯერ კი ასე თქვა: ამჟამად ჩვენი სიყვარული ჩემთვის ყველაზე ძვირფასიაო...

— ამჟამადო?:

— რა იფიქრე? იქნებ გინდა თქვა, რომ მხოლოდ იმ წუთზე დაპარაკობდა?

ტერეზასთვის აღარ იყო საჭირო ეკითხა, იტანჯებოდა თუ არა ანა. თუმც წყვდიადში ვერ ხედავდა მის სახეს, მაგრამ ხმაზე ამჩნევდა, რაოდენ ღრმა მწუხარება იმალებოდა მის გულში. ტერეზას არავითარი სიბრალული არ აღძვრია მის მიმართ. რატომ უნდა შებრალებოდა? აღბათ რა დიდ ნეტარებას ანიჭებდა მისი სახელის წარმოთქმა, ვისთანაც ესოდენ ღრმა სიყვარული აკავშირებდა, მხოლოდ ის ფიქრი, რომ იგი ცოცხლობს, სუნთქავს, იძინებს თავქვეშ ამოდებულ მკლავებზე, იღვიძებს გარიჟრაჟზე, მისი ახალგაზრდა სხეული მოძრაობს სიბნელეში...

— ტირი, ტერეზა? ჩემი გულისათვის ტირი? მითხარი, ძალიან გიყვარვარ?

გოგონამ დაიჩოქა, თავით ტერეზას მუცელს მიეკრა, უეცრად ისევ ფეხზე წამოიჭრა.

— მე ვიგრძენი, თითქოს შიგნით რაღაც ინძრევა, ტოკავს.

— ჰო, აი უკვე რამდენიმე დღეა, მოძრაობა დაიწყო.

— პატარამ?

— ჰო, უკვე ცოცხალია.

ორივენი შინ დაბრუნდნენ ხელიხელგადახვეულები, როგორც ოდესღაც ნიზანის და არჟელუზის გზებზე დადიოდნენ. ტერეზას გაახსენდა რა საშინელი განცდა იყო სხეულში მოძრავი ტვირთის შეგრძნება; მისი სხეულის წიაღში რა შავბნელი ვნებათა ღელვა უნდა გადასცემოდა ამ ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ არსებას. გაახსენდა როგორ იჯდა თავისი ოთახის ღია სარკმელთან (ბერნარი ბაღიდან უყვიროდა: სინათლე

არ აანთო, ოთახში ქინქლები შემოფრინდებიანო). ქადი ანგარიშობდა, რამდენი თვე დარჩა ბავშვის დაბადებამდე. უნდოდა ერწმუნა ღმერთი: მაშინ იგი შეჰღაღადებდა უფალს, რომ იმ უხილავ არსებას, რომელსაც საკუთარი სხეულით ატარებდა, არასოდეს ეხილა დღის სინათლე.

## VI

უცნაურია, რომ ანასა და მისი მშობლების გამგზავრების შემდგომი პერიოდი ტერეზასათვის თითქოს ბურუსით იყო მოცული. არჟელუზში, სადაც აზეველოს უნდა შეხვედროდა, რათა ჩამოეცილებინა იგი ანასთვის ცხოვრების გზიდან, მხოლოდ მყუდროებაზე, დასვენებაზე ფიქრობდა და ძილი თავს ართმევდა. ბერნარი დათანხმდა დაეტოვებინა თავისი სახლი და ტერეზას უფრო კეთილმოწყობილ სახლში გადასულიყო, სადაც მამიდა კლარა თავად იკისრებდა დიასახლისის მოვალეობას. გაოგნებული ტერეზა მხოლოდ ფეხმძიმობისგან განთავისუფლების დღის მოლოდინში იყო. ვერავის ამჩნევდა, არავისი დარდი არა ჰქონდა. აღიზიანებდა ბერნარი, რომელიც ყოველდღე ახსენებდა, აკი დამპირდი, ჟან აზეველოს შევხვდებიო. ტერეზა უკმეხად პასუხობდა, ვეღარ იტანდა ბერნარის სიახლოვეს. ბერნარი მის უგუნებობას ფეხმძიმობას აწერდა. იმ ხანებში ბერნარი ეჭვიანობამ შეიპყრო, რაც დამახასიათებელია მისი ტიპის ადამიანთათვის და რაც იშვიათ შემთხვევაში ვლინდება ოცდაათ წელზე ადრე. გასაოცარი იყო ასეთი კლდესავით მაგარი ვაჟკაცის შიში სიკვდილის წინაშე. მაგრამ აბა, რა პასუხს გასცემდა ადამიანი, რომელსაც იტყოდა: „თქვენ არ იცით, რას განვიცდი"... ეს ბრგე ვაჟკაცები, უსაქმურ წინაპართა შთამომავალნი, დიდი მადის მქონენი და ჭამა-სმის მოყვარული ადამიანები სინამდვილეში არცთუ ისე მძლავრნი არიან, როგორც გარეგნულად გამოიყურებიან. განოყიერებულ მიწაში დარგული ფიჭვი მალე იზრდება, მაგრამ ხის შუაგული მალევე ლპება და თუმცა კარგი შესახედავია, მოჭრას საჭიროებს. „ეს ნერვიულობის ბრალია," — ეუბნებოდნენ ბერნარს, როცა მოიჩივლებდა, მაგრამ თავად გრძნობდა, რომ მის ჯანმრთელობას ბზარი გაუჩნდა და ამ ფოლადისებრ, ჯან-ღონით სავსე კაცს ჩადის გამძლეობაც აღარ ჰქონდა. რას შეიძლება მიეწეროს, რომ ჭამის მადა დაკარგა? როცა ჰკითხავდნენ, რატომ ექიმს არ მიმართავო, მხრებს იჩეჩავდა და ცდილობდა გულგრილი გამომეტყველება მიეღო. ჭეშმარიტად, გაურკვევლობა უფრო ნაკლებ სტანჯავდა, ვიდრე ექიმის დასკვნა. ვინ

იცის, იქნებ სიკვდილის განაჩენი ყოფილიყო! ღამღამობით თავისი ხვრინვით აღვიძებდა ტერეზას. აიღებდა ტერეზას ხელს და მარცხნივ, მკერდთან მიიტანდა, რათა ეჩვენებინა რა არათანაბრად უცემდა გული. ქალი აანთებდა სანთელს და წყალში განზავებულ ვალერიანის წვეთებს მისცემდა. ხომ შეიძლებოდა შემთხვევით ეს წამალი მარგებელი კი არა, სიკვდილის მომტანი ყოფილიყო? ჭეშმარიტ სიმშვიდესა და დასვენებას მხოლოდ მარადიულ ძილში ჰპოვებს ადამიანი. რატომ ეშინია ამ წუწუნა კაცს იმის, რაც სამუდამოდ დაამშვიდებდა? ბერნარი ცოლზე ადრე იძინებდა. ტერეზას კი დიდი ხნობით უტყდებოდა ძილი, რადგან მისი ხვრინვა და ფრუტუნი აღშფოთებდა და კაეშანში ხვევდა. მადლობა ღმერთს, აღარ ეხებოდა მაინც. ბერნარის აზრით, სასიყვარულო განცდები და დაბადულობა მისი ავადმყოფი გულისთვის სახიფათო იყო. გათენებისას მამლები ყივილით აღვიძებდნენ ფერმებს. აღმოსავლეთის ქარს სენ-კლერის ზარების ხმა მოჰქონდა. ტერეზას ისევ ეხუჭებოდა თვალები, მაგრამ ბერნარის ხმაური კვლავ აფხიზლებდა. იგი გლეხური ადათისებრ სწრაფად იცვამდა (ცალი პეშვით შეისხამდა წყალს პირზე), სამზარეულოში წუწკი ძაღლივით მიძვრებოდა, რომ ზეზეურად იმით ესაუზმა, რაც ხელში მოხვდებოდა: ქათმის ნაჭრები იქნებოდა ეს, გაციებული მუჟუჟი, ყურძნის მტევანი თუ ნიორწასმული პურის ნატეხი. საჭმელს გემოს მხოლოდ ამ დროს ატანდა. ლეჭავა და თან ფლამბოსა და დიანას ესროდა ნარჩენებს, ისინიც სიხარბისაგან ჩანებს აკაპუნებდნენ. შემოდგომის მონისლული დილის სურნელება იდგა. იმ დროს ბერნარი თავს კვლავ მხნედ და ჯანმრთელად გრძნობდა. ახლოვდებოდა გარეულ მტრედებზე ნადირობის დრო, ჩიტებისთვის სატყუარა უნდა მოემზადებინა, საქმე საკმაოდ ბევრი ჰქონდათ. თერთმეტ საათზე ბერნარს ტერეზა კვლავ ლოგინში ხვდებოდა.

— რას აკეთებ, როდისღა შეხვდები აზევედოს? იცი, რომ დედა ბიარიცში ამბის შეტყობინებას ელის?

— რა დღეში გაქვს გული?

— ნუ მკითხავ, როდესაც მაგონებენ, ხელახლა შევიგრძნობ ხოლმე. თქმა არ უნდა, ყოველივე ნერვიულობის ბრალია, განა შენც ასე არა ფიქრობ?

ტერეზა არასოდეს არ უპასუხებდა იმას, რაც მას ასიამოვნებდა.

— აბა, ვინ რას მიგიხვდება. რასაც განიცდი, შენს მეტმა არავინ იცის. თუმცა მამაშენი გულის ანგინით მოკვდა, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ შენც იგივე გელის... მეტადრე შენი ხნის მამაკაცს. როგორც ჩანს, დეკეირუების საგვარეულოში ყველას ცუდი გ[illegible]...

ბერნარ, რა სასაცილოდ მეჩვენები სიკვდილით შეშინებული. ხშირად ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ამ ქვეყანაზე ზედმეტები ვართ. შენ არასდროს გიფიქრია ამაზე? ან ფიქრობ, რომ ჩვენი მსგავსი ხალხის ცხოვრება საოცრად მიაგავს სიკვდილს?

ბერნარმა მხრები აიჩეჩა. ტერეზა ალიზიანებდა თავისი პარადოქსებით. სულ ადვილია ჭკვიანად მიაჩვენო ხალხს თავი: საკმარისია კეთილგონივრულ აზრებს წინ აღუდგე და საწინააღმდეგო დაამტკიცო. ტერეზა ამაოდ ხარჯავდა თავის მახვილგონიერებას ბერნართან კამათში. სჯობდა აზეველდოს ვაჟთან შესახვედრად მომზადებულიყო.

— როდისღა მოელაპარაკები, ხომ იცი, რომ ვილმეჟადან ოქტომბრის შუა რიცხვებში მიდის.

სენ-კლერამდე სადგური ვილანდროა... ტერეზა კვლავ ფიქრთა ხლართებს მიჰყვება: „როგორ შთავაგონო ბერნარს, რომ მე ის ვაჟი არასოდეს მყვარებია? იგი, რა თქმა უნდა, დარწმუნებულია, რომ აზეველდო ჩემი სათაყვანებელი არსება იყო. როგორც ყველა ადამიანს, ვისთვისაც სიყვარული უცხოა, ჰგონია, ჩემ მიერ ჩადენილი დანაშაული ვნებით იყო ნაკარნახევი". ბერნარმა უნდა გაიგოს, რომ იმჟამად ტერეზა მისდამი არ განიცდიდა სიძულვილს. ეს კია, რომ ხშირად აუტანლად ეჩვენებოდა. მაგრამ ფიქრადაც არ ჰქონია დარდის გაქარვება სხვა მამაკაცთან. ესეც არ იყოს, ბერნარი არცთუ ისე საძაგელი იყო. ტერეზას სძულდა რომანები, სადაც არაჩვეულებრივი ხალხია აღწერილი, როგორიც სინამდვილეში არა გვხვდება.

ერთადერთი მამაკაცი, ვინც ოდესღაც უნაკლოდ მიაჩნდა, მამამისი იყო. თავის წარმოდგენაში ამ ჯიუტ სკეპტიკოსს და რადიკალს, რომელიც რამდენიმე ასპარეზზე მოღვაწეობდა, დიდების სამოსელში ხვევდა. იგი მიწათმოქმედიც იყო და მეწარმეც (ბ-ში სახერხი ქარხნის გარდა სენ-კლერში ფისის გამართოებული საწარმო ჰქონდა). პოლიტიკურ ასპარეზზე მის წინსვლას რამდენადმე ხელს უშლიდა მისი უკმეხობა, მაგრამ პრეფექტურაში ანგარიშს უწევდნენ და უდიდესი გავლენითაც სარგებლობდა. როგორ ეზიზღებოდა ქალები! ასეთივე განწყობილება ჰქონდა ტერეზას მიმართაც კი, რომლის გონიერებას ყველა აღტაცებაში მოჰყავდა. მას შემდეგ კი, რაც მის ოჯახში ასეთნაირი დრამა დატრიალდა, სულ ერთთავად იმას ეუბნებოდა ვაჟიშვილს: ქალები, უკლებლივ ყველანი, თუ იდიოტები არ არიან, მაშ, ისტერიკულები იქნებიანო. ამ ანტიკლერიკალურ და ურწმუნო ადამიანს [illegible] თავის

უბიწოდ წარმოდგენა და თუმცა ხანდახან ბერანჟეს სიმღერას ჩაიღიღინებდა, ვერ იტანდა მის წინაშე უხამს ამბებს თუ ჰყვებოდნენ და ბიჭივით წითლდებოდა. ბერნარმა ვიქტორ დე და ტრავის სიტყვებიდან იცოდა, რომ ბატონ დაროკს ქორწინებამდე არავინ ჰყოლია. „ყველა, ვინც მას იცნობდა, მარწმუნებდა, დაქვრივების შემდეგაც არავინ გაუჩენიაო. ახირებული კაცია მამაშენი“. დიახ, მამამისი მართლაც ახირებული კაცი გახლდათ. ვიდრე მამა მისგან შორს იყო, ტერეზა აიდეალებდა მას, მაგრამ როდესაც ახლო ურთიერთობა დასჭირდა, მხოლოდ მაშინ შეიგრძნო მისი სულმდაბლობის სიღრმე. იგი იშვიათად დადიოდა სენ-კლერში, რადგან დე და ტრავების ოჯახი არ მოსწონდა, მას შემდეგ კი, რაც ტერეზა და ბერნარი არჟელუზში გადავიდნენ, სიარულს მოუხშირა. მართალია ოჯახში აკრძალული ჰქონდათ პოლიტიკაზე საუბარი, ცოლ-ქმარ დე და ტრავების იქ ყოფნის დროს სადილობისას ყოველთვის იწყებდნენ კამათს, რომელიც შემდგომ სულელურ და უხეშ დავაში გადადიოდა. ტერეზას რცხვენოდა კამათში ჩარევა. სიამაყის გამო ტუჩები მჭიდროდ ჰქონდა მოკუმული და მხოლოდ მაშინ ჩაერეოდა ხოლმე, როდესაც რელიგიაზე მოჰყვებოდნენ საუბარს. მაშინ ბატონ დაროკს მიუდგებოდა ხოლმე. ყველანი ისე გაჰკიოდნენ, რომ მოხუც კლარას ყურამდეც კი აღწევდა ზოგიერთი წინადადების ნაწყვეტები. მაშინ ეს რადიკალი ქალიც გადაეშვებოდა ხოლმე იმ ორომტრიალში და ყრუ ადამიანის საშინელი ხმა ფარავდა დანარჩენ მოკამათეებს: „დიახ, მშვენივრად ვიცი, რაც ხდება მონასტერში“. სულის სიღრმეში მამიდაჩემი ყველა დე და ტრავზე უფრო მორწმუნეა, — ფიქრობდა ტერეზა, — მაგრამ იგი აუმხედრდა უზენაესს, ვინც წილად არგუნა დაბადებულიყო ყრუ, ულამაზო, და არასოდეს ღირსებოდა მამაკაცის სიყვარული ან ალერსი. მას აქეთ, რაც აღშფოთებულმა ქალბატონმა დე და ტრავმა მაგიდა მიატოვა, ყველა ცდილობდა მეტაფიზიკური საკითხებისათვის გვერდი აეხვია. პოლიტიკური თემაც საკმარისი იყო, რომ მათთვის მყუდროება დაერღვია და წონასწორობიდან გამოეყვანა. ეს ადამიანები, მემარცხენენი თუ მემარჯვენენი, ერთიმეორეს ერთ მთავარ წერტილში ეთანხმებოდნენ: კერძო საკუთრება ერთადერთი სიკეთეა ამქვეყნად და, რა თქმა უნდა, ყველაზე მაღლა მიწის მესაკუთრეობა დგასო. მაგრამ ღირს კი მონაწილეობის მიღება ამ კამათში? და თუ მივიღებთ, სად იქნება მიჯნა: რადგან ტერეზას „კერძო მესაკუთრეობა ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი“, საკითხის ცინიკური პირდაპირობით დასმას მოითხოვდა. მაგრამ მას ჯავრი მოსდიოდა მამამისისა და დე და ტრავის ფარისევლურ სიტყვებზე, რითაც ისინი ნიღბავდნენ

საერთო სურვილებსა და მისწრაფებებს. როდესაც ბატონი დაროკი აცხადებდა „დემოკრატიისადმი ურყევ ერთგულებას“, ტერეზა აწყვეტინებდა: „ზედმეტად ნუ იჯები, მამა, აქ ყველა შინაურია“. ამბობდა, პოლიტიკაზე მაღალფარდოვნად საუბარი ჩემში ზიზღს იწვევსო. რაგვარ კლასობრივ ბრძოლაზე შეიძლება დაპარაკი ისეთ ქვეყანაში, სადაც უკანასკნელი ლატაკნიც კი კერძო მესაკუთრული სულისკვეთებით არიან გამსჭვალულნი და კიდევ მეტი ქონების მოხვეჭა სწადიათ, სადაც ყველა მიწასაა დახარბებული, ნადირობისა და უხეში ცხოველური სიამოვნებისაკენ მიუწევთ გული. ეს ყოველივე ბურჟუებსა და გლეხებს შორის ერთგვარ მჭიდრო კავშირს ქმნის. მაგრამ ბერნარი საკმაოდ განათლებულ ადამიანად იყო ცნობილი და თავის წრეზე მაღლა იდგა. ტერეზა თავს ულოცავდა, რომ მისი ქმარი „ისეთი კაცია, რომელთანაც შეიძლება საუბარი“... ასე ფიქრობდა ტერეზა თავის მეუღლეზე, ვიდრე ჟან აზევედოს შეხვდებოდა.

ეს მაშინ მოხდა, როდესაც ლამის სიგრილე დილამდე გასტანს ხოლმე, თუმცა შუადღის შემდეგ მზე ისევ აცხუნებს. ჩამოწოლილი მსუბუქი ნისლი მოახლოვებული ბინდბუნდის მაუწყებელია. გარეულ მტრედებზე ნადირობის დრო უკვე დადგა და ბერნარი შინ მხოლოდ სალამოობით ბრუნდებოდა. იმ დღეს, მოუსვენრად გატარებული ღამის შემდეგ, ბორდოს გაემგზავრა, რომ ექიმს სჩვენებოდა.

„მაშინ არავითარი სურვილი არ მამოძრავებდა, — ფიქრობდა ტერეზა, — დღენიადაგ დავდიოდი გზაზე, რადგან ფეხმძიმე ქალისთვის აუცილებელია სეირნობა. მე გავურბოდი ტყეს, სადაც იმ დღეებში ყოველ ნაბიჯზე უნდა შევჩერებულიყავი და ყური მიმეგდო, რადგან სტვენის საპასუხოდ მონადირეს უნდა ენიშნებინა, შეიძლებოდა თუ არა წინ წასვლა; ზოგჯერ ხანგრძლივი საპასუხო სტვენა გაფრთხილებს, გარეული მტრედები მუხის ფოთლებში არიან დამალულნი და თვალს მიეფარე, ფრინველი არ დაფრთხესო. შინ დაბრუნებული, ვიდრე მამიდა კლარა ჩემს ირგვლივ ფუსფუსებდა, მე სასადილო ოთახის ან სამზარეულოს ცეცხლის წინ ვთვლემდი. როგორც რომელიმე კერპი იოტისოდენა ყურადღებასაც არ აქცევს თავის მსახურს, არაფრად ვაგდებდი იმ მოხუც შინაბერას, ერთთავად სამზარეულოსა და ფერმაზე რომ დაპარაკობდა. იგი დაპარაკობდა, დაპარაკობდა შეუჩერებლივ, ყვებოდა საშინელ თავგადასავლებს ფერმათა მცხოვრებლებზე. იგი მათზე გულისამაჩუყებელი თავგანწირულობით ზრუნავდა. ზრუნავდა შიმშილისგან მომაკვდავ მოხუცებზე, იძულებულნი რომ იყვნენ სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე შრომის მძიმე ულელი ეზიდათ. უმწეო ავადმყო-

4. ფრანსუა მორიაკი

ფებზე და ყველასგან მიტოვებულ დედაკაცებზე, მძიმე სამუშაოსგან ქანცმილეული მონურ ცხოვრებას რომ ეწეოდნენ. მამიდა ხალისით იმეორებდა ადგილობრივ კილოზე ამ ხალხის გულისგამგმირავ სიტყვებს. ჭეშმარიტად, მთელი გრძნობით მხოლოდ მე ვუყვარდი. მე კი მაშინაც ვერ ვამჩნევდი, როდესაც ჩემ წინაშე მუხლმოყრილი ფეხსაცმელს და წინდებს მხდიდა და თავისი ბებრული ხელებით გაყინულ ფეხებს მითბობდა.

ბაციონი მოდიოდა ხოლმე განკარგულების მისაღებად, რომ მეორე დღეს სენ-კლერში სასყიდლებზე წასულიყო. მამიდა კლარა ადგენდა დავალებათა სიას და მოხუც მსახურს არჟელუზის ავადმყოფთათვის მთელ დასტა რეცეპტს აძლევდა. „ჯერ აფთიაქში შეიარეთ, დარკეიმ თქვენს წამოსვლამდე უნდა დაამზადოს წამლები“...

ჩემი პირველი შეხვედრა ჟანთან... მინდა ყოველი წვრილმანი გავიხსენო. მაშინ ვარჩიე მიტოვებულ მონადირეთა ქოხში წავსულიყავი, სადაც ოდესღაც მე და ანა ვსამხრობდით ხოლმე და სადაც, როგორც ვიცოდი, პაემანს უნიშნავდა აზევედოს. ჩემი მხრით ეს არ იყო წმინდა სალოცავში წასვლასავით წინასწარ განზრახული. უბრალოდ, იმ მხარეს მშვიდად შეიძლებოდა სეირნობა. იქით ხეებმა ისე აიყარა ტანი, რომ შეუძლებელი იყო გარეული მტრედების თვალთვალი. ამიტომ აღარც იმისი შიში მქონდა, ვინმე მონადირეს გადავეყრები-მეთქი. ეს ქოხი მონადირეებისთვის აღარ ვარგოდა, რადგან დაბურული ტყე ფარავდა თვალსაწიერს. ხის კენწეროები მჭიდროდ იყო გადახლართული და ხელს უშლიდა ჰაერში აჭრილი ფრინველის დანახვას. მახსოვს, ოქტომბრის მზე ჯერ კიდევ ძლიერ აცხუნებდა. ზანტად მივაბიჯებდი ქვიშაზე. კოღოები მწარედ იკბინებოდნენ. როგორ მძიმედ მეჩვენებოდა ჩემი ტვირთი! რაოდენ ძლიერი იყო ჩემი სურვილი ქოხის წინ დაფუტურავებულ სკამზე ჩამოვმჯდარიყავი! როგორც კი კარი გავაღე, პირისპირ შევეჩეხე ახალგაზრდა თავშიშველა ვაჟს, იგი ქოხიდან გამოდიოდა. მე მაშინვე შევიცანი ჟან აზევედო. რაკი ჩემმა გამოჩენამ შეაკრთო, ვიფიქრე, პაემანზეა მოსული და ანაზდად ხელი შევუშალე-მეთქი. მაგრამ შემაჩერა და გზა გადამიჭრა: „თუ შეიძლება, შემობრძანდით, ქალბატონო, გარწმუნებთ, სრულიადაც არ შემიშალეთ ხელი“. ნეტავი რად შემეკითხა, გარედან თუ ჩანს, რაც ქოხში ხდებაო? ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მისი ამგვარი დაჟინებული თხოვნის შემდეგ შესვლისას ვერავინ აღმოვაჩინე. იქნებ მწყემსმა ქალმა მოასწრო სხვა ხვრელიდან გაძრომა? მაგრამ არც ერთი ტოტი არ გაშრიალებულა, ვიდრე შესასვლელთან ვიდექით. ჟანმაც მიცნო. პირვე-

ღად მას აღმოხდა ანა დე და ტრავის სახელი. მე სკამზე ჩამოვჯექი, ის კი ისევე იდგა ჩემ წინაშე, როგორც იმ ფოტოსურათზე იყო აღბეჭდილი. ვუცქეროდი და ვცდილობდი პერანგის ქვეშ დამენახა ის ადგილი, ოდესღაც ქინძისთავით რომ გავხვრიტე. ოღონდ ეს ვნებასა და ყოველგვარ სურვილებს მოკლებული ცნობისმოყვარეობა იყო. არავითარი ალელვება არ გამოუწვევია იმ სტრიქონების მოგონებას, ანამ რომ მომწერა: „ხელს ვადებ იმ ადგილს, სადაც მისი გული სცემს... ამას იგი ნებადართული ალერსის დასასრულს უწოდებს"... დამაზი იყო ჟანი? მაღალი შუბლი ჰქონდა, მისი მოდგმის დამახასიათებელი ხავერდოვანი თვალები, მეტისმეტად ფუნჩულა ლოყები. ჩირქოვანი მუწუკები ეყარა სახეზე, რაც მჩქეფარე სისხლის ნიშანია და მე ყველაზე მეტად მძულს მისი ხნის ჭაბუკებში. განსაკუთრებით კი მისი ოფლიანი ხელები მეცა თვალში, ჩამორთმევამდე ცხვირსახოცით რომ გაიმშრალა... მაგრამ ისეთი მწველი გამოხედვა ჰქონდა, ეშხით აღსავსე... მომეწონა მისი ოდნავ გაპობილი დიდრონი ტუჩები, საიდანაც მაგარი კბილები მოუჩანდა. იგი იმ ძაღლს წააგავდა, სიცხისაგან რომ ქაქანებს.

მაშინ როგორ მეჭირა თავი: სრულიად უბრალოდ, ისე, როგორც მმართებდა. მივმართავდი ზვიადად, ვადანაშაულებდი მედიდური ტონით, რომ „ლირსეულ ოჯახში" მწუხარება და განხეთქილება შეიტანა. პასუხად გულწრფელი გაკვირვება და გულიანი ხარხარი გავიგონე: „მაშ, თქვენ ფიქრობთ, მის ცოლად შერთვას ვაპირებ? დარწმუნებული ბრძანდებით, რომ ამგვარი ბედნიერებისკენ მივილტვი?" გაოცებულმა გონების თვალით წარმოვიდგინე ის უფსკრული, რაც ანას მგზნებარე ვნებასა და ჭაბუკის გულგრილ გრძნობათა შორის გაწოლილიყო. იგი დაჟინებით იცავდა თავს.

როგორ შეიძლებოდა ამ მშვენიერი გოგონას მომხიბვლელობა მაცდური არ ყოფილიყო? განა თამაში აკრძალულია? და რაკი ქორწინებაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა, ეს თამაში მას უწყინრად ეჩვენებოდა. „აღბათ თავს ისე აჩვენებდით, თითქოს ანას განზრახვას იზიარებდით?" — გავაწყვეტინე. მაგრამ როგორც კი დავიწყე მისი დადანაშაულება, გაცხარებულმა მიპასუხა: „თავად ანაც დამიმოწმებს, რომ არასოდეს ღრმად არ შევჭრილვარ". მადმუაზელ დე და ტრავი უნდა მიმადლოდეს კიდეც, რომ ის ჭეშმარიტი ვნებათა ღელვანი განეაცდევინე, რაც შეიძლება მის დღეში აღარ ეღირსოს უღიმღამო ცხოვრების მანძილზეო. „თქვენ ამბობთ, ქაღბატონო, იტანჯებაო. კი მაგრამ, ვჯერათ, რომ ცხოვრებაში შეხვდება ისეთი განცდა, რაიც ამ ტანჯვაზე უკეთესი იქნება? მე თქვენ შორიდან გიცნობთ და გამიგია, აქაურ

ხალხს არა ჰგავსო. ამიტომ მსურს ამგვარად გესაუბროთ. რა მოელის ამ გოგონას? პირქუში და ერთფეროვანი ცხოვრება სენ-კლერის ერთ-ერთ ძველ სახლში! იმ მოსაწყენი მოგზაურობისათვის მე იგი აღვჭურ-ვე ტკბილმოსაგონარი გრძნობებითა და ოცნებით, რაიც გადაარჩენს ტანჯვისგან და ალბათ გამოყეყეჩებისგანაც". აღარ მაგონდება, გამა-ჯავრა თუ არა მისმა თავის თავში დარწმუნებულმა, ყოყლოჩინურმა ლაპარაკმა. თავდაპირველად ჩემთვის ძნელი იყო მისი გულფიცხი ლაპა-რაკის მოსმენა და შეიძლება ამიტომ კარგად ვერ მივუხვდი ნათქვამს. მაგრამ მალე შევეჩვიე მის ენაწყლიანობას.

„რამ გაფიქრებინათ, თითქოს ასეთ ქორწინებას ვნატრობდი? განა ლუზას ამ ულაბნოში ჩავუშვებ, აქ დავმკვიდრდები? ან პარიზში წავიყვან და ზურგზე მოვიკიდებ? ჩემთვის ანა ყოველთვის დაუვიწ-ყარ ხატებად, სათაყვანებელ კერპად დარჩება: იმ წუთში, თქვენ რომ შემოხვედით, მასზე ვფიქრობდი... ქალბატონო, როგორ შეიძლება ადამიანმა ხელ-ფეხი შეიკრას და ერთ ადგილას გაჩერდეს. ყოველმა წამმა თავისებური სიხარული უნდა მოგიტანოს, სიხარული, რომელიც განსხვავებული იქნება წინა განცდისგან".

ამ ახალგაზრდა ცხოველის ასეთნაირმა სიხარბემ, მისი აზროვნე-ბის და გრძნობების მგზნებარებამ ისე დამაინტერესა, რომ ვუსმენდი და არ ვაწყვეტინებდი, რადგან ყოველივე ეს ჩემთვის სრულიად ახალი იყო. ამ განცდებმა დამატყვევა და გამიტაცა. მერე რა იოლად, ღმერ-თო დიდებულო! მაგრამ ხომ მომნუსხა... მახსენდება ჩლიქების ბაკუ-ნი, ზანზალაკების წკარუნი და მწყემსთა ველური შეძახილები, რაც შო-რიდანვე გვამცნობდა ფარის მოახლოებას. ჟანს ვუთხარი, მართლაც უცნაურად მოეჩვენებათ, ამ ქოხში რომ შეგვნიშნონ-მეთქი. დიდი სუ-რვილი მქონდა ეთქვა, მოდით, გავინაბოთ, სანამ ნახირი ჩაივლისო. ასე პირი რომ შეგვეკრა, დიდად მეამებოდა (აი, მე უკვე სურვილი აღ-მეძრა გამომეტაცა ცხოვრებიდან, რისი მოცემაც იმ წუთს შეეძლო), მაგრამ ჟან აზეველდომ მორჩილად გაალო ქოხის კარი, მორიდებით დაი-ხარა და გზა დამითმო. როდესაც გაიგო, საწინააღმდეგო არაფერი მქონდა, გადაწყვიტა, არჟელუზამდე გავეცილებინე. რა სწრაფად გა-ფრინდა დრო, ვიდრე სახლამდე მივიდოდით, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი თანამგზავრი მსჯელობით ათას საგანს შეეხო. მას ჰქონდა უნა-რი სრულიად სხვა ძალა მიეცა და სხვა ელფერით გაეშუქებინა ის, რაიც მეგონა უკვე ვიცოდი. როდესაც რელიგიას შევეხეთ, მე იგივე ვთქვი, რასაც ჩვეულებრივ ჩვენს ოჯახურ წრეში ვამბობდი ხოლმე. მან გამა-ჩერა: „დიახ, რა თქმა უნდა, მართალი ბრძანდებით, მაგრამ ეს უფრო

რთულია, ვიდრე თქვენ გგონიათ"... საუბრის დროს საოცარი სიცხადე შეჰქონდა ნათქვამში და მით მომხიბლა. ვინ იცის, ნამდვილად მშვენიერი იყო მისი ნათქვამი? ვგონებ, ახლა უკანვე ამოვანთხევდი იმ შეთითხნილ აზრებს. ჟანი ამბობდა, „დიდხანს მეგონა, ღვთის ძიების მეტი არაფერი არ არსებობდა ამქვეყნად. უნდა გაუდგე გზას, შესცურო ზღვაში, ისე უნდა გაექცე მათ, როგორც სიკვდილს, ვინც გულს იმშვიდებს იმ აზრით, თითქოს ჰპოვა ღმერთი, მას, ვისაც ობი მოეკიდა, გაიყინა ერთ ადგილზე, ვინც მოიქოხა თავშესაფარი, რათა მშვიდად განისვენოს. მე დიდი ხანია შევიძულე ისინი".

მახსოვს, მკითხა, წაგიკითხავთ თუ არა რენე ბაზენის[1] „მამა ფუკოს ცხოვრებაო". მე რომ გამეცინა, მტკიცებას მოჰყვა, ამ წიგნმა მთლად ამაფორიაქაო. „ხიფათებით სავსე ცხოვრება, ამ სიტყვების ღრმა გაგებით, იმდენად არ გამოხატავს ღვთის ძიებას, რამდენადაც პოვნას და მის კვალზე გაყოლას". იგი ლაპარაკობდა „მისტიკოსების დიდებულ ცხოვრებაზე", ჩიოდა, რომ მისი მგზნებარე ვნებანი ხელს უშლიდა თავად განეცადა ყოველივე, რამეთუ კარგად ახსოვდა, რომ არასოდეს ყოფილა უბიწო. ამგვარი უსირცხვილო გულახდილობა ჩემთვის, პროვინციის თავდაჭერილ ხალხში გაზრდილი ქალისათვის, სადაც გულის პასუხის ასე საამკარაოზე გამოტანას უფრთხოდნენ, სრულიად უცხო იყო. სენ-კლერში მითქმა-მოთქმა, ჭორი ადამიანთა გარეგან ცხოვრებას ეხება: გული ყოველთვის დახურული და დაფარულია. ან კი რა ვიცი ბერნარზე? ხომ არ იმალება მასში უსაზღვროდ მეტი, ვიდრე კარიკატურაა, რომელიც ჩემს გონებაში დავხატე და რომლითაც ვკმაყოფილდები? ჟანი კვლავ ლაპარაკობდა, მე ვდუმდი. ჩემი ტუჩები დროდადრო იმ ფრაზებს წარმოთქვამდნენ, რასაც ჩვეულებრივ ოჯახური მასლაათის დროს ვიყავი ჩვეული. მსგავსად იმისა, როგორც ჩვენი მხარის ყველა ეტლს ცდილობენ გაუკეთონ „ფურგონის ყაიდის" და ზომის ბორბლები, რათა სხვა ეტლებს სავალი გაუადვილდეს, იმ დღემდე ჩემი აზროვნება მამაჩემის, მამამთილისა და დედამთილის აზრთა მსვლელობას ეფარდებოდა, ამიტომ ძალიან გამიჭირდა ჟან აზევედოს საუბარში ფეხდაფეხ მივყოლოდი. ჟან აზევედო თავშიშველი მოდიოდა. ახლაც თვალწინ მიდგას მისი გადაღეღილი პერანგი, ჭაბუკის გამხდარ სხეულთან შედარებით მეტად ძლიერი კისერი. იქნებ მისმა გარეგნობამ მომხიბლა? არა, ღმერთმანი, არა. ჩემს ცხოვრებაში პირველად შევხვდი

———

1 რენე ბაზენი (1853—1932) — ფრანგი რომანისტი, ბურჟუაზიული მორალის მქადაგებელი მისტიკოსი. მორიაკმა მას 1931 წელს მონოგრაფია მიუძღვნა.

მამაკაცს, რომელიც სულიერ ცხოვრებას ყველაფერზე მაღლა აყენებდა. იგი გაუთავებლად იხსენიებდა თავის მასწავლებლებს, პარიზელ მეგობრებს, მიამბობდა მათ მიერ დაწერილ წიგნებზე. მაშასადამე, იგი არ წარმოადგენდა რაღაც გამონაკლისს, მხოლოდ იმ რჩეულთაგანი იყო, რომლებიც, ჟანის თქმით, „ნამდვილი ცხოვრებით“ ცხოვრობდნენ. მეუბნებოდა მათ გვარს, სახელს და ფიქრადაც არ მოსდიოდა, თუ შეიძლებოდა არ მცოდნოდა ისინი. მეც ისე მეჭირა თავი, თითქოს მათი სახელები უკვე მსმენოდა.

— უკვე მოვედით! — შევძახე მე, როდესაც გზის მოსახვევში არჟელუზის მინდორი გამოჩნდა; მზისგან გადახრუკული, მწირი, პირქუში მიწა, საიდანაც პური უკვე აიღეს, გამხმარი ბალახის სურნელებას ავრცელებდა. ფერდობზე თეთრად მოჩანდა ცხვრის ფარა, რომელიც ბალახის მაგივრად თითქოს ქვიშასა სძოვდა. ჟანს ვიღმეჟაში მისასვლელად მინდორი უნდა გადაეჭრა. ამ საკითხმა ძლიერ გამიტაცა, გაგაცილებთ-მეთქი, ვუთხარი. მაგრამ გზა მდუმარედ განვაგრძეთ, აღარ ვიცოდით რა გვეთქვა ერთმანეთისათვის. სიარული მიჭირდა, მოკილი თავთავების ღეროები ფეხსაცმელში ჩამდიოდა და მჩხვლეტდა. ასე მეჩვენებოდა, თითქოს მარტო დარჩენა სურდა, შეიძლება იმიტომ, რომ აეწონ-დაეწონა ის აზრი, რაც თავში მოუვიდა. შევნიშნე, ანაზე სრულიადაც არ გვილაპარაკია-მეთქი. მან დამარწმუნა, ჩვენზედ როდი ჰკიდია ჩვენს მსჯელობათა და ფიქრთა საგნის არჩევანიო. „ან არადა, — თქვა ჟანმა ზვიადად, — ქედი უნდა მოვიხაროთ მისტიკოსების მიერ შემუშავებულ მეთოდთა წინაშე, ჩვენი მსგავსი არსებანი მუდამ დინებას მიჰყვებიან და არ ძალუძთ თავი გაართვან თავის მისწრაფებას“. ამგვარად, იგი ცდილობდა ჩვენი საუბარი თავისი საყვარელი წიგნებიდან ამოკითხული ფრაზებით წარემართა. შევთანხმდით, კიდევ შევხვედროდით ერთმანეთს, გვემსჯელა ანაზე და მოქმედების გეგმა შეგვემუშავებინა. დაბნეული მელაპარაკებოდა, უპასუხოდ დატოვა ჩემი შეკითხვა, დაიხარა, სოკოს დასწვდა და ბავშვივით დამანახა იგი. დაყნოსა და ზედ დააკვდა ბაგეებით.

## VII

ბერნარი კარის ზღურბლზე უცდიდა ტერეზას დაბრუნებას.

— არაფერი მიჭირს, არაფერი მაქვს საშიში!—დაიყვირა, როგორც კი ბინდბუნდში ტერეზას კაბა დაინახა.—გჯერა, რომ ჩემისთანა ალნაგობის კაცი სისხლნაკლულია? დაუჯერებელი ამბავია, მაგრამ ასეა. არ შე-

იძლება გარეგნობით ადამიანის ჯანმრთელობა შეაფასო! მე უკვე დამინიშნეს ფაულერის[1] მეთოდით მკურნალობა: მივიღებ დარიშხანს... მთავარია, მადა დამიბრუნდეს.

ტერეზას ახსოვს, რომ თავდაპირველად არაფ ჩაუგდია: ყოველივე, რასაც ბერნარი მოიმოქმედებდა ხოლმე უფრო ნაკლებ ხვდებოდა გულზე (თითქოს მისი ხმა სადღაც შორიდან მოისმოდა). ტერეზას არ ესმოდა ბერნარის სიტყვები, მისი სული და სხეული სხვა სამყაროს მიეღტვოდა, ისეთ სამყაროს, სადაც ამ ცხოვრებას დახარბებული არსებანი ყოველივეს შემეცნებისა და გაგებისკენ მიისწრაფიან, რათა „იპოვონ ჭეშმარიტი სახე თვისი", როგორც უსაზღვრო კმაყოფილებით თქვა ჟანმა. სადილზე ტერეზამ, როგორც იქნა, უთხრა, აზეველოს შევხვდიო. ბერნარმა შეჰყვირა:

— და აქამდე არაფერი გითქვამს? მართლაცდა, უცნაური ხარ, ტერეზა! როგორ არის საქმე?... რა გადაწყვიტეთ?..

ტერეზამ მაშინვე შეთხზა გეგმა, რომელიც შემდგომ კიდევაც განახორციელეს. ჟან აზეველო მისწერდა ანას წერილს, ღმობიერ წერილს, მაგრამ ყოველგვარ იმედს გადაუწურავდა. როდესაც ცოლმა უთხრა, ახალგაზრდა ვაჟი სრულიადაც არ ფიქრობს ანაზე დაქორწინებასო, ბერნარმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნო: როგორ თუ ვიღაც აზეველოს არა სურს ანა დე ლა ტრავის თხოვნაო!

— გაგიჟდი, ჩემო კარგო? უბრალოდ, ხედავს, რომ ვერაფერს გააწყობს. ასეთი ყაიდის ხალხი თავს არ გაიმეტებს, თუ იცის, ვერაფერს გამორჩება. შენ კი ჯერ ძლიერ გულუბრყვილო ხარ, ჩემო პატარავ.

ქინქლების გამო ბერნარმა არ ინება ლამპის ანთება, ამიტომ იგი ვერ ხედავდა, რა თვალით უმზერდა ტერეზა. ბერნარი ამბობდა: [illegible] დამიბრუნდა დაკარგული მადაო. დიახ, ბორდოელმა ექიმმა პირდაპირ მკვდრეთით აღადგინა.

„ნეტავ თუ ხშირად ვხვდებოდი ამის შემდეგ ჟან აზეველოს? იგი არჟელუზიდან ოქტომბრის ბოლოს წავიდა. ხუთჯერ თუ ექვსჯერ გავისეირნეთ ერთად... განსაკუთრებით ღირსსახსოვარი იყო ის სეირნობა, ანასთან გასაგზავნ წერილის შეთხზვას რომ მოვანდომეთ.

———

[1] თომას ფაულერი (1736–1801) — ინგლისელი ექიმი; „ფაულერის წვეთები" ეძლევა ავადმყოფს ნერვული სისტემის მოშლილობისა და მადის დაკარგვის დროს.

ამ გულუბრყვილო ყმაწვილს ისეთი სიტყვები ეპოვა, ანას გულს ეგრერიგად რომ არ ატკენდა, მაგრამ მე, თუმც კი არას ვამბობდი, ვგრძნობდი მათ სისასტიკეს. უკანასკნელი შეხვედრები ერთმანეთს შეერწყა და ერთ მთლიან მოგონებად იქცა. ჟან აზეველო მიამბობდა პარიზზე, თავის მეგობრებზე და ჩემს წარმოდგენაში ვხედავდი მის სამყაროს, სადაც ბატონობდა კანონი: „იპოვე თავი თვისი". „აქ თქვენ მისჯილი გაქვთ ილაპარაკოთ სიცრუე სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე". რატომ უთხრა ეს? რას გულისხმობდა? გაიძახოდა, როგორ იქნება კაცმა მოთმინებით აიტანოს ეს სულის შემხუთველი გარემოო. „შეავლეთ მზერა ამ თვალუწვდენ, ერთფეროვან, გაქვავებულ დედამიწის ზედაპირს, საფლობივით რომ ისრუტავს ადამიანთა სულებს. დროდადრო ნაპრალი იხსნება და სიღრმეში გამოჩნდება შავი წყალი. შიგ ვიღაც ფართხალებს, ცდილობს ამოსვლას, მაგრამ წყალში ინთქმება. ნაპრალი კვლავ პირს შეიკრავს. როგორც ყველგან, აქაც თითოეული ადამიანი თავისი საკუთარი უფლებით იბადება, ყველას საკუთარი ბედი დაჰყვება. და მაინც გიწევს საერთო ბედუკულმართობის გაზიარება. ზოგიერთნი ჯანყდებიან. მაშინ რიგიან ოჯახებში იწყება ის დრამა, რასაც აგრერიგ ფარავენ. როგორც აქ იტყვიან: „ამაზე ხმა-კრინტი არ უნდა დავძრათ". .

„ეგ მართალია! — შევძახე მე, — ზოგჯერ, როდესაც რომელიმე ბიძის ან დიდედის ამბავს ვკითხულობდი, რომელთა ფოტოსურათები ალბომიდან ქრებოდა, პასუხს არავინ მაძლევდა. მხოლოდ ერთხელ მაღირსეს პასუხი: „გაქრა, იგი აიძულეს გამქრალიყო".

იქნებ იმისი ეშინოდა ჟან აზეველოს, რომ ჩემი მომავალი ბედიც ამგვარი იქნებოდა? იგი მარწმუნებდა, ფიქრადაც არ მომსვლია ანასთან ამ თემაზე საუბარი; მიუხედავად დიდი სიყვარულისა, ანა მეტად გულუბრყვილო, მარტივი სულის მქონე ქალია, ძლიერ მალე დამორჩილდება თავის ხვედრსო.

„მაგრამ ყოველი თქვენი სიტყვიდან გამოსჭვივის, რომ სულიერ საზრდოს მოკლებული და ჭეშმარიტებას მოწყურებული ხართ". ღირს ყოველივე ეს გაუმხილოს ბერნარს? სიგიჟე იქნებოდა ეფიქრა, რომ ბერნარი გაიგებდა რაიმეს. დაე ის მაინც გაიგოს, რომ მე უბრძოლველად არ დავმორჩილებივარ. კიდევაც ვუპასუხე იმ ჭაბუკს, რომ მისი ამგვარი ოსტატური ფრაზები სულმდაბალი გამართლებაა ზნეობრივად დაცემისა და შევეცადე მის საწინააღმდეგოდ ის ქადაგება დამემოწმებინა, მორალის დასაცავად რომ გვიკითხავდნენ ლიცეუმში. „ვიპოვოთ ჭეშმარიტი სახე ჩვენი, — ვიმეორებდი, — მაგრამ ეგ ხომ იმ·ვე-

ნადვე ჰკიდია ჩვენზე, რამდენადაც ჩვენი ცხოვრება“ (არ ღირს ამ აზრის შემდგომი განვითარება, მაგრამ შეიძლება ეს ბეჭნარისთვის იყოს საჭირო). აზევედოს აზრით, ყველაზე დიდ ზნეობრივ დაცემას თვისი თავის უარყოფა წარმოადგენდა. იგი ამტკიცებდა, ყოველ გმირსა და წმიდანს ერთხელ კი არა, ვინ მოთვლის, რამდენჯერ უხდება მთელი ნებისყოფის დაძაბვა თავისი ბუნების დასათრგუნავადო. „რათა ვიპოვოთ უფალი, უნდა ვძლიოთ თავს, — იმეორებდა ხშირად. — საკუთარ „მე“-ს განმტკიცებისათვის ჩვენ შორის რჩეულნი ვალდებულნი არიან აშკარად და პატიოსნად გაილაშქრონ თავისი თავის წინააღმდეგ. და ხშირად ხდება, რომ ეს განთავისუფლებული მონები ძლიერ შეზღუდულ სარწმუნოების ჩარჩოში ექცევიან“.

აუცილებელი არ არის ბერნართან ერთად განვსაჯოთ ამ თეორიის სამართლიანობა. იქნებ კიდევაც უნდა დავეთანხმოთ, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ მწირი სოფიზმებია. მაგრამ ბერნარმა უნდა გაიგოს, უნდა შეეცადოს გაგებას, ყოველივე ამას რაოდენ შეეძლო ისეთი ქალის გატაცება, როგორიც მე ვიყავი და საღამოობით რას განვიცდიდი არჟელუზის სასადილო ოთახში. ბერნარი სამზარეულოში იხდიდა ჩექმებს და ხმამაღლა ყვებოდა იმდღევანდელი ნადირობის ამბებს. ძირს დაგდებულ ტომარაში დაჭერილი გარეული მტრედები ფართხალებდნენ. ბედნიერი ბერნარი, რაკი ძველებური მადა დაუბრუნდა, ნელ-ნელა იწყებდა ჭამას. შემდეგ სიამოვნებით ითვლიდა ჭიქაში ბორდოელი ექიმის მიერ გამოწერილ ფაულერის წვეთებს. „აი, სად ყოფილა ჯანმრთელობა!“ — იმეორებდა იგი. ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა. დესერტის შემდეგ ბერნარი სავარძელს შეაბრუნებდა და ნაბდის ფოსტლებიან ფეხებს ცეცხლს უფიცხებდა. მაგრამ მალე თვალები ეხუჭებოდა და გაზეთ „პატარა ჟირონდის“[1] კითხვისას ზედ ჩამოეძინებოდა ხოლმე. ხანდახან ხვრინვასაც ამოუშვებდა, უფრო ხშირად კი ისე ეძინა, მისი სუნთქვაც არ ისმოდა. სამზარეულოში ჯერ კიდევ გაისმოდა ბალიონის მოხუცი ცოლის ფოსტლების ფრატუნი, შემდეგ ქალს შანდალი მოჰქონდა. ირგვლივ არჟელუზის სიჩუმე ისადგურებდა! ადამიანებს, ვისაც არ უცხოვრიათ ამგვარ უკაცრიელ, მიყრუებულ ღანდებში, არ ეცოდინებათ რა არის სიჩუმე. ეს მდუმარება მკვრივი ფენის მაგვარად ერტყმის გარს სახლს, მდუმარება ტყისა, სადაც თითქოს სიცოცხლეც გამქრალაო, მხოლოდ დროდადრო შესაბრალისად გაჰკივლებს ბუ (გვეჩვენება, რომ ღამის წყვდიადში ჩვენივ შეკავებული ქვითინი გვესმის).

———

[1] პატარა ჟირონდი — პროვინციული გაზეთი.

განსაკუთრებით აზევედოს წასვლის შემდეგ ვიგრძენი ტყეთა და მინდორითა ეს მძიმე მდუმარება. ვიდრე ვიცოდი, რომ მეორე დღეს კვლავ ვიხილავდი ჟანს, ღამის წყვდიადი და მდუმარება ვერაფერს მაკლებდა. ვიცოდი, რომ მას აქვე, მახლობლად ეძინა და ეს სიცოცხლით ავსებდა დანდებსაც და ღამესაც. მაგრამ დადგა დრო, როდესაც იგი უკვე აღარ იყო არჟელუზში. უკანასკნელად შემპირდა, გაისად შევხვდებით ერთმანეთსო, იმ იმედით, რომ მე „განთავისუფლებულს“ მნახავდა (აქამდე არ ვიცი, ამ სიტყვებს ორაზროვნად, თუ ყოველგვარი მნიშვნელობის გარეშე ამბობდა. ვფიქრობ, ამ ახალგაზრდა პარიზელს ვერ აეტანა არჟელუზის ღრმა სიცარიელე და მდუმარება. და მეც მხოლოდ იმიტომ ვულიდი რამედ, რომ მისი მსმენელი ვიყავი). ჟანის წასვლის შემდეგ თითქოს უსასრულო გვირაბში მივიკვლევდი გზას და უფრო ღრმად ვეფლობოდი წყვდიადში. ხანდახან ჩემს თავს ვეკითხებოდი, ნუთუ მეღირსებოდა სუფთა ჰაერის შესუნთქვა, თუ ასე უნდა გავგუდულიყავ. მშობიარობამდე, იანვრის თვემდე, არავითარი ცვლილება არ მომხდარა ირგვლივ“...

აქ კი ტერეზა გაუბედავად ჩერდება, ყოყმანობს. ცდილობს თავიდან მოიშოროს იმაზე ფიქრი, რაც ჟანის წასვლის მეორე დღეს მოხდა არჟელუზში, მათ სახლში: „არა, არა, — იმეორებდა თავისთვის, — ამას არავითარი კავშირი არა აქვს იმასთან, რაც ბერნარს უნდა ავუხსნა. დრო აღარ იცდის, რომ მივყვე იმ ბილიკს, არსად რომ არ მიგვყავართ“. მაგრამ ფიქრი ჯიუტია. შეუძლებელია დავაკაოთ, მაინც იქით მიქრის, საითაც თავად სურს. ტერეზას ძალაუნებურად გაახსენდა ოქტომბრის თვის ის საღამო. მაღლა, საძინებელ ოთახში ბერნარი უკვე ტანთ იხდიდა, რომ დაწოლილიყო. დაბლა დარჩენილი ტერეზა კი იცდიდა, როდის ჩაიწვებოდა უკანასკნელი კუნძი. კმაყოფილი იყო, რომ ცოტა ხანს მაინც შეეძლო მარტო დარჩენა: „ნეტავი რას აკეთებს ამ წუთში ჟან აზევედო? — ფიქრობდა იგი და თან ცეცხლს მისჩერებოდა. — იქნებ იმ კაფეში ზის, რომელზედაც მელაპარაკებოდა, და სვამს, თუმცა ღამე ასეთი თბილია და ნათელი; იქნებ რომელიმე თავის მეგობართან ერთად ავტომობილით დასეირნობს დაცარიელებულ ბულონის ტყეში. შეიძლება, სულაც თავის მაგიდას უზის და მუშაობს, სარკმლის იქით კი პარიზი ყრუდ გუგუნებს. ის სიჩუმე, რომელიც გარს ერტყმის, თვითონ შექმნა თავისთვის, თავად გამოსტაცა სამყაროს ხმაურს“. სიჩუმე, ტერეზას რომ ახრჩობდა, თავს არავის მოუხვევია მისთვის.

მ ი ს ი სიჩუმე მეფობდა სულ პატარა ადგილას — დამპასთან და წიგნებით სავსე თაროზე. ასე ფიქრობდა ტერეზა. უეცრად ძაღლმა ატეხა ყეფა, შემდეგ წკმუტუნს მოჰყვა. შემოსასვლელში გაისმა ნაცნობი სუსტი და ღონემიხდილი ხმა, ძაღლს რომ აოკებდა. ანა დე და ტრავმა შემოაღო სასტუმრო ოთახის კარი. იგი სენ-კლერიდან ღამით მარტო მოსულიყო ფეხით. ფეხსაცმელი მთლად დასვრილი ჰქონდა ტალახით. პატარა, თითქოს დაბერებულ სახეზე თვალები ნაკვერჩხლებივით უელავდა. ანამ ქუდი სავარძელზე მიაგდო და იკითხა:

— სად არის?

ტერეზამ და ჟანმა წერილი რომ დაწერეს და ფოსტით გაგზავნეს, ამ საქმეს დამთავრებულად თვლიდნენ. ფიქრადაც კი არ მოსვლიათ, თუ ანა შეეცდებოდა ებრძოლა თავისი ბედნიერებისათვის. მაგრამ განა შეიძლება ადამიანს შესწევდეს უნარი კეთილგონიერ მოსაზრებას დაჰყვეს, ოდეს საქმე მის სიცოცხლეს ეხება! ანამ შეძლო მოეტყუებინა დედის ფსიზელი, მოდარაჯე თვალი და მატარებელს გამოჰყოლოდა. ფიჭვების კენწეროთა შორის მოკიაფე ცის ზოლი არჟელუზისკენ უნათებდა გზას. მთავარი იყო ენახა ჟანი. თუკი ელირსებოდა მის ხილვას, მის გულს ისევ დაიპყრობდა. უეჭველად უნდა ენახა! ამ ერთადერთი ფიქრით გატაცებული გამორბოდა, ბორძიკობდა, ვარდებოდა ღრმულებში, იკაწრავდა ფეხებს, ცდილობდა, რაც შეიძლება მალე მისულიყო არჟელუზამდე. და აი, ტერეზა ეუბნება, ჟანი პარიზს გაემგზავრაო! ანამ უარის ნიშნად თავი გააქნია, არა სჯერა, ეს რომ დაიჯეროს, ნიადაგი გამოეცლება ფეხქვეშ სასოწარკვეთისა და დაქანცულობისაგან.

— მატყუებ, როგორც ყოველთვის მატყუებდი ხოლმე.—მან ყური არ ათხოვა ტერეზას წინააღმდეგობას და განაგრძო: — ოჯახის ინტერესები გალაპარაკებს. თავისუფალ მოაზროვნედ მოგაქვს თავი, მაგრამ ქორწინების შემდეგ მხოლოდ „ოჯახის წევრად" გადაიქეცი და მეტი არაფერი... დიახ, დიახ, ვიცი, გინდოდა გადაგერჩინე და მიტომ მიღალატე, ხომ? ახსნა-განმარტებით შეგიძლია თავი არ შეიწუხო.

და რაკი პირი კარისკენ იბრუნა, ტერეზამ ჰკითხა, საით აპირებ წასვლასო.

— მასთან, ვილმეჟაში.

—აკი გითხარი, ორი დღის წინ წავიდა-მეთქი.

— შენი არა მჯერა.

ანა გავიდა. ტერეზამ წინკარში კედლიდან ფარანი ჩამოხსნა, აანთო და უკან გაჰყვა.

— გზა აგებნა, ჩემო პატარა ანა. ბიურჯის გზით მიდიხარ. ვილმეჟა იქით მხარესაა.

ისინი მიაპობდნენ ნისლს, რომელსაც დაეფარა მინდორი. გამოფხიზლებული ძაღლები მათ კვალს უყეფდნენ. აი, ვილმეჟას მეურნეიც, სახლს არა სძინავს, მაგრამ სიცოცხლის ნიშანწყალიც არ ეტყობა. ანამ ირგვლივ შემოუარა ამ უკაცრიელ აკლდამას. ორივე მუშტი დასცხო კარს. ტერეზამ ფარანი მიწაზე დადო და უძრავად გაჩერდა. მან დაინახა მეგობრის მოჩვენების მსგავსი ჰაეროვანი სხეული როგორ იხედებოდა პირველი სართულის ყველა ფანჯარაში. ანა ხმამაღლა არ ეძახის, უთუოდ ჩუმად იმეორებს ვაჟის სახელს, რადგან იცის, რომ ეს ამაოა. ქალი ერთხანს სახლის უკან გაუჩინარდა. შემდეგ კვლავ გამოჩნდა და კარის ზღურბლზე ჩამომჯდარმა, მუხლმორთხმულმა ხელებში ჩამალა სახე. ტერეზამ წამოაყენა და წაიყვანა. ანა მთვრალივით ბორძიკობდა და ბუტბუტებდა:

— ხვალვე წავალ პარიზში! პარიზი არცთუ ისე დიდია! მაინც ვიპოვი!..

მაგრამ ამას ამბობდა პატარა ბავშვივით, რომელსაც ძალა აღარ შესწევს წინააღმდეგობის გასაწევად და საცაა ხვედრს დამორჩილდება.

მათმა ხმამაღალმა დაპარაკმა ბერნარი გააღვიძა და სასტუმრო ოთახში ხალათჩაცმული უცდიდა მათ გამოჩენას. ტერეზას არასოდეს დაავიწყდება, რაც მაშინ ძმასა და დას შორის მოხდა. ტერეზა, აკი შენი ქმარია ეს მამაკაცი, რომელმაც პატარა განაწამებ გოგონას შეუბრალებლად ჩაავლო მაჯაში ხელი, თრევით აატარა კიბეები და მეორე სართულის ერთ ოთახში ჩაკეტა. ბერნარი ორი საათის შემდეგ შენი მსაჯულიც იქნება. ოლონდ ოჯახის ღირსება არ შეიბღალოსო და მზადაა დასძლიოს ყოველგვარი მერყეობა. ყოველთვის, რაგვარი ვითარებაც არ უნდა იყოს შექმნილი, იცის, რა მოიმოქმედოს ოჯახის ინტერესების დასაცავად. მწუხარებით აღსავსე, თავის დასაცავად ვრცელ სიტყვას ამზადებ; მაგრამ აკი მარტო მერყევ ადამიანებს შესწევთ უნარი დაჰყვნენ სხვის აზრებს. ბერნარი მასხრად აგიგდებს: „მე ვიცი, რა უნდა გავაკეთო“. მან ყოველთვის იცის, რა უნდა გააკეთოს. ზოგჯერ, როდესაც გული ეთანაღრება, ამბობს: „ჩვენ მოვითათბირეთ ოჯახურ წრეში და გადავწყვიტეთ, რომ...“ რატომ ფიქრობ, რომ უკვე მზად არა აქვს შენი განაჩენი? შენი ბედი უკვე გადაწყვეტილია. უმჯობესი იქნება დაიძინო.

## VIII

მშობლებმა მოთვინიერებული ანა შინ, სენ-კლერში დააბრუნეს; ტერეზას მშობიარობამდე არ დაუტოვებია არჟელუზი. მაშინ შეიგრძნო სწორედ ნოემბრის უსასრულო ღამეების ჭეშმარიტი სიჩუმე და მარტოობა. ჟან აზევედოსთან გაგზავნილი წერილი უპასუხოდ დარჩა. ვაჟი უთუოდ ფიქრობდა, ამ პროვინციელ ქალთან მიწერ-მოწერა მოსაწყენი იქნებაო. თანაც განა ორსული ქალის მოგონება შეიძლება სასიამოვნო იყოს! იქნებ ტერეზა იმ სულელს უგერგილოდაც მოეჩვენა. უთუოდ მანჭვა-გრეხა და ნაძალადევი ამპარტავნობა უფრო მოხიბლავდა. განა შეეძლო გაეგო ეს მოჩვენებითი უბრალოება, ეს პირდაპირი გამოხედვა და თავდაჯერებული მიხრა-მოხრა? იქნებ ჟანი ფიქრობდა, ტერეზაც ანას მსგავსად ჩაებღაუჭებოდა მის ნათქვამს, დათმობდა ყოველივეს, რათა უკან გაჰკიდებოდა. ჟან აზევედო არ ენდობოდა იმგვარი ყაიდის ქალებს, რომელნიც ძლიერ მაღლ ყრიან იარაღს და თავდამსხმელს არ აძლევენ ალყის მოხსნის საშუალებას. მას ისე არაფერი აშინებდა, როგორც თავისი გამარჯვება და ამ გამარჯვების ნაყოფის მომკა. ტერეზა ედტვოდა შეეღწია ამ ჭაბუკის სულიერ სამყაროში. მაგრამ ვერაფერი გაეგო იმ წიგნებისა, რომელთაგანაც ჟანი აღტაცებაში მოდიოდა და თავადაც გამოიწერა ბორდოდან. ქალს უსაქმურობისაგან სული ეხუთებოდა. მაგრამ ვერაფრით დაიყოლიებდით ბავშვისთვის შეეკერა რაიმე. „ამგვარი რამეები არ ემარჯვება“, — ამბობდა ქალბატონი დე და ტრავი. სოფლად ბევრი ქალი გადაჰყოლია მუცელს. ტერეზა იმდენს შესჩიოდა მამიდა კლარას, რომ ატირებდა, არწმუნებდა, მეც დედაჩემის ბედი მეწევა, ვერ გადავიტან მშობიარობასო. თანაც დასძენდა, სიკვდილისა არ მეშინიაო. თავს იტყუებდა! არასოდეს ასე ძლიერ არ სწყურებია სიცოცხლე, ბერნარიც არასოდეს ასეთი მზრუნველი და ყურადღებიანი არ ყოფილა მის მიმართ. „ბერნარი მე კი არ მიფრთხილდებოდა, არამედ იმას, ვისაც მკერდქვეშ ვატარებდი“. იგი დღენიადაგ ერთსა და იმავეს მიმეორებდა: „კიდევ გადაიღე პიურე... თევზს ნუ შეჭამ... ბევრი ისეირნე დღეს?“ ყოველივე ეს გულს როდი მიამებდა. განა ასე არ ეღოლიავებიან ძიძას, უცხო ადამიანს, ვისაც მხოლოდ იმიტომ უვლიან, რომ კარგი რძე ჰქონდეს. დე და ტრავებისათვის მე ვიყავი წმინდა ჭურჭელი, მათი გვარეულობის მომავალ შთამომავლობათა სამყოფელი. სინამდვილეში მსხვერპლად შემწირავდნენ იმ ჩანასახს, თუკი საჭირო იქნებოდა. ჩემი თავი და არსებობა ჩემად აღარ მიმაჩნდა. მე ვგავდი ხეზე შემოხვეულ ვაზის ტოტს. მთელი ოჯახი მარტოოდენ იმ ნაყოფს ეღოლიავებოდა, ჩემში რომ მწიფდებოდა.

ასე უნდა მეცხოვრა დეკემბრის თვის ბოლო რიცხვებამდე. ირგვ-ლივ სულის შემხუთველი წყვდიადი სუფევდა. თითქოს ნაძვების ჩრდი-ლი არა კმაროდა, კოკისპირული, გადაუღებელი წვიმა ჩვენი პირქუში სახლის ირგვლივ წყლის მილიონობით ბადეს ქსელავდა. როცა სენ-კლერს მიმავალი ერთადერთი გზაც ღამის გაუვალი შეიქნა, ამ დაბაში გადმო-მიყვანეს, თითქმის ისეთსავე პირქუშსა და ბნელ სახლში, როგორიც არჟელუზში გვქონდა. მოედანზე ძველთაძველი ჭადრის ხეები კიდევ ებრძოდნენ ქარსა და წვიმას თავისი უკანასკნელი ფოთლების გადასარ-ჩენად. მამიდა კლარას არჟელუზის გარეთ ცხოვრება ვერ წარმოედგინა და არ ინება ჩემთან გადმოსვლა. მაგრამ ამინდი იქნებოდა თუ [illegible]-[illegible]ობა, თავისი ორთვალა ეტლით ყოველდღე მესტუმრებოდა, მოჰქონდა [illegible]ბილეული, ბავშვობაში რომ მიყვარდა. ფქვილისა და თაფლისაგან დამზადებული კვერები, რომელსაც „მიკს" უწოდებდნენ; დარწმუნებული იყო, ახლაც ეყვარებაო. ანას მხოლოდ სადილობისას ვხვდებოდი. იგი ხმას არ მცემდა. ხვედრს შერიგებულმა და წელში ორად მოღუნულმა უეცრად დაკარგა სინორჩის ელფერი. მეტისმეტად გადაგლესილი თმის ქვეშ ულამაზო, ცვილივით ყურები მოუჩანდა. მისი თანდასწრებით არავინ ახსენებდა ახალგაზრდა დეგილემის სახელს. ქალბატონი დე და ტრავი ირწმუნებოდა, თუმცა ანას თანხმობა ჯერ არ უთქვამს, უარსაც აღარ ამბობსო. ო, რა სწორად სჯიდა ჟანი, პატარა ლუკმა საჭირო მის მოსარჯულებლად და პირში ლაგამის ამოსადებადო. ბერნარი თავს კვლავ ცუდად გრძნობდა, რადგან ისევ დაიწყო აპერიტივის სმა. რაზე საუბ-რობდა ჩემს ირგვლივ ხალხი? მახსოვს, დიდი ბჭობა ჰქონდათ მრევლის მღვდელზე (ჩვენ სწორედ მისი სახლის პირდაპირ ვცხოვრობდით). მე-ტისმეტად აინტერესებდათ, რატომ გაიარა დილით ამ მოედანზე ოთხჯერ და ყოველთვის სხვა გზით რატომ ბრუნდებაო...

მას აქეთ, რაც საუბარში ჟან აზევედომ რამდენჯერმე გაჰკრა კბი-ლი თავიანთ მღვდელს, ტერეზამ მის მიმართ ცხოველი ინტერესი გა-მოიჩინა. ჯერ კიდევ ახალგაზრდა მღვდელი ცდილობდა გასცლოდა თავის მრევლს, რასაც ქედმაღლობას მიაწერდნენ. მისი მოქმედება არ შეეფე-რება აქაურობასო, ამბობდნენ მასზე. იშვიათ შემთხვევაში, როდე-საც იგი დე და ტრავებს ესტუმრებოდა ხოლმე, ტერეზა უმზერდა მის თეთრ საფეთქლებს, მაღალ შუბლსა და ფიქრობდა, მარტოდმარტო, უმე-გობროდ როგორ ატარებს საღამოებსო? რატომ აირჩია ამგვარი ცხოვ-რება?

— ძლიერ მუყაითად ემსახურება უფალს, საღამოებს ლოცვაში ატარებს, მაგრამ მადლი არა აქვს, ჭეშმარიტად ღვთისმოსავი კაცი

არაა, — ამბობდა ქალბატონი დე ლა ტრავი. — წიგნების გულისთვის მზადაა ყოველივე მსხვერპლად გაიღოს.

იგი წუხდა, რომ მღვდელმა დღესასწაულის დღეებში მეჯლიპა დასი გააუქმა; მშობლები უჩიოდნენ, ბავშვებს ფეხბურთის მოედანზე არ დაჰყვებაო. კი ბატონო, ცხვირი მუდამ წიგნში ჰქონდეს ჩარგული, მაგრამ ამით სამრევლოს მალე დაკარგავსო.

მისთვის რომ მოესმინა, ტერეზამ ეკლესიაში სიარულს მოუხშირა. სწორედ მაშინ დაიწყეთ ეკლესიაში სიარული, როცა საპატიო მიზეზი გაგიჩნდათ წირვის გაცდენისაო, ეუბნებოდნენ მას. მღვდლის მიერ წარმოთქმული ქადაგება მშრალი იყო და განყენებული ხასიათისა. მაგრამ ტერეზას იტაცებდა მისი ხმის ყლერადობა, მისრა-მოხრა. ზოგჯერ რაიმე სიტყვა დიდმნიშვნელოვნად ეჩვენებოდა. იქნებ მას შეეძლო ტერეზას აბნეული და ბუნდოვანი სამყაროს მოწესრიგება? სხვებისგან განსხვავებულმა მღვდელმა თავადაც ძნელად საველი გზა აირჩია. ეს მარტოსული მამაკაცი უკაცრიელ და უდაბურ გარემოში აღმოჩნდა, რასაც თავის ირგვლივ ქმნის ანაფორაში გადაცმული ადამიანი. რაგვარ ნუგეშისცემას პპოვებდა ყოველდღიურად წეს-ჩვეულებათა სამსახურში? ტერეზას უნდოდა წირვას იმ დღით დასწრებოდა, როდესაც ეკლესიაში მხოლოდ მგალობლები იყვნენ და პურის ნატეხზე თავდახრილი მღვდელი ლოცვას ბუტბუტებდა. ტერეზას ასეთნაირი საქციელი უცნაურად მოეჩვენებოდათ როგორც მისი ოჯახის წევრებს, ასევე მთელ დაბას, ამას მის რელიგიისკენ შემობრუნებას მიაწერდნენ.

მშობიარობის შემდეგ ტერეზას ტანჯვა იმ ზომამდე მივიდა, რომ ცხოვრება აუტანლად ეჩვენა. თუმცა გარეგნულად ეს არ ეტყობოდა. ცოლ-ქმარს ერთხელაც არ უჩხუბია. დედამთილსა და მამამთილს ტერეზა ისეთი პატივით ეპყრობოდა, რომ თავად ბერნარსაც კი აჭარბებდა. სავალალო სწორედ ის იყო, რომ არ ძალუძდა ეპოვა რაიმე საბაბი განხეთქილებისათვის. თითქოს ვერავითარი ძალა ვერ შეცვლიდა მათი ცხოვრების ნირს თვით სიკვდილამდე. განხეთქილებამდე საჭიროა შეჯახება. ტერეზას კი არასოდეს მოსვლია განხეთქილება ბერნართან და მის მშობლებთან. მათი ლაპარაკი ვერ აღწევდა ტერეზას ცნობიერებამდე. ფიქრადაც არ მოსვლია გამოპასუხებოდა. თითქოს ისინი სხვადასხვა აზრს დებდნენ სიტყვებში. თუ ახალგაზრდა ქალი გულწრფელად იტყოდა რასმე, ოჯახი ამას მის ახირებულ ხასიათს აწერდა.

— ისე ვიქცევი, თითქოს არაფერი მესმის, — ამბობდა ქალბა-

ტონი დე და ტრავი, —ხოლო თუ რაიმეს დაიჟინებს, არავითარ მნიშვნელობას არ ვაძლევ. მან იცის, რომ ამგვარი რამ ჩვენთან არ გაუვა.

დედამთილს ერთი რამ ვერ ეპატიებინა რძლისთვის. ტერეზა ვერ იტანდა, როცა მახლობლები იტყოდნენ, პატარა მარი ზედგამოჭრილი დედააო, ვერ გადათქვამთ, რომ თქვენი ქალიშვილიაო. ეს აღელვებდა და აბრაზებდა ახალგაზრდა დედას, იგი ყოველთვის ვერ ახერხებდა ამის დაფარვას:

— ბავშვს ჩემი არაფერი სცხია. — დაბეჯითებით იმეორებდა იგი, — შეხედეთ რა შავგვრემანია. გიშერივით შავი თვალები აქვს. შეადარეთ ჩემს ფოტოსურათებს. მე ხომ ფერმკრთალი გოგონა ვიყავი.

ტერეზას არ უნდოდა მარი მას ჰგვანებოდა. საკუთარი სისხლისა და ხორცისაგან გამოყოფილ პატარა ნაწილაკთან არავითარი საერთო აღარ უნდოდა ჰქონოდა. დაიწყეს ლაპარაკი, მითქმა-მოთქმა, ტერეზა მოკლებულია დედობრივ გრძნობებსო. თუმც ქალბატონი დე და ტრავი ირწმუნებოდა, თავისებურად უყვარს ქალიშვილიო.

— რა თქმა უნდა, ვერ მოვთხოვთ, თვალყური ადევნოს ბავშვის ბანაობას და ჩვრები გამოუცვალოს. ეს მის ბუნებას არ შეეფერება, მაგრამ მე შევნიშნე, რომ საღამოობით აკვანს უზის და სიგარეტსაც კი არ სწევს, რომ მძინარე მარის უმზიროს... ანდა, რა საჭიროა, როდესაც მშვენიერი ძიძა გვყავს, ანაც აქვეა... გარწმუნებთ, აი, ვინ იქნება ჭეშმარიტად საუცხოო დედა!

მართლაც, მას შემდეგ, რაც სახლში ბავშვი გაჩნდა, ანა თითქოს გამოცოცხლდა. აკვანი ანდამატურის ძალით იზიდავს ქალებს. მაგრამ ანას სხვებზე მეტად უხაროდა ბავშვის გაჩენა და უდიდეს სიყვარულს იჩენდა მის მიმართ. რათა უფრო ახლოს ყოფილიყო მასთან, ანა შეურიგდა ტერეზას, თუმცა მათი ყოფილი ტკბილი ურთიერთობისგან გარეგნული ფორმალა შერჩა. ანა შიშობდა, ტერეზას დედური ეჭვიანობის გრძნობა არ აღეძრასო.

— პაწაწინა გოგონა ჩემ უფრო კარგად მცნობს, ვიდრე თავის დედას. მიღიმის, როდესაც მსედავს. იმ დღესაც ხელში მეჭირა და როდესაც ტერეზამ გამორთმევა მოინდომა, ტირილი დაიწყო! ისე აშკარად ვურჩევნივარ, რომ ხანდახან ტერეზას წინაშე თავს უხერხულადაც კი ვგრძნობ.

ანას შიში ამაო იყო: თავისი ცხოვრების იმ ჟამს ტერეზა მარისადმიც ისეთ უცხოობას გრძნობდა, როგორც სხვების მიმართ. ხალხი და მოვლენები, საკუთარი სული და ხორცი, ყოველივე მის მიღმა

არსებობდა, ვითარც მოჩვენება, ვითარც მის თავზე გაწოლილი ნისლიანი ღრუბელი. იმ არარეალურ სამყაროში მარტოოდენ ბერნარი იყო საშინელი ჭეშმარიტება: მისი წარმოსადეგი სხეული, მისი ცხვირში ლაპარაკის ჩვევა, მისი თვითკმაყოფილება. ქალს სურდა ამქვეყნად ყველაფერს გაქცეოდა, მაგრამ როგორ? საით წასულიყო? სიცხე-პაპანაქება ბოჭავდა, ღონეს აცლიდა და ადიზიანებდა. ჯერ კიდევ ვერ მოესაზრებინა, რა მწიფდებოდა მასში და რას უახლოვდებოდა თანდათან. როგორ გაიარა ამ წელიწადმა? მეხსიერებაში არ ჩაბეჭდვია არც ერთი შემთხვევა, არც ერთი საუბარი. მხოლოდ ის დღე აგონდება, როდესაც ქმარი ჩვეულებრივზე მეტად შეზიზღდა. „უფლის დღესასწაული" იდგა. ტერეზა ნახევრად გამოღებული დარაბებიდან უცქეროდა მსვლელობას, პროცესიაში თითო-ოროლა მამაკაცი თუ ერია. ბერნარიც მათ რიცხვში იყო. სოფელი უეცრად დაცარიელდა. თითქოს მსვლელობის წინ კრავს კი არა, ლომს მიაქანებდნენ. ხალხი სახლებში ჩაიკეტა, რათა ქუდების მოხდას და მუხლის მოყრას განრიდებოდნენ. როდესაც საშიშროებამ განვლო, ერთიმეორეზე გაიხსნა კარები. ტერეზა მისჩერებოდა მღვდელს, რომელსაც თვალები მილეული და ხელში რაღაც უცნაური საგანი ეჭირა. მას ტუჩები უთრთოდა. ვისკენ იყო მიმართული მისი ტანჯვით აღსავსე მზერა? მღვდელს უკან მიჰყვებოდა ბერნარი, „თავისი მოვალეობა რომ აღესრულებია".

რამდენიმე კვირა ისე გავიდა, ერთი წვიმა არ წამოსულა. ბერნარს გამუდმებით ხანძრის შიში სდევდა და ხელახლა დაიწყო ჩივილი, გული მტკივაო. ლუშას მხარეს ხუთასი ჰექტარი ტყე დაიწვა. „ქარი რომ ჩრდილოეთიდან ამოვარდნილიყო, ბალიზაკში ფიჭვები დამელუპებოდა", — ღლავდა იგი. ტერეზაც უცდიდა და თავადაც არ იცოდა, რას ელოდა იმ შეუბრალებელი ცისგან. წვიმა კი არსად ჩანდა... შეიძლება დადგეს დღე, როდესაც ირგვლივ აგიზგიზდება მთელი ტყეები, დაიწვებს ჭახჭახს და დაბაც კი ვერ გადაურჩება ამ უბედურ შემთხვევას. რატომ არის, რომ ლანდებში დასახლებულ ადგილებს არასდროს არ გასჩენია ცეცხლი. რა სამართლიანია, რომ ცეცხლი ყოველთვის ფიჭვებს ედება, ხალხს კი გვერდს უვლისო, ფიქრობდა ტერეზა. ოჯახში დაუსრულებლად კამათობდნენ, რა იყო ამ უბედურების მიზეზი. გადასროლილი სიგარეტის ნამწვი? ბოროტი ზრახვანი? ტერეზას ესიზმრებოდა, რომ ღამით დგებოდა, გამოდიოდა გარეთ, მიდიოდა ტყეში, აგდებდა სიგარეტს და ბოლოს უზარმაზარი ბოლქვები პირქუში ღრუბ-

ღებივით ფარავდნენ ამომავალი მზის სხივებით შეღებილ ცის ტაცნოსს... მაგრამ იგი ცდილობდა გაეფანტა ეს ზმანება.. ტყის სიყვარული ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი. არა, ფიჭვები როდი სძულდა ტერეზას.

აი, დადგა დრო იმ ამბავთან პირისპირ შეყრისა, რაც მან მოიმოქმედა. როგორ აუხსნას ბერნარს? სხვა რაღა დარჩენია, თანმიმდევრობით უნდა მოუყვეს ყოველივეს, რაც მოხდა. იმ დღიდან დაიწყო, როდესაც მანოში ხანძარმა იფეთქა. სასადილო ოთახში, სადაც ისინი სახელდახელოდ სადილობდნენ, ხალხი შემოვიდა. ერთნი ამტკიცებდნენ, ცეცხლი სენ-კლერიდან შორს არისო. მეორენი გაიძახოდნენ, ნაბათი დავკრათო. იმ შეხუთულ დღეს ჰაერი გამდნარი კუპრის სუნით იყო გაჟღენთილი. კვამლისგან მზესაც შერუჯული, ჭუჭყიანი ფერი დაჰკრავდა. მაგიდასთან მჯდარი ტერეზა თვალყურს ადევნებდა ქმარს. ბერნარს თავი მიებრუნებინა და ყურადღებით უსმენდა ბალიონის ნაამბობს. ბანჯგვლიან, ძლიერ ხელს ანგარიშმიუცემლად ეჭირა წამლის შუშა. „ფაულერის" სითხე წყლიან ჭიქაში წვეთავდა. ბერნარმა სულმოუთქმელად გადაჰკრა ეს ნაჯერი. სიცხისაგან მოთენთილ, გაოგნებულ ტერეზას არ შეუმჩნევია და არ უთქვამს, ანაზდად ორმაგი დოზა დაისხიო. ყველა წამოდგა მაგიდიდან, მხოლოდ ტერეზა განაგრძობდა ნუშის ფცქვნას. გულგრილად იყო, აინუნში არ აგდებდა საერთო მღელვარებას, საკუთარი ტანჯვის გარდა მის გულს არაფერი ეკარებოდა. ნაბათის ხმა აღარ ისმოდა. ბერნარი ოთახში დაბრუნდა:

— ამჯერად შენ მართალი იყავი, რომ არ ღელავდი. ხანძარი აქედან შორსაა. მანოს მხარეს. — მერე ჰკითხა: — დავლიე თუ იცი წვეთები?

პასუხისთვის არ დაუცდია, ხელახლა დაისხა ჭიქაში წამალი. ტერეზა კი დუმდა. სიზარმაცის და მოდუნების ბრალი თუ იყო. რას უცდიდა, რაზე ამყარებდა იმედებს იმ წუთში? „შეუძლებელია, ჩემი დუმილი მაშინ ბოროტი განზრახვით არ ყოფილა გამოწვეული".

მაგრამ იმ ღამეს, როცა ბერნარი ტიროდა, კვნესოდა, სასტიკად აწვალებდა პირის ღებინება და სასთუმალთან მდგარმა ექიმმა პედმეიმ ჰკითხა, რა მიზეზით გახდა ავად თქვენი ქმარიო, ტერეზას სიტყვაც არ დასცდენია იმაზე, რაც სასადილო ოთახში დაინახა. შეიძლებოდა სრულიად უბრალოდ ეთქვა ექიმისათვის, ბერნარმა მგონი მეტი დარიშხანი მიიღოო, ისე, რომ თავის თავისათვის სამარცხვინო ლაქა არ

მიეცხო. შეეძლო ეთქვა: „ანგარიში არ გამიწევია, რაც იმ წუთში დავინახე. ხანძრის გამო ყველანი დაბნეულები ვიყავით. მაგრამ ახლა დაბეჯითებით მაგონდება, რომ ბერნარმა ორმაგი დოზა მიიღო". ტერეზამ არ თქვა ეს. პირში წყალი დაიგუბა. ხმის ამოღება თუ მაინც მოინდომა? მაგრამ ის გაურკვეველი გადაწყვეტილება, რაც თავისდაუნებურად საუზმის დროს გონებაში ჩაესახა, წამოიჭრა მისი ქვეცნობიერების სიღრმიდან; თუმც ჯერ უფორმო იყო, მაგრამ უკვე იწყო ხორცის შესხმა.

როდესაც ექიმი წავიდა, იგი დიდხანს უმზერდა ბერნარს, რომელმაც, როგორც იყო, ჩაიძინა. ტერეზა ფიქრობდა: „ჯერ კიდევ არაფერი მოწმობს, რომ მართლაც ამის ბრალია. იქნებ, უბრალოდ, აპენდიციტის შეტევა იყო, თუმცა სხვა საამისო ნიშნები არ ჩანდა... ან იქნებ ინფექციური გრიპი შეეყარა". მაგრამ ერთი დღის შემდეგ ბერნარი კვლავ ფეხზე წამოდგა. „ადვილი შესაძლებელია, ყველაფერი იმ წვეთების ბრალი იყო". დაბეჯითებით ამის თქმა საძნელო საქმეს წარმოადგენდა, ტერეზას კი სურდა სცოდნოდა სინამდვილე. საშინელი ცდუნების მსხვერპლად როდი გრძნობდა თავს. მარტოოდენ ცნობისმოყვარეობა ამოძრავებდა, როდესაც ჭიქაში პირველად დაუსხა ფაულერის წვეთები, ვიდრე ბერნარი ოთახში შემოვიდოდა. იგი თავის თავს უმეორებდა: „ერთხელ, მხოლოდ ერთხელ, რათა სიმდისი დავიმშვიდო... მაშინ შევიტყობ, ეს თუ იყო მიზეზი მისი ავადმყოფობისა. კიდევ ერთხელ და წერტილი დაესმევა".

მატარებელმა სვლას უკლო. გაისმა ხანგრძლივი სტვენა. წყვდიადში გამოჩნდა სინათლის ორი-სამი წერტილი — სენ-კლერის სადგური. ტერეზას ალარაფერი დარჩა გასახსენებელი და შესაჯამებელი. იგი დაქანდა ხახადალებულ დანაშაულის უფსკრულში. დანაშაულმა ჩაითრია. ის, რაც შემდეგ მოხდა, ბერნარმაც მასავით კარგად იცოდა. ბერნარი კვლავ ცუდად გახდა; იმგვარივე პირისლებინება და ტკივილები დაეწყო... ტერეზა დღედალამ ფხიზლობდა მის სასთუმალთან, თუმც გრძნობდა, ძალ-ღონე გამოლეოდა. პირში ვერაფერს იდებდა, ისე გაფითრებულიყო, რომ ბერნარმა ურჩია, „ფაულერის" წვეთები დალიეო და ექიმ პედმეის სთხოვა, მისთვისაც გამოეწერა რეცეპტი. საბრალო ექიმი პედმეი! იგი გაოგნებული იყო და ალარ იცოდა რა ეფიქრა, როდესაც ბერნარის მიერ ამონთხეულ მომწვანო სითხეს ხედავდა. ვერ წარმოედგინა, თუ შესაძლებელი იქნებოდა ამგვარი შეუსაბამობა ავადმყოფის

პულსსა და ტემპერატურას შორის. ხშირად ჰქონია შემთხვევა თვალყური ედევნებინა პარტახტიანი ტიფით დაავადებულთათვის, რომელთაც მაღალი სიცხის მიუხედავად შენელებული პულსი ჰქონიათ. მაგრამ რით უნდა აეხსნა ისეთი გახშირებული და არარითმული მაჯისცემა, როდესაც ტემპერატურა ნორმალურზე უფრო დაბალი იყო? ეტყობოდა ინფექციური გრიპი შეჰყროდა: დიახ, თუ გრიპია, მაშინ ყოველივე გასაგებია.

ქალბატონ დე ლა ტრავს სურდა რჩევისათვის ვინმე სახელგანთქმული ექიმი მოეწვია, მაგრამ იმასაც ერიდებოდა, ძველ მეგობარს, ოჯახის ექიმს ვაწყენინებო. მით უმეტეს, ტერეზამაც უთხრა, ბერნარი არ შეშინდესო. აგვისტოს შუა რიცხვებში ერთ-ერთი განსაკუთრებით სასტიკი შეტევის შემდეგ პედმეიმ თავად გამოთქვა სურვილი რომელიმე კოლეგას მოლაპარაკებოდა. მაგრამ იღბალზე მეორე დღეს ბერნარი უკეთ შეიქნა. და სამი კვირის შემდეგ თქვეს, საბოლოოდ გამოჯანმრთელდებაო. „რა ბედნიერებაა, რომ ვერავის გამოძახება ვერ მოვასწარით, — ამბობდა პედმეი. — რომელიმე სახელმოხვეჭილ ექიმს რომ ენახა, ბერნარის განკურნებას მას მიაწერდნენ".

ბერნარმა მოითხოვა, არჟელუზში გადამიყვანეთო, იმედოვნებდა, მალე გამოვჯანმრთელდები და გარეულ მტრედებზე ნადირობასაც შევძლებო. მაშინ ტერეზა სასტიკად გაიტანჯა: მამიდა კლარა ძლიერმა რევმატულმა შეტევამ ლოგინად ჩააგდო და ოჯახის მთელი საქმე, ორი ავადმყოფისა და ბავშვის მოვლა ახალგაზრდა ქალს დააწვა, ესეც არ იყოს, მამიდა კლარას თავისი არჟელუზელი ავადმყოფებისა და ღარიბების ბედი აწუხებდა. ტერეზა შეძლებისდაგვარად ცდილობდა დახმარებოდა მამიდას და მისი მაგივრობა გაეწია. ყველა ფერმა მოიარა, ზრუნავდა, რომ დაბიდან ავადმყოფებისათვის წამალი ჩამოეტანათ და ყოველივე ამაში ფულს თავისი ჯიბიდან იხდიდა. სრულიადაც არ აღარდებდა, რომ ვილმეჟაში სახლი ჩაკეტილი და გამოცარიელებული იყო. იგი აღარ ფიქრობდა ჟან აზევედოზე და ამქვეყნად არც არავინ აგონდებოდა. ბნელ გვირაბში მარტოდმარტო მიიკვლევდა გზას, თავბრუ ესხმოდა, არაფერზე არ ფიქრობდა, ბრმად მიდიოდა, ეწადა ამ ბნელეთიდან, ამ კვამლით სავსე წყვდიადიდან სუფთა ჰაერზე რაც შეიძლება ჩქარა, ჩქარა გასულიყო.

დეკემბრის დამდეგს ავადმყოფობამ ხელახლა შემოუტია ბერნარს და თავზარი დასცა. შემცივნებული კბილს კბილზე აცემინებდა და ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ფეხები წაერთვაო. რა შედეგი მოჰყვა ამას! ბატონი დე ლა ტრავის მიერ ბორდოდან ჩამოყვანილი ექიმი

ავადმყოფის გასინჯვის შემდეგ კარგა ხანს დუმდა (ტერეზას ხელში დამპა ეჭირა და ბებერ ბალიონს ახლაც კარგად ახსოვს, რომ სახე მიტკალზე უფრო გაფითრებული ჰქონდა). მკრთალად განათებულ კიბის ბაქანზე პედმეიმ დაბალი ხმით, რათა ტერეზას არ გაეგონა, აცნობა თავის კოლეგას, აფთიაქარმა დარკეიმ ჩემს ბლანკზე გამოწერილი ორი ყალბი რეცეპტი მაჩვენაო. ერთზე ვიღაც ბოროტმოქმედის ხელით იყო მიწერილი „ფაულერის სითხე", მეორეზე დიდი დოზებით იყო გამოწერილი ქლოროფორმი, დიგიტალინი და აკონიტინი. ბალიონმა არჟელუზის სხვა ავადმყოფთათვის განკუთვნილი მთელი შეკვრა რეცეპტებთან ერთად ისინიც მოიტანა. დარკეი ძლიერ წუხდა, რომ ამ ორი რეცეპტით საწამლავი გასცა და მეორე დღესვე მიირბინა ექიმ პედმეისთან... დიახ, ბერნარმა ყოველივე ეს ტერეზაზე უკეთ იცის. იგი მალე სასწრაფო დახმარების მანქანით ბორდოს კლინიკაში გადაიყვანეს და ამ დღიდან მოყოლებული თავს უკეთ გრძნობდა. ტერეზა არჟელუზში მარტო დარჩა, მაგრამ ამ განმარტოებაში ირგვლივ ატეხილი ჩოჩქოლი და მითქმა-მოთქმა მის ყურებამდეც აღწევდა. იგი წააგავდა მომწყვდეულ ნადირს, რომელიც უკვე გრძნობს მეძებარი ძაღლების მოახლოებას. სირბილისაგან ქანცგამოლეული ადამიანივით, თითქმის მიზნისათვის რომ მიუღწევია და მარტოოდენ ხელის გაწვდენაღა ესაჭიროება, რომ მისწვდეს, რასაც ესწრაფოდა, უეცრად დაანარცხეს მიწაზე. ზამთარი იდეოდა, ერთ საღამოს მამამისი მოვიდა და შეევედრა ტერეზას თავი ემართლებინა. ჯერ კიდევ შეიძლებოდა ეპოვა გამოსავალი. პედმეი მზად იყო, უარეყო თავისი საჩივარი და უკანვე გამოეთხოვა: დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, ერთ-ერთი რეცეპტი მართლა ჩემი დაწერილია თუ არაო. რაც შეეხება მეორეს, შეუძლებელია ქლოროფორმის, დიგიტალინის და აკონიტინის ამგვარი ძლიერი დოზებით გამოწერა, მაგრამ აკი ამ შხამების არავითარი კვალი არაა ავადმყოფის სისხლში აღმოჩენილი...

ტერეზას გაახსენდა რა უთხრა მამამ ავადმყოფი მამიდა კლარას სასთუმალთან. ბუხარში მოგიზგიზე ცეცხლი ოთახს ანათებდა. ლამპის ანთება არავის უნდოდა. მონოტონური ხმით, ბავშვივით, რომელიც გაკვეთილს პასუხობს (უძილო ღამეების განმავლობაში მრავალჯერ გამეორებულს და მტკიცედ ათვისებულ გაკვეთილს), უხსნიდა მამას: გზაზე ვიღაც კაცი შემხვდა, არჟელუზელი არ უნდა ყოფილიყო. შემეხვეწა, როდესაც რეცეპტებს გაგზავნით აფთიაქში, დარკეისთან, ჩემიც გააყოლეთ. ისე დიდ ვალი მაქვს მისი, ვერ გამიბედია აფთიაქ-

ში ფეხის შედგმაო. შემპირდა, თვითონ მოვალ თქვენთან წამლის წა-
მოსაღებადო. არც გვარი უთქვამს, არც მისამართი...

— ტერეზა, სხვა რაიმე მოიგონე, გთხოვ, ეს ოჯახის საკეთილ-
დღეოდ მაინც გააკეთე. სხვა ამბავი შეთხზე, უბედურო!

მამა დაროკი დიდხანს გაშმაგებით ჰკიცხავდა ტერეზას. ყრუმ
წამოიწია ბალიშზე, თუმც გარკვევით არ ესმოდა რას ლაპარაკობდნენ,
მაგრამ გრძნობდა, რომ რაღაც საშინელება ხდებოდა ტერეზას თავს და
ამოიკვნესა:

— რას გეუბნება, რა უნდათ შენგან? რატომ გჩაგრავენ?

ტერეზამ ძალ-ღონე მოიკრიბა, მამიდას გაუღიმა, აილო მისი ხე-
ლი და დაამშვიდა, თან ბავშვივით, რომელიც კატეხიზმოს პასუხობს,
ერთსა და იმავეს იმეორებდა:

— ეს იყო სრულიად უცნობი, ქუჩაში მიმავალი კაცი. სიბნელეში
ვერ გავარჩიე მისი სახე. არც ის უთქვამს, რომელ ფერმაში ცხოვრობ-
და. მეორე დღეს მოვიდა კიდეც წამლის წასაღებად. საუბედუროდ, ში-
ნაურებიდან ვერავინ შენიშნა.

## IX

როგორც იქნა, სენ-კლერს მიაღწიეს. ტერეზა შეუმჩნევლად გად-
მოვიდა ვაგონიდან და ვიდრე ბალიონი მის ბილეთს აბარებდა, ბაქანს
შემოუარა და გავიდა გზაზე, სადაც ეტლი უცდიდა.

ეს ორთვალა ეტლი გახლდათ ამჟამად მისი თავშესაფარი. გადა-
რეცხილ გზაზე ეჭვი არ იყო, აღარავინ შეხვდებოდა. წვალებით მომზა-
დებული ალსარება თავიდან ამოუფრინდა. წინანდელი ფიქრები და მო-
გონებებიც ისე გაუქრა, კვალიც არ დაუტოვებია. არა, არაფერი ეთქმის
თავის დასაცავად, არაფრის ახსნა არ ძალუძს. უჯობს დადუმდეს, ანდა
მხოლოდ შეკითხვებზე გასცეს პასუხი. რა აშინებს? ეს ღამეც გაივ-
ლის როგორც ყველა დანარჩენი. ხვალ ისევ ამოვა მზე. ღრმადა სწამს,
რაც უნდა მოხდეს, განთავისუფლდება ამ კოშმარებისგან. რა შეიძლე-
ბა იყოს ამ გულგრილობაზე და თავის თავში ჩაკეტვაზე საშინელი, რაც
ადამიანებისგან აცილებს? ეს იმას ნიშნავს, ცოცხალ ლეშად გადაიქცე.
ტერეზამ უკვე შეიცნო სიკვდილის გემო, რამდენადაც შეუძლია ცო-
ცხალმა ადამიანმა შეიცნოს იგი.

სიბნელეს მიჩვეულმა თვალებმა გზის მოსახვევში იცნო ფერმა,

რომლის ღაბაღი ნაგებობანი შორიდან მიწაზე გაწოლილ მძინარე ცხოველებს მიაგავდნენ. ამ ადგილას ოდესღაც ანას ეშინოდა ველოსიპედით გავლა, ძაღლები ბორბლებში უვარდებოდნენ. ცოტა მოშორებით რამდენიმე მურყანს გარს ერტყმოდა ვიწრო ღარტაფი. პაპანაქება სიცხეშიც კი აქედან მონაბერი ნიავი მეგობრებს გახურებულ სახეებს უგრილებდა... გაახსენდა ველოსიპედზე მჯდარი გოგონა, რომლის ღიმილიც ფართოფარფლიან ქუდის ქვემოდან გამოკრთოდა, ველოსიპედის ზანზალაკის წკრიალი და მხიარული შეძახილები: „შეხედე! ორივე ხელს ვუშვებ!" ეს სურათი, რომელიც ახლა ცოცხლდებოდა ტერეზას გონებაში, აწ დამთავრებული ცხოვრების ნაშთი, ერთადერთი ნუგეშია, ესღა დარჩენოდა, რითაც ისვენებდა უსაზღვროდ დაქანცული მისი სული. უნებლიეთ იმეორებდა ცხენის ფლოქვთა თქარათქურის რიტმს აყოლილი: „უაზროა ჩემი ცხოვრება... უსაზღვროდ საშინელია მარტოობა... გამოუვალ ჩიხში ვარ მომწყვდეული".. ოჰ, მხოლოდ იმ ერთადერთს, რასაც შეუძლია მისი ხსნა, ბერნარი არ კააკეთებს. ყოველგვარი შეკითხვების გარეშე რომ ჩაიკრას გულში! თვითონ ტერეზას რომ შეეძლოს მამაკაცის მკერდს მიაყრდნოს თავი და გამოიტიროს ყოველივე!

ორთავალამ გადაკვეთა მინდვრების მიჯნა, სწორედ ის, სადაც ოდესღაც ზაფხულის პაპანაქება დღეს ჟან აზევედოსთან იჯდა... წარმოიდგინეთ, რომ მისი საუბრის გავლენით ქალმა ირწმუნა დედამიწაზე ისეთი ადგილის არსებობა, სადაც მის სულს შეეძლო გაფურჩქნილიყო, სადაც ადამიანები მას გაუგებდნენ, შეიყვარებდნენ და მოიხიბლებოდნენ მისით. მაგრამ ისევე, როგორც კეთროვანი წყლულებს ვერ მოიცილებს, ტერეზა მარტოობას ვერსად გაექცევა. არავითარ ძალას არ ძალუძს მისი ბედ-იღბლის არც გაუმჯობესება და არც გაუარესება.

— აი, ბატონი ბერნარი და ქალბატონი კლარა.

ბალიონმა ცხენი შეაჩერა. ორი აჩრდილი მიუახლოვდა ეტლს. ბერნარი, თუმც სისუსტისგან ფეხზე ძლივს იდგა, მაინც გამოვიდა მისაგებებლად, ერთი სული ჰქონდა გაეგო, როგორ დამთავრდა ყოველივე. ტერეზამ შორიდანვე გასძახა:

— ბრალდება არ დამიმტკიცდა.

— კიდევ კარგი, დასრულდა. — მხოლოდ ესა თქვა ბერნარმა, მერე მამიდას უშველა ეტლში ასვლა და ხელი ჩაავლო ალვირს. ბალიონი ფეხით დაბრუნდა შინ. მამიდა კლარა ცოლ-ქმარს შუა იჯდა. ყურში ხმამაღლა ჩასძახეს, ყოველივე კეთილად დამთავრდაო (დღემდე ვერ გაეგო

ამ ამბის ასავალ-დასავალი). როგორც სჩვეოდა, ყრუ სულმოუთქმელად მოჰყვა ლაპარაკს: ერთი და იგივე ტაქტიკა აქვთ, სულ იმის ფიქრში არიან, დრეიფუსის[1] საქმე დაიწყონო. „დასწამეთ ცილი, დასწამეთ ცილი, რაღაც მაინც მოეცხება. ისინი ძლიერ ღონიერები არიან და რესპუბლიკელებს ამაოდ ავიწყდებათ, რომ გადარაჯებულნი უნდა იყვნენ. მიეცით იმ ბინძურ ცხოველებს პატარა ამოსუნთქვის საშუალება და ზედ შემოგახტებიან"... მისი ასეთნაირი ლაქლაქის წყალობით ცოლქმარს შეეძლო არაფერზე ესაუბრა.

მამიდა კლარა შანდლით ხელში აქოშინებული ადიოდა კიბეებზე:

— ჯერ არ აპირებთ დაწოლას? ტერეზა ძალიან გაწვალდებოდა. იქ, ოთახში, ფინჯანი ბულიონი და ცივი წიწილა მოგიმზადეთ.

მაგრამ ცოლ-ქმარი ადგილიდან არ დაძრულა, შემოსასვლელში იდგნენ. მოხუცმა დაინახა, ბერნარმა როგორ გახსნა სასტუმრო ოთახის კარი, გზა დაუთმო ტერეზას, წინ გაატარა და შემდეგ თვითონაც შეჰყვა. ყრუ რომ არ ყოფილიყო, აუცილებლად ყურს მიადებდა კარს. ახლა კი სულ არ ერიდებოდნენ. მაინც ჩააქრო სანთელი, ხელის ფათურით ხელახლა ჩავიდა ქვევით და გასაღების ხვრელში დაიწყო ცქერა. ბერნარს ხელში ლამპა ეჭირა. კაშკაშა შუქით განათებულ მის სახეს პირქუში და საზეიმო გამომეტყველება მიეღო. ტერეზა კარისკენ ზურგშექცევით იჯდა. სავარძელზე ეყარა მისი პალტო და ქუდი. ბუხარში მოგიზგიზე ცეცხლისკენ გაწვდილ ფეხსაცმელს ოხშივარი ასდიოდა, ტერეზა ანაზდად შეტრიალდა ქმრისკენ და მოხუცი ქალი, რომელიც გასაღების ჭუჭრუტანიდან უმზერდა, დამშვიდდა, რადგან მის სახეზე ღიმილი შენიშნა.

დიახ, ტერეზა იღიმებოდა. იმ მცირე დროის მონაკვეთში, ვიდრე ბერნართან ერთად საჯინიბოდან სახლამდე მივიდოდა, უეცრად იგრძნო, როგორ უნდა მოქცეულიყო. თვალი ჰკიდა თუ არა ბერნარს, მიხვდა, რომ იმედი გაუცრუვდა, ამ კაცს ვერც ალსარებას ეტყოდა და ვერც მიენდობოდა. ჩვენს წარმოდგენაში რაღას აღარ მივაწერთ ხოლმე იმ ადამიანებს, რომელთაც კარგად ვიცნობთ, მაგრამ ჩვენგან შორს არიან! იმ ღამეს გზაში თავისდა უნებურად თავს ძალას ატანდა, გონების

[1] დრეიფუსი — ეროვნებით ებრაელი, საფრანგეთის გენშტაბის ოფიცერი, რომელსაც ბრალი დადეს გერმანიისათვის სასარგებლო ჯაშუშურ საქმიანობაში. ამან ალაშფოთა მთელი საფრანგეთი და ერთხმად მოითხოვდნენ დრეიფუსის საქმის გადათვალიერებას.

თვალით შეექმნა ბერნარის ახალი სახება, რომელიც გაუგებდა, ანდა, შეეცდებოდა გაეგო და ეპატიებინა. მაგრამ შეხვედრისთანავე ისეთად დაინახა, როგორიც სინამდვილეში იყო; ეს კაცი ვერასოდეს წარმოიდგენდა თავს სხვის ადგილას და ვერც თავს დაატანდა ძალას, რომ საკუთარი ტყავიდან გამომძვრალიყო და დაენახა ის, რასაც მოწინააღმდეგე ხედავდა. განა მოისურვებს ბერნარი მოუსმინოს? ბერნარი ბოლთასა სცემდა ნესტიან და მიყრუებულ ოთახში, დამპალი იატაკის ფიცრებს მის ფეხქვეშ ჭრიალი გაჰქონდა. ცოლს არ უცქეროდა, დიდი ხანია, წინასწარ ჰქონდა მოფიქრებული სათქმელი. ტერეზამაც იცოდა, რა დარჩენოდა საპასუხოდ. ყველაზე უბრალო გამოსავალია სწორედ ის, რაზედაც წინათ არასოდეს გიფიქრია. ტერეზას უნდოდა ეთქვა: „ჩემთვის ნუ შეწუხდებით, ბერნარ, მე წავალ აქედან. თუ გინდა, ამ ღამესვე გავქრები წყვდიადში. ტყე და სიბნელე არ მაშინებს. ჩვენ ძველი მეგობრები ვართ. მე ისეთნაირად ვიყავი შექმნილი, როგორც ეს მწირი, უნაყოფო მხარეა, სადაც არავითარი სულდგმული არ ბინადრობს, გარდა მძლევარი ფრინველებისა და მაწანწალა გარეული ტახისა. თანახმა ვარ, ამომშალო შენი ცხოვრების ფურცლებიდან. დაწვი ყველა ჩემი ფოტოსურათი, დაე ნურავინ, ჩემი გოგონაც კი ნუ გაიგებს დედის სახელს, დაე, თქვენ გეგონოთ, რომ მე არასოდეს არ ვარსებობდი“.

ტერეზამ უკვე გააპო ბაგე და თქვა:

— ნება მიბოძეთ, ბერნარ, აქედან გადავიკარგო.

ამის გაგონებაზე ბერნარი შეჩერდა და ცოლისკენ შემობრუნდა. შუბლზე ძარღვები დაებერა და წაიბურტყუნა:

— რაო? ნუთუ კიდევ ბედავთ გამოთქვათ სურვილები? კმარა! აღარ გამაგონოთ არც ერთი სიტყვა! ახლა მხოლოდ უნდა მომისმინოთ, უდრტვინველად მიიღოთ ჩემი ბრძანება და ჩემს გადაწყვეტილებას დაემორჩილოთ.

ახლა ენა აღარ ებმოდა, მკვეთრად გამოთქვამდა წინასწარ დაბეჯითებით მომზადებულ წინადადებებს. მკაცრად ლაპარაკობდა და დროდადრო ჯიბიდან ამოღებულ რაღაც ქაღალდში იცქირებოდა. ტერეზას შიში უეცრად გაუქრა. სიცილის სურვილი კი აღეძრა... „სასაცილოდ გამოიყურება, სასაცილოა“... ქალი უკვე აღარ აქცევდა ყურადღებას, რასაც ლაპარაკობდა ბერნარი თავის საძაგელ კილოზე, რის გამოც სენ-კლერის საზღვრების გარეთ ყველა დასცინოდა. იმასღა ფიქრობდა: „რატომ მეჩვენებოდა ყოველივე ასე ტრაგიკულად? რა დიდი საქმეა თუ ეს ყეყეჩი წავიდოდა ამქვეყნიური ცხოვრებიდან“. უცქეროდა მოცახცახე ხელს, ქაღალდი რომ ეჭირა, მის ჭუჭყიან ფრჩხილებს. ეს სოფლელი ვა-

ქი, რომელიც არ ატარებს სამაჯეს, როგორც კი თავის კუთხეს გასცდება, სასაცილო ხდება. აი, ადამიანი, რომლის ცხოვრება არავის და არაფერს არ სჭირდება, არც რაიმე საქმეს, არც იდეას, არც ადამიანს. თანახმად ჩვეულებისა ჩვენ უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ ადამიანთა არსებობას. რობესპიერი მართალი იყო... ნაპოლეონიცა და სხვებიც... ბერნარს არ გამოჰპარვია ცოლის მომღიმარე სახე, გაჯავრებულმა ხმა აიმაღლა. ტერეზა იძულებული გახდა მოესმინა.

— თქვენ ჩემს ხელთა ხართ, გესმით? მოვალე ბრძანდებით დაემორჩილოთ მთელი ოჯახის გადაწყვეტილებას, თუ არადა...

— თუ არა, მაშინ რა მოხდება?

ტერეზას გულგრილი განწყობილება შეეცვალა და მოჰყვა ზვიად, დამცინავ კილოზე ყვირილს:

— დაგაგვიანდათ! თქვენ ჩემს სასარგებლოდ მიეცით ჩვენება. ახლა ველარ შეძლებთ ხელახლა დამდოთ ბრალი. თვითონვე დაისჯებით ცრუ ჩვენებისათვის...

— ყოველთვის შეიძლება გამოინახოს ახალი გარემოება. დამამტკიცებელი საბუთები უჯრაში მიდევს. მადლობა ღმერთს, ჯერ ყავლი არ გასვლია.

ტერეზამ კანკალით ჰკითხა:

— რა გინდათ ჩემგან?

რამდენიმე წუთის განმავლობაში ბერნარი თავის ჩანაწერებში იქექებოდა. ტერეზას არაფერი უშლიდა ხელს ყური მიეგდო არჟელუზის შემაძრწუნებელი მდუმარებისათვის. მამლების ყივილის დრო ჯერ შორსაა. პაწია წყაროც კი არ გადმოსჩქეფს ამ უდაბნოში. ოდნავი სიოც არ არხევს უთვალავ ფიჭვნართა კენწეროებს.

— პირადი ინტერესები როდი მამოძრავებს. თავს არად ვიგდებ... ოჯახის ღირსება უნდა დავიცვათ, მხოლოდ იმიტომ, რომ ოჯახის სახელი არ შელანძღულიყო, გადავწყვიტე სიცრუე მეთქვა ჩემი სამშობლოს სამსჯავროს წინაშე. დაე, ამის გამო ღმერთმა განმსაჯოს.

ეს მაღალფარდოვანი ტონი ტერეზას ფიზიკურ ტკივილს აყენებდა. უნდოდა ქმარს შევედრებოდა, უფრო სადად ილაპარაკეო.

— ოჯახის ღირსების გულისთვის საჭიროა ხალხს შეხმატკბილებული მეუღლენი ვეგონოთ. მე ისე დავიჭერ თავს, თითქოს ეჭვიც არ მეპარება თქვენს უცოდველობაში. თანაც შევეცდები ჩემს სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრებოდეს...

— ჩემი გეშინიათ, ბერნარ?

მან წაიბუტბუტა:

— მეშინია? არა, მეზიზღებით. — შემდეგ დასძინა: — მოდით დროზე გავათაოთ ყოველივე. აი, რას გეტყვით ერთხელ და სამუდამოდ. ხვალ ჩვენ აქედან დეკეირუს სახლში გადავბარგდებით. არ მსურს მამიდათქვენი ჩვენთან ცხოვრობდეს. საჭმელს თქვენს ოთახში ბადონის მოხუცი ცოლი შემოგიტანთ. ყველა დანარჩენ ოთახებში შესვლა აკრძალული გექნებათ. მაგრამ ტყეში სირბილს არ დაგიშლით. კვირაობით სენ-კლერის ეკლესიაში წირვაზე ერთად წავალთ. ხალხმა ჩემს გვერდით უნდა განახოთ. ყოველი თვის ხუთშაბათს კი, როგორც უწინ გვჩვეოდა, ბ.-ს ბაზარზე გავემგზავრებით და მამათქვენს ვესტუმრებით. ცხოვრების წირი არ უნდა შევიცვალოთ. ეს ეჭვს გამოიწვევს.

— მარი?

— მარის ძიძასთან ერთად სენ-კლერში გადავიყვანთ. ცოტა ხნის შემდეგ დედაჩემი იტყვის, ბავშვი უქეიფოდააო და სამხრეთისკენ წაიყვანს. ნუთუ ფიქრობდით, რომ ნებას დაგრთავდნენ ბავშვი თქვენთან გყოლოდათ? ბავშვის უშიშროებაზეც უნდა ვიზრუნოთ. ჩემი სიკვდილის შემდეგ, ოცდაერთი წელი რომ შეუსრულდება, აჰგიდ-მამულის მფლობელი გახდება. გათხოვდება, ბავშვიც შეეძინება... რატომაც არა?

ტერეზა წამოხტა. ძლივს დაიოკა კივილი.

— ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს ყოველივე ტყეების გულისათვის მოვიმოქმედე!..

მისი საქციელის ვერცერთი საიდუმლოს ჩაწვდომა ვერ მოახერხა ამ უგუნურმა და მიზეზთა შორის ყველაზე ბიეწი მიაწერა.

— ცხადია, მემკვიდრეობის გულისთვის... მაშ, აბა, რისთვის? ვერაფრით დამაჯერებთ, თითქოს მიზეზი სხვა რამ იყო. ბოლოს და ბოლოს, ამას მნიშვნელობა არა აქვს და აღარც მაინტერესებს. აღარაფერს გეკითხებით. ახლა თქვენ ჩემთვის არარა ხართ. ვაგლახ, რომ ჩემს გვარს ატარებთ, აი, ერთადერთი, რაც მაღონებს. რამდენიმე თვის შემდეგ, როდესაც ხალხი დარწმუნდება, რომ ჩვენ შორის სიმშვიდე და თანხმობა სუფევს, ანასი და დეგიდემის ვაჟის ქორწინების შემდეგ.. .თქვენ იცით, რომ დეგიდემები ყოყმანობენ და ვადის გადადებას მოითხოვენ?.. როდესაც ყოველივე ეს მოგვარდება, ბოლოს და ბოლოს, მე შემეძლება სენ-კლერში გადასვლა. თქვენ... თქვენ აქ დარჩებით. ვიტყვით, რომ ნევრასტენია შეგეყარათ, ან სხვა რამ ამგვარი...

— მაგალითად, რომ გავგიჟდი, ესეც ხომ შეიძლება?

— არა, ეს მარის მომავალს ზიანს მიაყენებდა. მაგრამ განა ცოტა რამის მოფიქრება შეიძლება? ‵‵, მე ყველაფერი გითხარით.

ტერეზამ წაიჩურჩულა:

— არჟელუზში უნდა დავრჩე... სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე...

ტერეზა ფანჯარასთან მივიდა და გამოაღო. ბერნარი იმ წუთში ჭეშმარიტ კმაყოფილების გრძნობას შეეპყრო. დღეს შეძლო დაემორჩილებინა ქალი, რომელიც მასში ყოველთვის შიშის განცდას იწვევდა. მან შეძლო იმ ქალისთვის პირდაპირ ემხილებინა თავისი ზიზღი. ბერნარს ეამაყებოდა, რომ ამ საღამოს ასე დაჯაბნა ცოლი. ქალბატონი დე და ტრავი მუდამ უმეორებდა, წმიდანი ხარო. მთელი ნათესაობა ხოტბას ასხამდა მის დიდსულოვნებას. პირველად იგრძნო, ამაღლებული სულის პატრონი ვარო. როდესაც საავადმყოფოში იწვა და ულიდესი სიფრთხილით შეატყობინეს, ცოლს განზრახული ჰქონია თქვენი მოწამვლაო, ადვილად შეძლო თავს მორეოდა და მღელვარება დაეცხრო, რამაც ყველა აღტაცებაში მოიყვანა. მაგრამ ეს დიდად არ გასჭირვებია, რაკი მოკლებული იყო ღრმა სიყვარულის გრძნობებს. ბერნარის გულს არ ჰქონია ამგვარი სიყვარულის განცდის უნარი, ამიტომ იგი სიხარულისაგან თრთოდა, რამეთუ საფრთხეს გადაურჩა. ეს იყო სიხარული იმ ადამიანისა, ვინც უეცრად აღმოაჩინა, რომ მთელი წლების განმავლობაში საშიში, შეშლილი ადამიანის გვერდით ცხოვრობდა და ცოცხალი გადარჩა. საღამო ჟამს, როდესაც ტერეზა დაბრუნდა, მისმა მეუღლემ პირველად შეიგრძნო თავისი ძლიერება. იგი ტკბებოდა თავისი თავით და მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რომ კეთილგონიერ ადამიანთათვის არ არსებობს არავითარი სიძნელენი. ამდენი ტანჯვის შემდგომ იგი მზადაა უწინდებურად დაამტკიცოს, რომ ადამიანები უბედურნი არიან მარტოოდენ საკუთარი შეცდომების მიზეზით. საშინელი ტრაგედია დაატყდა თავს, მან კი მოახერხა თავის დაღწევა. სხვა საქმეებიც გაარიგა. ხალხი თითქმის ვერაფერს გაიგებს. გარეგნულად ყოველივე უწინდებურად დარჩება. ბერნარს არავინ შეიბრალებს, მას ხომ არც სურდა სიბრალულის საგნად გადაქცეულიყო. განა დამამცირებელია, რომ მან წინასწარ ვერ განჭვრიტა და საზარელ ქალზე იქორწინა! სამაგიეროდ ხომ მოდრიკა და მოათვინიერა! ბოლოს და ბოლოს, უცოლო კაცის ცხოვრებას თავისებური სიმშვენიერე ახლავს. მას შემდეგ, რაც სიკვდილის მოახლოება იგრძნო, ყველაფრის მიმართ მადა გაეხსნა: ერთი ათად შეიყვარა კერძო საკუთრება, ავტომობილით სეირნობა, ჭამასმა, ერთი სიტყვით, ცხოვრება.

ტერეზა კვლავ სარკმელთან იდგა. წყვდიადში ბილიკზე მოფენილი ხრეში თეთრად მოჩანდა. მესრით შემოვლებული ყვავილნარიდან ქრიზანთემები ამო სურნელსა ჰფენდნენ. პირდაპირ ტანაყრილი, ვეება

შუხები ფიჭვის ტყეს ჩრდილავდნენ, მაგრამ მათგან მონადენი ფისის სურნელება ავსებდა არემარეს. ამ ტყის მიმართ ტერეზას ისეთნაირი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს უხილავი მტრის დაშქარს აღყა შემოერტყა სახლისთვის. ეს მცველები, რომელთა ყრუ კვნესას იგი მრავალი წლის მანძილზე ისმენდა, იქნებოდნენ მომსწრენი იმისა, თუ როგორ დაიტანჯებოდა ტერეზა ზამთარში და ზაფხულის მცხუნვარე დღეებში, სული შეუწუხდებოდა. ქალმა დაკეტა ფანჯარა და ბერნარს მიუახლოვდა.

— თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ძალით დამაკავებთ?

— როგორც გენებოთ.. მაგრამ კარგად გახსოვდეთ: თქვენ აქედან მხოლოდ ხელზე ბორკილებდადებულს გელირსებათ გასვლა.

— ნუ აზვიადებთ აგრერიგად. ხომ მშვენივრად გიცნობთ. არც ისე ბოროტი ხართ, როგორც თავი მოგაქვთ. თქვენ არ მოინდომებთ თქვენს საგვარეულოს ამგვარი სამარცხვინო დაღი დაესვას. ეგ როდი მალღევებს.

მაშინ ბერნარმა, მსგავსად ადამიანისა, რომელმაც ყოველივე კარგად აწონ-დაწონა, აუხსნა ტერეზას, შენი აქედან წასვლა დანაშაულის აღიარებას ნიშნავსო. ამჯერად, ოჯახი შერცხვენას რომ გადაერჩინა, ერთი გზა ჰქონდა — ამოეჭრა მოწამლული ნაწილი, განედევნა დამნაშავე თავისი წრიდან და ყველას წინაშე დაეგმო იგი.

— სწორედ ასე სურდა თავდაპირველად დედაჩემს. ჩვენ უკვე გადავწყვიტეთ მართლმსაჯულებისათვის მიგვენდო ყოველივე. მაგრამ ანა და მარი შეგვებრალა. თუმცა ახლაც არ არის გვიან. ნუ შეეცდებით მიპასუხოთ რაიმე. ხვალამდე გადროვებთ!

ტერეზამ ხმადაბლა, თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა:

— მე ხომ მამა მრჩება.

— მამათქვენი? იგი ჩვენს აზრს იზიარებს. მას თავისი კარიერა აწუხებს და თავისი ავტორიტეტი პარტიაში, ის იდეები, რასაც აღიარებს. მხოლოდ იმასა ფიქრობს, რა გზით ჩააჩუმოს ავი ენები, რადაც უნდა დაუჯდეს. გაიხსენეთ, რამდენი რამ გაგიკეთათ. მისი წყალობით იყო, გამოძიება ასე ზერელედ რომ წარმართეს. ვიმედოვნებ, პირდაპირ გეტყოდათ სათქმელს. განა არა?

ბერნარს ხმა აღარ აუმაღლებია. თითქმის თავაზიანიც კი იყო. განა იმიტომ, რომ იოტისოდენა სიბრალული აღეძრა ცოლის მიმართ. ეს ქალი, ახლა სულგანაბული რომ იდგა მის წინაშე, საბოლოოდ მოტეხა და დაიმორჩილა; ყველაფერი მოგვარდა, ბერნარს ეამაყებოდა თავისი თავის. სხვა კაცი ვერ გაუძლებდა ამგვარ დარტყმას. მან კი მაინც ჰპოვა გამოსავალი, შეცდომა ვის არ მოუვა... ყველა შეცდა ტერეზაში.

ღედამისიც კი შეცდა, თუმცა ადვილად უღებს ალღოს კაცის ბუნებას. ყველაფერი კი იმის ბრალია, რომ აბუჩად იგდებენ პრინციპებს და ვერ ხვდებიან, რა საშიშია იმგვარი აღზრდა, რაც ტერეზამ მიიღო. ტერეზა ცხადია, ურჩხულია; მაგრამ მორწმუნე რომ ყოფილიყო, მაშინ... შიში ხომ კეთილგონიერებისა და მორჩილების წყაროა. აგრე ვარაუდობდა ბერნარი. მან წარმოიდგინა მთელი დაბა, სადაც ხალხი მოუთმენლად ელის მათი სამარცხვინო ამბით გართობას. პირში ჩალაგამოვლებულნი დარჩებიან, როდესაც კვირა დღეს ეკლესიაში შეხმატკბილებულ ცოლ-ქმარს იხილავენ. მოუთმენლად ელოდა კვირა დღეს, რათა დაენახა ხალხის სახეები და დამტკბარიყო.

ბერნარმა ლამპა აიღო, შუქმა ტერეზას კეფა გაანათა.

— თქვენ ჯერ არ ახვალთ ზევით?

ტერეზამ თითქოს ვერ გაიგო შეკითხვა. ბერნარი გავიდა და იგი სიბნელეში დატოვა. მამიდა კლარა დაბლა, კიბის საფეხურზე იჯდა. როდესაც სასტუმრო ოთახიდან გამოსული ბერნარი დაინახა, ცნობისმოყვარეობით შეაცქერდა. მანაც ნაძალადევად გაუღიმა, შემდეგ ხელი მოჰკიდა, რომ ზემო სართულზე ასვლა ეშველა, მაგრამ ქალი გაუძალიანდა. იგი მომაკვდავი პატრონის სასთუმალთან მჯდარ ერთგულ, ბებერ ძაღლს წააგავდა. ბერნარმა ლამპა იატაკზე დადგა. ყურში ჩასძახა ყრუს, ტერეზა თავს უკეთ გრძნობს, მაგრამ სანამ დაწვება, მარტო უნდა დარჩენაო.

— ხომ იცით მისი ახირებული ხასიათი.

დიახ, მამიდამ იცოდა: ხშირად, როცა კარი შეუღია, დაუპატიჟებელ სტუმრად უგრძნია თავი.

მოხუცი გაჭირვებით წამოდგა და ბერნარის მკლავს დაყრდნობილი თავის ოთახამდე მივიდა, რომელიც ზედ სასტუმრო ოთახის თავზე იყო. ბერნარი ოთახში შეჰყვა, სანთელი აუნთო, მოხუცს შუბლზე აკოცა და გამოვიდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში მამიდა კლარა ბერნარს თვალს არ აცილებდა. მართალია, ყურთ არ ესმოდა, სამაგიეროდ, კარგად კითხულობდა აზრს ადამიანთა სახეებზე. ბერნარის ოთახიდან გასვლას დაელოდა და ფრთხილად გამოაღო კარი... არა, იგი ჯერ კიდევ კიბის ბაქანზეა, სიგარეტს ახვევს. მამიდა საჩქაროდ შებრუნდა, მუხლები უცახცახებდა და ძლივს მიაღწია საწოლამდე. ტანთ გახდის თავიც აღარა ჰქონდა და ასევე დაწვა ჩაცმული, მაგრამ თვალზე რული არ ეკიდებოდა.

## X

ტერეზა ჩაბნელებულ სასტუმრო ოთახში იჯდა. ბუხარში ჩაფერფლილ შეშებს შორის ჯერ კიდევ ღვიოდა ნაკვერცხლები. ქალი არ ინძრეოდა. ახლა, როდესაც ძალზე გვიან იყო, მისი მეხსიერების სიღრმეში ცოცხლდებოდა იმ აღსარების ნაწყვეტები, გზაში რომ მოამზადა. ღირდა კი თავის დადანაშაულება, რომ ვერ მოახერხა ყოველივე იმის გამოთქმა, რაც გულით სურდა? ასე კარგად აწყობილი ამბავი ცოტათი მოჰგავდა სინამდვილეს. სისულელე იყო, ისეთი ღრმა აზრი რომ ჩააქსოვა ახალგაზრდა აზეველოს სიტყვებში! არა და არა: იგი შეუბრალებელ კანონებს ემორჩილება, რომელიც იმ სამყაროს განაგებს, სადაც თვით ტერეზა ცხოვრობს. ტერეზამ კი არ გაანადგურა ოჯახი, ოჯახი მოსპობს ტერეზას. რაღა თქმა უნდა, მათ ჰქონდათ საბაბი ტერეზა საზარელ ურჩხულად მიეჩნიათ. მაგრამ აკი ტერეზასაც ურჩხულებად მიაჩნდა ისინი. გარეგნულად ყოველივე თითქის სვეკეთილად გამოიყურებოდა, მაგრამ ისინი ნელ-ნელა უმოწყალოდ მოაშთობდნენ უბედურს. „ახლა, — ფიქრობდა ტერეზა, — ყველანი ჩემს წინააღმდეგ აღსდგებიან, რაკი ვერ შევძელი თავის დროზე შემეჩერებინა ოჯახის მძლავრი მანქანა, ან დროულად გავცლოდი, რომ არ ჩავეთრიე მის კბილანებს. ამას არ შეიძლება ჰქონდეს სხვაგვარი ახსნა: ეს ყოველივე იმიტომ მოხდა, რომ ისინი არიან ისინი და მე კი — მე ვარ... ორი წელი ვაიძულებდი ჩემს თავს სახეზე მუდამ სიცრუის ნიღაბი ამეფარებინა. სხვები კი, ჩემებრ უბედურნი, კუბოს კარამდე მოთმინებით იტანჯებიან. იქნებ მათ შეგუების უნარი შველით, რაც ერთგვარად ნარკოზის როლს ასრულებს, ბოლოს კი გონება უჩლუნგდებათ და იძინებენ ოჯახის ძლევამოსილ წიაღში. მაგრამ მე რა ვქნა?

იგი წამოდგა, ფანჯარა გამოაღო და შეიგრძნო დილის სიგრილე. რატომ არ შეიძლება გაიქცეს? მხოლოდ ფანჯრის რაფას გადაევლება და... ნეტავი გამოეკიდებიან? ისევ გადასცემენ მართლმსაჯულებას? „უნდა ვცადო. ყველაფერი სჯობს იმ დაუსრულებელ სიკვდილის აგონიას, მომავალში რომ მელის“. ტერეზამ ფანჯრისკენ მიაცურა სავარძელი და რაფას მიაყრდნო. ფული რომ არა აქვს? თუმცა, ათასობით ფიჭვის მფლობელია, ბერნარის უნებურად ერთ სუსაც ვერ ახლებს ხელს. სჯობს ლანდებს შეაფაროს თავი, როგორც ოდესღაც მკვლელმა დაგერმა შეაფარა. როგორ ეძებდნენ მის კვალს! მაშინ, ჯერ კიდევ სულ პაწია გოგონას, ძლიერ ეცოდებოდა იგი (დღესაც ახსოვს ჟანდარმების მოსვლა, ბალიონის მეუღლე მათ სამზარეულოში ღვინით

უმასპინძლდებოდა). მაშინ ლეკეირუების ძაღლმა მიაგნო იმ უბედურის კვალს... შიმშილისაგან მისავათებულს და სიკვდილის პირად მისულს მინდორში წააწყდნენ თავს. ტერეზამ დაინახა, ხელ-ფეხშეკრული ურიკით რომ ჩაატარეს. მერე ხმა დაირხა, გემზე მოკვდა, როდესაც კაიენში[1] მიჰყავდათო. ტუსაღთა გემი... ციხე... ნუთუ გაიმეტებენ და ტერეზასაც პოლიციას გადასცემენ? სამხილიო, ამბობდა ბერნარი... უეჭველია, ტყუოდა... თუ, რა თქმა უნდა, ძველი მოსასხამის ჯიბეში საწამლავი არ იპოვა.

ტერეზას უნდოდა, უპირველეს ყოვლისა, ამ ეჭვებისგან განთავისუფლებულიყო. ფეხაკრეფით ავიდა კიბეზე. რაც უფრო მაღლა მიიწევდა, მეტი სინათლე ილვრებოდა ირგვლივ. რიჟრაჟის შუქი იჭრებოდა ფანჯრის მინებში. აგე კარადა სხვენზე ამავალი კიბის ბაქანზე. ძველი ტანსაცმლითაა სავსე, მაგრამ ღარიბებს მაინც არ აძლევენ, ნადირობის დროს თვითონ იცვამენ ხოლმე... აი, ეს გახუნებული მოსასხამიც, რომელსაც ერთი ღრმა ჯიბე აკერია. მამიდა კლარა ამ ჯიბეში ილებდა საქსოვს, როდესაც გარეულ მტრედებზე სანადიროდ დადიოდა. ტერეზამ ჯიბეში ჩაჰყო ხელი და პატარა დაღუქული პაკეტი იპოვა:

ქლოროფორმი — 10 გრამი.
აკონიტინი — 2 გრამი.
დიგიტალინი — 20 ცენტიგრამი.

ისევ გადაიკითხა წარწერა. დაე, მოკვდეს! მას ყოველთვის ეშინოდა სიკვდილისა. მთავარია, სიკვდილს პირისპირ არ შეხედო, იმ წუთში მხოლოდ შენს მოქმედებაზე უნდა გადაიტანო ფიქრები: წყალში გახსნა ფხვნილი, გადაყლაპო უეცრად, დაწვე ლოგინში და თვალები დახუჭო. რატომ უნდა გეშინოდეს ამ ძილისა უფრო მეტად, ვიდრე სხვა ძილისა? ეს შემცივნებაც დილის სიგრილის ბრალია. ტერეზა დაბლა ჩავიდა და იმ ოთახის კართან შეჩერდა, სადაც მარის ეძინა. შიგნიდან გადიას ხვრინვა შემოესმა, რაც ცხოველის ღრენას უფრო წააგავდა. ფრთხილად გააღო კარი და შევიდა. მიხურული დარაბების ჭუჭრუტანებიდან დილის რიჟრაჟი იჭრებოდა. ბინდში ვიწრო რკინის საწოლი თეთრად მოჩანდა. ორი პაწაწინა მუშტი საბნის ზევით იდო. ბალიშზე

1 კაიენი — კუნძული ფრანგული გვიანის (ლათინური ამერიკა) ნაპირებთან. უწინ ამ კუნძულზე ასახლებდნენ კატორღელებს.

გამოკვეთით მოჩანდა ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი პროფილი. ტერეზა დააცქერდა ბავშვის დილრონ ყურს, დედისას რომ მიუგავდა. ხალხი მართალს ამბობდა: გოგონა ზედგამოჭრილი დედააო. „მე მივდივარ, მაგრამ ჩემი ეს ნაწილი დარჩება აქ. იგი იმავ ცხოვრების გზას გაივლის და დედამისის ხვედრს ვერ განერიდება. ყოველივე განმეორდება: მისწრაფებანი, მიდრეკილებანი, სისხლის კანონი გარდუვალობის კანონია“. ტერეზას წაუკითხავს, რომ გამწარებულ დედებს შვილები საფლავში თან წაუყოლებიათ; გაზეთში ამგვარი რაიმეს წაკითხვა კეთილ ხალხში აღშფოთებას იწვევდა: როგორ იქნება ამგვარი საშინელებაო. იქნებ იმიტომ, რომ ტერეზა ურჩხულად გაუჩენია განგებას, ესმის იმ ბედკრულებისა და ხვდება, რაოდენ დასაშვებია ამგვარი რამ. დედამ მუხლი მოიყარა საწოლის წინ, რომ ბაგეებით ფრთხილად შეხებოდა პაწია ხელებს. ის აოცებდა, რომ მისი სულის ულრმესი კუნჭულებიდან რალაც მოემართებოდა თვალებისკენ და ლოყებს უწვავდა. რამდენიმე მწარე კურცხალი ჩამოუგორდა ლაწვებზე. ნუთუ ეს მისი ცრემლებია, მას ხომ თავის დღეში არ უტირია!

ტერეზა წამოდგა, უკანასკნელად კიდევ დახედა პატარას, შემდეგ თავის ოთახში დაბრუნდა. ჭიქაში წყალი ჩაასხა, მოატეხა ლუქი, სამი ფხვნილიდან რომელი აერჩია, ველარ გადაწყვიტა და ჩაფიქრებული გაჩერდა.

ფანჯარა ღია იყო. მამლების ყივილმა თითქოს განფანტა, დახია ღამის წყვდიადი, მხოლოდ ფიჭვის ტოტებზელა დარჩა მისი გამჭვირვალე ნაფლეთები. სოფელს ცისკარმა თავისი შუქი მოჰფინა. როგორ მოსცილდეს ამ შუქთა ციალს? რა არის სიკვდილი? არავინ იცის. ტერეზა არ იყო დარწმუნებული, რომ ეს არყოფნა იქნებოდა. დაბეჯითებით ვერ შეეძლო ეთქვა, იქ არავინააო. როგორ სძულდა თავი ამგვარი ბრმა შიშის გამო. წამითაც არ შეყოყმანებულა, როცა სხვას ისტუმრებდა საიქიოს, თავად კი შიშისაგან თრთის არყოფნის წინაშე. რაოდენ სამარცხვინო სიმხდალეა! თუ ჭეშმარიტად არსებობს უზენაესი (წამიერად მის გონებაში გაცოცხლდა ის სიცხისაგან შეხუთული დღე, უფლის დღესასწაულის დღე და მსვდელობის წინ, ეულად მიმავალი მღვდელი ოქრომკედით მოქარგულ ოლარში... ორივე ხელით რალაც ნივთი მოჰქონდა... ტუჩებს აცმაცუნებდა, სახეზე ღრმა მწუხარების დაღი ესვა), თუ ღმერთი არსებობს, დაე, მან შეუბორკოს ხელები ამ ბოროტმოქმედს, ვიდრე გვიანი არაა! ხოლო თუ მისი ნება-სურვილი ისაა, რომ ბრმა და უბედურმა სულმა გადალახოს მიჯნა, მაშინ სიყვარულით მაინც მიიღოს მისგან დანაბადი ურჩხული. ტერეზამ იმ სამი ფხვნილიდან

ქლოროფორმი აირჩია. ეს უფრო ნაკლებ სზარავდა, რაკი იცოდა, დაძინებდა. უნდა იჩქაროს! სახლი უკვე იღვიძებს, ბაღიონის მოხუცი ცოლი ხმაურით აღებს დარაბებს მამიდა კლარას ოთახში. რა აყვირებს ასე? ჩვეულებრივ ყრუ მას ტუჩების მოძრაობით მიუხვდება ხოლმე სათქმელს. ისმის კარის ჯახუნი, აჩქარებული ნაბიჯები.

ტერეზამ ძლივს მოასწრო შალის დაგდება მაგიდაზე, რომ ჭიქა და ფხვნილები დაემალა. მოხუცი მოახლე გაუფრთხილებლად შემოიჭრა ოთახში:

— მამიდა კლარა მოკვდა! საწოლზე ვნახე მკვდარი. ჩაცმული იყო... უკვე მთლად გაყინულია...

მოხუც ათეისტს ხელში კრიალოსანი მისცეს და გულზე ჯვარი დაადეს. გლეხები შედიოდნენ, მუხლს იყრიდნენ მიცვალებულის წინაშე და გამოსვლისას ჯიქურ გახედავდნენ ხოლმე ტერეზას, რომელიც საწოლის ფეხთით იდგა („ვინ იცის, იქნებ მამიდას სიკვდილსაც მას აბრალებენ!“). ბერნარი სენ-კლერში გაემგზავრა, რომ ნათესავებისათვის შეეტყობინებინა და გასვენების თადარიგი დაეჭირა. იგი ალბათ ფიქრობდა, მოხუცის სიკვდილმა დროზე მოგვისწრო, ხალხი ყურადღებას ამაზე გადაიტანსო. ტერეზა დასცქეროდა უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მისთვის ესოდენ ერთგული ადამიანის ნეშტს. თითქოს მან თავისი გაყინული სხეულით გადაულობა სიკვდილისკენ მიმავალი გზა. უნებლიე დამთხვევაა. ვინმეს რომ ეთქვა, ასე ბედისწერამ ინებაო, იგი მხრებს აიჩეჩავდა. ხალხი ერთმანეთს ეუბნებოდა: „შეამჩნიეთ? ქალბატონი არც კი ცდილობს თავი ისე აჩვენოს, თითქოს ტირის“. ტერეზა კი გონებით ესაუბრებოდა მას, ვინც უკვე აღარ იყო ამქვეყნად: „რა მომელის? მე ხომ ცოცხალ ლეშს დავემსგავსები მათ ხელში, ვისაც ასე ძლიერ ვძულვარ: ნუთუ აღარაფრის იმედი აღარ უნდა მქონდეს?“.

დასაფლავების დღეს ტერეზა ჭირისუფლად იჯდა. კვირას დედამთილთან და ბერნართან ერთად ეკლესიაში წავიდა. ყველას დასანახად ბერნარმა საჩენ ადგილას გაატარა ცოლი. ტერეზას სახიდან პირბადე არ აუხდია. ტაძრის სვეტი ფარავდა მას ცნობისმოყვარეთა მზერისაგან. მის პირდაპირ მხოლოდ გუნდი მოჩანდა. უკან მრევლი იყო, მარჯვნივ ქმარი ედგა, მარცხნივ — ქალბატონი დე ლე ტრავი. როგორც მოედანზე სიბნელიდან გამოშვებული ხარი ხედავს თავის წინ განათებულ სივრცეს, ტერეზაც ისე ხედავდა ორ მგაღობელს შორის მდგარ გადაცმულ ადამიანს, რომელიც ხელებაპყრობილი რაღაცას ბუტბუტებდა.

## XI

ბერნარი და ტერეზა იმავე საღამოს დეკეირუების სახლში გადავიდნენ, სადაც უკვე დიდი ხანია აღარავინ ცხოვრობდა. ბუხრები ხრჩოლავდა, ფანჯრები ცუდად იხურებოდა, ფარღალალა, ვირთაგვებისგან გამოხრული კარიდან შეუბრალებლად შემოდიოდა ქარი. მაგრამ წელს ისეთი მშვენიერი შემოდგომა იდგა, რომ ტერეზა ვერც კი გრძნობდა ამ მოუწყობლობას. ბერნარი საღამომდე არ ბრუნდებოდა ნადირობიდან. საღამოს კი სამზარეულოში შედიოდა და ცოლ-ქმარ ბალიონებთან ერთად სადილობდა. ტერეზას ესმოდა მონოტონური ხმები, დანა-ჩანგლის ჩხარუნი. ოქტომბრის თვეში ადრე ღამდება. ის რამდენიმე წიგნი, რომელიც ტერეზამ მეზობლებში ითხოვა, მრავალჯერ ჰქონდა გადაკითხული. ბერნარს ყურადღებაც არ მიუქცევია მისი თხოვნისათვის, ბორდოდან წიგნებს გამოვიწერო. მხოლოდ ნება დართო, ქალაქიდან ჩამოეტანა სიგარეტი. რა უნდა ექნა საღამოობით? ბუხარში ნაღვერდლები ეჩხრეკა? მაგრამ ავარდნილი კვამლი უწვავდა თვალებს და უხრინწავდა უამისოდაც მუდმივი პაპიროსის წევისგან გაღიზიანებულ ყელს. როგორც კი მოხუცი ბალიონი წაიღებდა ხოლმე ტერეზას მიერ აჩქარებით გადაყლაპული სადილის ნარჩენებს, ტერეზა აქრობდა ლამპას და წვებოდა. საათობით იწვა და უცდიდა ძილს, რომელიც არ მოდიოდა. არჟელუზის მდუმარება ძილს უფრთხობდა. მას ერჩია ქარიშხლიანი, მძვინვარე ღამეები, რადგან ფიჭვთა კენწეროებში მოთარეშე ქარის ხმაური რაღაცით ადამიანთა კვნესას წააგავდა. ეს ხმები ნანასავით ჩაესმოდა; ავდრიან ღამეებში, ბუნიობისას, უფრო მალე იძინებდა, ვიდრე წყნარ ღამეში.

რაოდენ დაუსრულებლად და მწუხარედ მიაჩნდა ეს საღამოები. მაგრამ ხშირად, როდესაც ბინდბუნდის ჩამოწოლამდე ბრუნდებოდა შინ, ხან დედას დაინახავდა, რომელიც ტერეზას მოახლოებისთანავე ბავშვს ხელს სტაცებდა და უმალ შეაგდებდა ეზოში, ხან რომელიმე მწყემსი შეხვდებოდა, ვისაც ადრე სახელით იცნობდა, მაგრამ ახლა სალამზეც არ პასუხობდა... ოჰ, რა კარგი იქნებოდა, ხალხმრავალ ქალაქში გადაკარგულიყო, ჩაეყვინთა ხალხის ღრმა მორევში, სადაც მას არავინ სცნობდა. აქ, არჟელუზში, თითოეულმა გლეხმა იცოდა რა ხმებიც დადიოდა მასზე (მამიდა კლარას სიკვდილსაც კი მას აბრალებდნენ). ტერეზა ვერ ბედავდა შეეღო ვინმეს სახლის კარი. შინიდან ფარულად გამოდიოდა და გზადაგზა ერიდებოდა ფერმებს. საკმარისი იყო ეტლის ბორბლების ჭრიალი გაეგონა, რომ სხვა მხარეს გადადიოდა. მუდამ ჩქა-

ნი ნაბიჯით დადიოდა, გარბოდა შიშით შეპყრობილი გარეული ნადირივით, რომელსაც სდევნიან, მანანას ბუჩქებში გაინაბებოდა და უცდიდა, სანამ არ ჩაივლიდა ველოსიპედი.

კვირა დილით წირვაზე სენ-კლერის ეკლესიაში ცოტას მაინც ისვენებდა ამგვარი დამაბულობისგან. ეჩვენებოდა, რომ ამ პატარა ქალაქში ადამიანები უფრო ლმობიერად უცქეროდნენ. ის კი არ იცოდა, რომ მამამისი და დე და ტრავები ცდილობდნენ ყველასთვის წარედგინათ უცოდველ კრავად, რომელსაც ტყუილუბრალოდ ბიდწ დანაშაულს მიაწერენ.

— ვშიშობთ, საბრალო ველარ გამოკეთდება. ალარავის ნახვა არა სურს. ექიმი გვირჩევს, ნურაფერში გაუწევთ წინააღმდეგობასო. ბერნარი მზრუნველობას არ აკლებს, მაგრამ მისი გონება... ალბათ ხვდებით... უკვე შერყეულია.

ოქტომბრის თვის უკანასკნელ ღამეს, ატლანტის ოკეანიდან მონაბერი ძლიერი ქარი სახლის ირგვლივ დანავარდობდა და ფიჭვის ხეებს ქოჩორს უწეწავდა. ტერეზას ძილ-ბურანში ჩაესმოდა შორეული ოკეანის ხმაური. მაგრამ გამთენიისას ქარის კვნესამ როდი გამოალვიძა... დარაბები გაალო, თუმცა ოთახში მაინც სიბნელე იყო ჩამოწოლილი. სახლის სახურავის კრამიტებს და მუხნარის ჯერ კიდევ ხშირ ფოთლებს შემოდგომის ჟინჟლი აწვიმდა. იმ დღით ბერნარი არ გასულა სახლიდან. ტერეზა ბოლთასა სცემდა თავის კარის წინ, კიბის ბაქანზე, სიგარეტს სიგარეტზე სწევდა და ნამწვებს ძირს ყრიდა. ესმოდა, ქვედა სართულზე ბერნარი როგორ დადიოდა ერთი ოთახიდან მეორეში. მისი ყალიონის სუნი ზედა სართულამდე აღწევდა და ტერეზას სიგარეტის შედარებით სუსტ სუნს ახშობდა. ეს სურნელება უწინდებურ ცხოვრებას აგონებდა. დღეს შემოდგომის პირველი ავდრიანი ღამეა... რამდენი ამგვარი დღე უნდა განვლოს მინავლულ ბუხართან, თავის ოთახში გამოკეტილმა? კუთხეებში შპალიერს სინესტისგან ობი მოჰკიდებოდა. კედლებზე, სადაც ისევ ემჩნეოდა იმ საგვარეულო სურათების კვალი, რომლებიც ბერნარმა სენ-კლერში გადაიტანა, ჯერ კიდევ მოჩანდა დაჟანგული, გამოუსადეგარი ლურსმნები... ბუხრის თავზე კუს ჯავშნის ბაკნისგან დამზადებული ჩარჩოებიდან მქრქალი და გახუნებული ფოტოსურათები იცქირებოდნენ — ისინი სიკვდილმა დიდი ხანია გარიყა ამქვეყნიდან და თითქოს მათ ფოტოგრაფიულ გამოსახულებასაც შეეხო. ბერნარის მამა, მისი ბებია, ბერნარი ბავშვობაში... თმა „ედუ-

არდ მეფის შვილების"[1] ყაიდაზე აქვს შეჭრილი. რა განდევს მთელ დღეს ამ ოთახიდან გაუსვლელად, მერე კი კვირებს, თვეებს...

საღამოს ტერეზამ ველარ მოითმინა, ჩუმად გახსნა კარი, დაბლა ჩამოვიდა და სამზარეულოში შევიდა. ბერნარი დაბალ სკამზე ცეცხლის პირას მიმჯდარიყო. ტერეზა რომ დაინახა, ფეხზე წამოიჭრა, ბაღიონმაც თავი ანება თოფის წმენდას, მის ცოლს საქსოვი ხელიდან გაუვარდა. სამივენი ტერეზას მისჩერებოდნენ და ისეთი გამომეტყველება ჰქონდათ, რომ ქალმა უნებურად იკითხა:

— ჩემი გეშინიათ?

— თქვენ აკრძალული გაქვთ სამზარეულოში შემოსვლა. ხომ არ დაგავიწყდათ?

ტერეზამ არაფერი უპასუხა, უკანვე გამობრუნდა კარისკენ. ბერნარმა შეაჩერა:

— რაკი განხეთ... მინდა გითხრათ, რომ ჩემი აქ ყოფნა საჭირო აღარაა. ჩვენ შევძელით სენ-კლერის საზოგადოების აზრი კეთილგანგვეწყო. მათ დაიჯერეს, რომ თქვენ ნევრასტენიით დაავადდით და განმარტოებულ ცხოვრებას ამჯობინებთ. მე ხაღხის თვალის ასახვევად ხშირად მოგინახულებთ. კვირა დღეებშიც ალარ ვივლით წირვაზე.

ტერეზამ წაიბურტყუნა, იქ სიარული სულაც არ მიძნელდებაო. ბერნარმა უპასუხა:

— არ გეგონოთ, ეს თქვენი სიამოვნებისათვის ხდებოდა. მე მხოლოდ ის მინდოდა, ორივე ერთად ვენახეთ ეკლესიაში; მიზანი უკვე მიღწეულია. თქვენ ისედაც მაინცდამაინც დიდ ინტერესს არ იჩენთ წირვისადმი.

ტერეზამ პირი გააღო, უნდოდა რაიმე ეპასუხა, მაგრამ ხმა ვერ ამოიღო. სიჩუმე ქმარმა დაარღვია, მოჰყვა გაუთავებელ ჭკუის სწავლებას. არც სიტყვით, არც მოქმედებით არ უნდა წაგვიხდინოთ ესოდენ სწრაფი და მოულოდნელი წარმატებაო. ბოლოს ტერეზამ მარი მოიკითხა. მარი შესანიშნავად გრძნობს თავს და ხვალ ანასთან და ქალბატონ დე და ტრავთან ერთად ბოლიეს მიემგზავრებაო, მიუგო ბერნარმა. მეც წავალ იქ რამდენიმე კვირით, შეიძლება ორი-სამი თვეც დავრჩე მათთანაო. თქვა ესა, კარი გააღო და ტერეზა გაატარა.

———————

1 „ედუარდ მეფის შვილები" — პოლ დელაროშის სურათი ლუვრის მუზეუმში, რომელზედაც გამოხატულია ედუარდ IV ორი ვაჟის მკვლელობა ჰერცოგ კლოსტერის დაქირავებული ხალხის მიერ. ბიჭებს ხუჭუჭა, შუბლზე შეჭრილი თმა მხრებამდე სცემთ.

ალიონზე ტერეზას მოესმა, ბალიონმა როგორ გამოიყვანა საჯინიბოდან ცხენი, მერე ფლოქვების თქარუნი და ურიკის ჭრიალი გაიგონა. ბერნარი რაღაცას გაჰყვიროდა. მალე ხმები მიწყდა დაირგვლივ სიჩუმემ დაისადგურა. მხოლოდ წვიმა ასხამდა სახლის სახურავებზე, შეორთქლილ ფანჯრის მინებზე, უკაცრიელ მინდვრებზე, აწვიმდა ას კილომეტრზე გაჭიმულ ლანდებს, ჭაობებს და ოკეანის უსაზღვრო ზედაპირს.

ტერეზამ მოსწია სიგარეტი, შემდეგ მეორეს მოუკიდა. ოთხი საათი იქნებოდა, საწვიმარი რომ მოისხა და წვიმაში გავიდა სახეტიალოდ. მაგრამ ღამის წყვდიადში შიშმა აიტანა და მალევე დაბრუნდა თავის ოთახში. ბუხარში ცეცხლი უკვე ჩამქრალიყო და სიცივისაგან აკანკალებული ლოგინში ჩაწვა. შვიდი საათისთვის ბალიონის მოხუცმა ცოლმა ღორის შაშხი და ერბო-კვერცხი მიუტანა, მაგრამ ტერეზამ პირიც არ დააკარა. უკვე ზიზღსა ჰგვრიდა ღორის ქონის გემო. მუდამდღე ერთი და იგივე — ან ღორის შაშხი, ან კონსერვები! მოხუცმა უთხრა, სხვა არაფერი შემიძლია შემოგთავაზოთ, ბატონმა ბერნარმა აგვიკრძალა ქათმის დაკვლაო. მერე ჩივილს მოჰყვა, თქვენი გულისთვის სულ ტყუილად მიხდება კიბეებზე ასვლა-ჩამოსვლაო. თავი ველარ გამირთმევია ასეთი მძიმე საქმისათვის, გული მტკივა და ფეხებიც მისივდება. მხოლოდ ბატონი ბერნარის ხათრით ვაკეთებ, თუ რაიმეს ვაკეთებო.

იმ ღამეს ტერეზა ციებისგან ბორგავდა. ეჩვენებოდა პარიზის ცხოვრება. კვლავ ხედავდა იმავ რესტორანს ტყეში. მაგრამ ახლა ბერნართან ერთად როდი საუზმობდა, გვერდით ჟან აზევედო და ვილაც ახალგაზრდა ქალები ისხდნენ. აი, მაგიდაზე დადო კუს ბაკნის სათუთუნე და სიგარეტს მოუკიდა. ტერეზა ლაპარაკობდა და გულს უხსნიდა იქ მყოფთ. ორკესტრი ხმადაბლა უკრავდა. მის წარმოდგენაში იკვეთებოდა მათი სახეები. ყოველი მათგანი ყურადღებიანია, მაგრამ არაფერი აოცებთ. ერთი ქალბატონი ამბობს:

— ასეთი ამბავი მეც გადამხდა თავს... ჰო, მეც განვიცადე ყოველივე ეს.

ვილაც მწერალმა იგი განზე გაიხმო და წასჩურჩულა:

— სჯობდა, აგეწერათ ყოველივე, რაც განიცადეთ. თანამედროვე ქალის დღიურს ჩვენს ჟურნალში მოვათავსებთ.

ერთმა ახალგაზრდა ვაჟმა, რომელიც ჩუმად ეტრფოდა ტერეზას, შინ

ავტომობილით წაიყვანა. ბულონის ტყის გზას დაადგნენ, ტერეზა თავს მშვიდად გრძნობდა, მაგრამ უხაროდა რომ მის გვერდით მჯდომ ვაჟს გრძნობა მორეოდა. „არა, დღეს არა, — ეუბნება ტერეზა. — დღეს ჩემს მეგობრებთან ერთად ვსადილობ". „ხვალ?" „ვერც ხვალ". „არც ერთ საღამოს არა გცალიათ?" „დიახ, გეთაყვა, ვერასოდეს ვერ ვპოულობ საღამოობით თავისუფალ დროს".

ტერეზას გვერდით ჰყავს ადამიანი, რომლის სადარიც მთელ ქვეყანაზე არავინაა. მისიანები ამ კაცს არ იცნობენ. იგი მოკრძალებულია და უსახელო, მაგრამ ტერეზა მთელი არსებით ამ მზის ირგვლივ ტრიალებს, მარტო თვითონ ხედავს, მარტო თვითონ შეიგრძნო მისი მხურვალება. პარიზი ისე ხმიანობს, თითქოს ფიჭვის ტოტებში ქარი დაძრწისო. ტერეზას გვერდით საყვარელი ადამიანის სხეულია, რომელიც, სიმსუბუქის მიუხედავად, სუნთქვას უშლის. მაგრამ ურჩევნია დაიხრჩოს, ვინემ ძვირფასმა სხეულმა ადგილი შეინაცვლოს (ტერეზა ისე იწვდის ხელს, თითქოს ვილაცის გულში ჩაკონება სურდეს. მარცხენა ხელი მარჯვენა მხარში ჩაუვლია, მარჯვენა ხელის ფრჩხილებით კი მარცხენა მხარს ჩაფრენია).

ქალი წამოდგა, ფეხშიშველა მივიდა ფანჯარასთან და გამოაღო. ღამე არაა ცივი, მაგრამ გადაუღებლივ წვიმს და თითქოს მთელ სამყაროს აწვიმს. ასე გგონია, არასოდეს გადიკარებსო. ფული რომ ჰქონდეს, პარიზში გაიქცეოდა, პირდაპირ ჟან აზევედოს მიადგებოდა და მიენდობოდა მას. იგი მოახერხებდა ტერეზასათვის სამუშაოს შოვნას, იცხოვრებდა პარიზში მარტო, ყველასგან დამოუკიდებელი, თავად იშოვნიდა სარჩენ ფულს, ოჯახის ულლისაგან განთავისუფლდებოდა. სჯობს, საკუთარი გულისთქმის კარნახით ამოარჩიო „შენიანები", სისხლის კი არა, სულისა და ხორცის კარნახით; იპოვო შენი ჭეშმარიტი ნათესავები, რა იშვიათნი, რა გაბნეულნიც არ უნდა იყვნენ ისინი... როგორც იქნა, ტერეზას ჩაეძინა; ფანჯარა ღია დარჩა. იგი ცივმა და ნესტიანმა რიჟრაჟმა გამოაღვიძა. სიცივისაგან აცახცახებული კბილს კბილზე აცემინებდა, მაგრამ თავს ვერ მოერია, რომ ამდგარიყო და ფანჯარა მიეხურა. ქანცმილეულს არც ის ძალუძდა, ხელი გაეწოდა და საბანი დაეხურა.

იმ დილით არ წამომდგარა ლოგინიდან, არც ჩაუცვამს. რამდენიმე ლუკმა კონსერვი და ყავა გადაყლაპა, ისიც იმიტომ, რომ მოწევა შესძლებოდა (მისი კუჭი ველარ იტანდა უზმოზე მოწევას). უნდოდა

გონებაში აღედგინა იმღამინდელი ზმანება. მთელ არჟელუზში სიჩუმე გამეფებულიყო. მოღრუბლული, ჩამოქუფრული დღე მცირედ თუ განსხვავდებოდა ღამისგან. ყველაზე ხანმოკლე დღეები წელიწადის ამ დროს იცის, გადაუღებლად წვიმს, დრო და ჟამის ზღვარი იშლება. ამ ურყევი სიჩუმისა და მდუმარების სამფლობელოში დილის ბინდბუნდი ღამისას ცვლიდა. მაგრამ ტერეზას აღარ უნდოდა ძილი და მისი სიზმრები უფრო ცხადი ხდებოდა. დაჟინებით, ჯიუტად ეძებდა დავიწყებულ სახეებს, ბაგეებს, რომელთაც შორიდან მიელტვოდა, აგონდებოდა ის მამაკაცები, ღამეულ სიზმრებში რომ უხმობდა მისი უცოდველი სხეული. ქალი იგონებდა თავის საკუთარ სიხარულს, ცდილობდა წარმოედგინა ბედნიერება და თხზავდა არარსებულ, საარაკო სიყვარულს.

— ლოგინიდან აღარ დგება, კონსერვებს და პურს პირს არ აკარებს, — უთხრა რამდენიმე ხნის შემდეგ ბალიონს მისმა მეუღლემ, — სამაგიეროდ, ეს ოხერი ბოთლს ბოლომდე ცლის, რამდენიც არ უნდა მიუტანო, სულ გადაყლურწავს. თავისი სიგარეტებით სულ ერთიანად ამოწვა ზეწრები და საბნები. ბოლოს ჩვენც ცეცხლს წაგვიკიდებს. ისე ბევრს ეწევა, რომ თითები და ფრჩხილები ჩაყვითლებული აქვს, თითქოს არნიკაში ჩაუყვია ხელებიო. გაგიგონიათ! საგანგებოთ შეკვეთილ ზეწრებსა წვავს... თავისი დაიკვეხოს, თუ კიდევ გამოვუცვალო ზეწარი!

მერე წუწუნს მოჰყვა, მე უარს არ ვამბობ ოთახის დაგვასა და ლოგინის გასწორებაზე, მაგრამ რა ვქნა, რომ ამ უქნარას საბნიდან გამოძრომა არ ნებავსო. ან, ღირდა კი, რომ ბალიონის მოხუც მეუღლეს შესიებული ფეხებით ეთრია მაღლა ცხელი წყლით სავსე ჭურჭელი, რომელიც საღამოობით ისევ იმავე ადგილას, კართან ხვდებოდა ხოლმე.

ტერეზას ფიქრები გასცილდა თავისი ფანტაზიით შექმნილი მამაკაცის ხატებას, დაიღალა ამ ბედნიერებით, გამოგონილი ნეტარება მოყირჭდა უკვე, ახლა სხვაგვარად ცდილობდა გაქცეოდა სინამდვილეს. როდესაც იგი ოცნების, ბედნიერებისა და სიამოვნების სამყაროდან ძირს ეშვებოდა, სხვა სურათებს ქმნიდა: აი, ტერეზას საწოლთან ხალხი მუხლმოყრილი დგას. არჟელუზელი ბავშვი (ერთ-ერთი მათგანი, ტერეზას მიახლოებისას ელდა რომ გადამალავდა ხოლმე) მომაკვდავი მოიყვანეს მის ოთახში. ტერეზამ შეახო თავისი ნიკოტინისგან ჩაყვითლებული თითები და ბავშვი განკურნებული წამოდგა. სხვა შედარებით უფრო მარტივი ოცნებანიც აშლია. ზღვის პირას აშენებდა სახლს, გონების თვალით ხედავდა ბაღს, აივანს, ოთახებს. ყოველი ოთახისათვის არჩევდა ავეჯს. ადგილს უჩენდა ყოველ საგანს, რაც სენ-კლერში მას ეკუთვნოდა. ფიქრობდა, რომელი გადასაფარებელი მიუდგებოდა, როგო-

რი ნაჭერი იყო კარგი, მოდური. შემდეგ დეკორაცია იცვლებოდა. გან-და ხეივნისა და ზღვის პირას მდგარი სკამისა, ყოველივე ბურუსით იფარებოდა. ტერეზა სკამზე იჯდა და ისვენებდა, ვიღაცის მხარზე დაედო თავი. შემდეგ გაისმოდა ზარი, სადილობას რომ აუწყებდა, და ისიც მიდიოდა ბნელ ხეივანში, გვერდით კი ვიღაც მიაბიჯებდა. უეც-რად წყვდიადში ძლიერი ხელები შემოეხვია და მკერდში ჩაიკრა. „კოც-ნამ, — გაიფიქრა ტერეზამ, — დრო უნდა შეაჩეროს"... ტერეზას მოე-ჩვენა, რომ სიყვარულის ჟამს არსებობს წამები, მარადიულობას რომ ემსგავსება. მას მხოლოდ წარმოდგენა შეუძლია, რადგან ვერასოდეს ეღირსება მისი განცდა. აი, თეთრი სახლი და ჭრიჭინაოწონარიანი ჭა. ყვავილნარში ჰელიოტროპები საამო სურნელებას აფრქვევენ. სადი-ლი იქნება წინამორბედი ნეტარქმნილი ღამისა, რომელიც ელოდება, ბედნიერებისა, სახეში რომ ვერ შეხედავ, რაკი ადამიანის გულს არ ძალუძს მისი დატევა. ასე ოცნებობდა ტერეზა სიყვარულზე, რომელსაც ყველაზე მეტად იყო მოკლებული, ოცნებობდა მგზნებარებით. ნეტავი დიდი ხანია, რაც მოხუცი ბაღიონი დაჰყვირის, დღეს თუ ხვალ ბატონი ბერნარი დაბრუნდება სამხრეთიდანო.

— რას იტყვის ბატონი, როდესაც ამ ოთახს ნახავს? — დასძინა მოხუცმა, — ნამდვილ საღორესა ჰგავს! ბოლოს და ბოლოს, ადექით, ქალბატონო, თორემ ძალით მომიწევს თქვენი აყენება!

საწოლზე წამომჯდარი ტერეზა გაშტერებული დასჩერებია თავის ძვალტყავადქცეულ ბარძაყებს, ფეხის ტერფებიც ვეებერთელად ეჩვე-ნება. მოხუცმა მოახდემ ხალათი მოახურა და სავარძელში ჩასვა. ტე-რეზამ ხელი გაიწვდინა, ანგარიშმიუცემლად დაუწყო ძებნა სიგარეტს, მაგრამ ხელები ისევ მუხლებზე დაუვარდა. მზის გაყინული სხივი გა-ღებულ სარკმელში შემოიჭრა. ბაღიონის მოხუცი მეუღლე ცოცხით ხელში ფუსფუსებდა, ქშინავდა, ბუტბუტებდა და იწყევლებოდა... სხვა-თა შორის, ამბობენ, ეს მოხუცი კეთილიაო, ცრემლებად ილვრება, რო-დესაც თავის გაზრდილ გოჭს სადღესასწაულოდ კლავენო. მას ის აჯავ-რებს, რომ ტერეზა არ პასუხობს შეკითხვებზე, მისი დუმილი შეუ-რაცხყოფად მიაჩნია.

მაგრამ ტერეზას ლაპარაკის თავი არა ჰქონდა. როდესაც იგრძნო სუფთა ზეწრების სიახლე, ასე ეგონა, მადლობა გადავუხადეო, სინამ-დვილეში კი ბგერა არ დასცდენია. ბაღიონმა წასვლისას გამოსძახა:

— ამ ზეწარს კი ველარ დაწვავთ!

შეშინებულმა ტერეზამ ხელი მაგიდისკენ გაიწოდა: სიგარეტი იქ აღარ იყო, მოხუცს თან წაელო. როგორღა იცოცხლოს უსიგარეტოდ?

თითები მიჩვეული ჰქონდა ცხელი, გამშრალი, პატარა ღეროს ჭერას, მისთვის აუცილებელი იყო უსასრულოდ ეყნოსა, ჩაესუნთქა და გამოეუ-შვა კვამლი, რაც ოთახს ბურუსში ახვევდა. მოხუცი მხოლოდ საღამოს მოვა. მაშინ თუ მოიტანს სიგარეტს. მთელი დღე უსიგარეტოდ უნდა იყოს! თვალდახუჭულმა ტერეზამ მისთვის ჩვეული მოძრაობა გააკე-თა — ტუჩებთან არარსებული სიგარეტი მიიტანა.

შვიდ საათზე ბაღიონის მოხუცი ცოლი შემოვიდა სანთლითა და სინით ხელში. მაგიდაზე დადო რძე, ყავა და პურის ნაჭერი.

— სხვა ხომ არაფერი გინდათ?

მოხუცი ნიშნის მოგებით ელოდა, სიგარეტს მომთხოვსო, მაგრამ კედლისკენ გადაბრუნებული ტერეზა გაუნძრევლად იწვა. როგორც ეტყო-ბა, ბაღიონმა ცუდად მიხურა ფანჯარა: მძაფრმა ქარმა შემოაღო და ღამის ცივი ჰაერი შემოიჭრა ოთახში. ტერეზას იმ ზომამდე ჰქონდა ძალ-ღონე გამოლეული, რომ ვერ შეძლო გადაეძრო საბანი, ამდგარიყო და ფეხშიშველას მიერბინა ფანჯრამდე. მოკრუნჩხული, თვალებამდე საბანწაფარებული, ქუთუთოებზე და შუბლზე ცივი ჰაერის ნაკადს გრძნობდა. ფანჯრის იქით ფიჭვნარი შრიალებდა. მიუხედავად ამ ოკეა-ნის ბობოქრობისა, ირგვლივ მაინც არჟელუზის საშინელი მდუმარება სუფევდა. თავში გაუელვა აზრმა, თუ მინდა ავად გავხდე და მოვკვდე, ასე რად ვეხვევი საბანშიო. საბანი გადაიძრო, მაგრამ სიცივეს რამ-დენიმე წამიც ვერ გაუძლო, კვლავ წინანდელზე უკეთ გადაიხურა. შემ-დეგ, თითქოს თამაშ-თამაშ, ისევ გადაიხადა, ამჯერად უფრო დიდხანს. თუმც მისი ნებისყოფა ამ საქმეში არ მონაწილეობდა; ტანჯვა-წვალე-ბა ტერეზას თავშესაქცევ საგნად ექცა. ვინ იცის? იქნებ ეს ერთად-ერთი იყო, რაც ამართლებდა მის არსებობას ამქვეყნად.

## XII

— ბატონი ბერნარისგან წერილია!

ტერეზამ ხელი არ მოჰკიდა კონვერტს, რომელსაც მოუხდე აწყვლი-და. ბაღიონი არ მოეშვა. ბატონი ბერნარი უთუოდ იწერება, როდის ჩამოვა. მე კი მინდა წინდაწინ ვიცოდე, რომ ყველაფერი მოვამზადოთ:

— თუ ნებას დამრთავთ, მე წავიკითხავ...

— წაიკითხეთ, წაიკითხეთ!

როგორც ყოველთვის, ბაღიონის იქ ყოფნისას ტერეზამ კედლის-კენ იბრუნა პირი. მოხუცის ხმამაღალმა და დამარცვლით კითხვამ გა-რინდებიდან გამოიყვანა.

„ძალიან გამიხარდა, რადგან ბალიონისგან გავიგე, არჟელუზში ყველაფერი რიგზე ყოფილა“...

ბერნარი იტყობინებოდა, მოვემგზავრები, მაგრამ ვფიქრობ გზად რამდენიმე ქალაქში შევჩერდე, ამიტომ არ შემიძლია ზუსტად შე-[illegible]ვალოთ ჩემი ჩამოსვლის დღეო.

„ასეა თუ ისე, ოც დეკემბერს არ გადავაცილებ. ნუ გაოცდებით, თუ ანასა და დეგიდემსაც თან ჩამოვიყვან, ისინი დაინიშნენ პოლიე-ში, რადგან ეს ამბავი ჯერ არ გაგვიხმაურებია. დეგიდემ ისურვა ჯერ თქვენ გინახულოთ. ასე ამბობს, ამას ზრდილობა გვავალებსო. მე კი ვფიქრობ, რომ სურს შეიტყოს უფრო მეტი, მოგეხსენებათ რის შესახებაც. თქვენ საკმაოდ გონიერი ხართ და კარგად ჩაატარებთ ამ გამოცდას. არ დაივიწყოთ, რომ ჩვენ ყველანი ვამბობთ თქვენზე, ავად არის, გონება აქვს შერყეულიო. თქვენი იმედი მაქვს. დიდად დამავალებთ, თუ შეეცდებით ხელი არ შეუშალოთ ანას ბედნიერებასა და არ შეგვარცხვენთ. ჩვენი ოჯახი ვერას ინატრებს ამ ქორწინებაზე უკეთესს. სხვაგვარად რომ მოიქცეთ, ძვირად დაგიჯდებათ ურჩობა. თუმც, დარწმუნებული ვარ, ამ მხრივ საშიში არა არის რა“.

კარგი დღე იდგა — ცივი, მაგრამ მოწმენდილი. ტერეზა მორჩილად წამოდგა მოახლის განკარგულების უმალ და მის ხელზე დაყრდნობილმა რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა ბაღში. სადილად ძალით შეჭამა ქათმის ნაჭერი. ოც დეკემბრამდე ათი დღე რჩებოდა. ბალიონები ეუბნებოდნენ, საკმარისია ცოტა გაინძრეთ და მალე ფეხზე დადგებითო.

— ვერ იტყვი, ჯიუტობსო, — ეუბნებოდა ბალიონი თავის ცოლს, — ყველაფერს აკეთებს, რაც შეუძლია. ბატონმა ბერნარმა კარგად იცის, როგორ უნდა ავი ძაღლების გაწვრთნა. მშვენივრად მოგეხსენება, როდის უკეთებს ძაღლებს „ეკლიან საყელურს“. არცთუ ისე ბევრი დრო დასჭირდა, რომ ტერეზას ქედი მოედრიკა, მაგრამ სანდო მაინც არ არის.

ტერეზამ მართლაც მთელი ძალა მოიკრიფა, რომ გაეფანტა ოცნებანი, სულით დაცემულობა და ძილ-ბურანიდან გამორკვეულიყო. თავს აიძულებდა ეარა, ეჭამა და რაც მთავარია, სალი თვალით ეცქირა ხალხისა და საგნებისათვის. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს იმ ადგილას დაბრუნდა, რომელიც თვითონ გადაწვა, თითქოს ფეხით თელავდა ფერფლს და დამწვარ, გაშიშვლებულ, გაშავებულ ფიჭვებს შორის მიმოდიოდა.

იგი ემზადებოდა შესახვედრად, უნდა გაეღიმა ამ ოჯახის წევრებისათვის — თავისი ოჯახის წევრებისათვის.

18 დეკემბერს, დღის სამ საათზე ტერეზა თავის ოთახში იჯდა ბუხართან, თვალებდახუჭულს თავი სავარძლის ზურგისთვის მიეყრდნო. თუმცა არ წვიმდა, მაგრამ ღრუბლიანი დღე იდგა. ტერეზა უეცრად ავტომობილის გუგუნმა შეაკრთო. პარმაღიდან ბერნარის ხმა შემოესმა. ქალბატონმა დე და ტრავმა რაღაც უპასუხა. როდესაც აქოშინებულმა ბალიონის მოხუცმა მუღლემ დაუბრახუნებლად შეაღო ტერეზას ოთახის კარი, ქალი უკვე სარკის წინ იდგა და სახეზე ფერ-უმარილს ისვამდა.

— არ მინდა ის ყმაწვილი დავაფრთხო.

მაგრამ ბერნარი წინდაუხედავად მოიქცა, რომ მაშინვე ცოლთან არ ავიდა. დეგილემის ვაჟი მშობლებს შეჰპირდა, ას თვალს გამოვიბამო. ახლა კი დაასკვნა, ამგვარი უყურადღებობა ძლიერ დასაფიქრებელი ამბავიაო.

იგი განერიდა ანას, ტყავის საყელო აიწია და თქვა, რაც უნდა ეცადონ, ამ სოფლურ სასტუმრო ოთახებს მაინც ვერ გაათბობენო. შემდეგ ბერნარს მიუბრუნდა:

— ქვეშ სარდაფი ხომ არა გაქვთ? მაშინ, თუ დულაბის შუასადებს არ გაუკეთებთ, იატაკი დაგიღპებათ.

ანა დე და ტრავს ციყვის ბეწვის ქურქი ეცვა და ფეტრის სადა ქუდი ეხურა (ეს სადა ქუდები, ჩვენ რომ ვხმარობთ, იმ ბუმბულით გაწყობილ ქუდებზე უფრო ძვირი ღირს. რაც მართალია, ეს ფეტრი ძლიერ ლამაზია; ლეღაკას სახელოსნოში ამზადებენ, თუმც ნიმუშები რებუს ელუთვენის). ქალბატონი დე და ტრავი ცეცხლთან თავის ყელიან ფეხსაცმელს იშრობდა, მაგრამ მისი მბრძანებლური და მღელვარე სახე კარისკენ იყო მიქცეული. იგი დაჰპირდა შვილს: ჩემი იმედი იქონიე, არ შეგარცხვენო. თუმც კი გააფრთხილა:

— ნუ მთხოვ, რომ შეხვედრის დროს ვაკოცო! ამას დედაშენს ვერ მოსთხოვ. ისიც კი სამწუხაროა, რომ იგი ჩემს ხელს შეეხება, ღმერთმა ხომ იცის, რაოდენ საშინელი და დაუჯერებელი რამ მოიმოქმედა! არა, არც ეს მაღელვებს ისე ძლიერ. საზოგადოდ ცნობილია, რომ არიან ადამიანები, რომელთაც უნარი შესწევთ მკვლელობა ჩაიდინონ... მაგრამ მისი თვალთმაქცობა! აი, რა არის საშინელება! გახსოვს: დედა, აი, იმ სავარძელში დაჯექით, იქ უფრო კარგად მოეწყობითო... როგორ ირწმუნებოდა, ქალაქიდან ექიმს ნუ გამოვიძახებთ, არ მინდა, ბერნარი დავაშინოთო! საბრალო ბიჭი, ისე ეშინია სიკვდილის, თუ ექიმს გამოვიძახებთ, მაშინვე სულს განუტევებსო. იცის ღმერთმა, მაშინ ოდნავადაც არ მეპარებოდა ეჭვი მის მოქმედებაში. მაგრამ მისმა

ძლერსიანმა გამოთქმამ — „საბრალო ბიჭიო“ — ცოტა არ იყოს, გამაოცა...

ახლა არჟელუზის სასტუმრო ოთახში ქალბატონი დე ლა ტრავი ცდილობდა ჩაეკლა ის უხერხულობა, რასაც იქ მყოფნი განიცდიდნენ. მან შენიშნა, რომ დეგილემის ვაჟი გამომცდელი თვალით, მალულად შესცქეროდა ბერნარს და თავის შვილს უთხრა:

— ბერნარ, წასულიყავი ერთი და გენახა, როგორ გრძნობს თავს ტერეზა. იქნებ ცუდად შეიქნა.

ანამ (გულგრილად, თითქოს ყოველივე, რაც იქ ხდებოდა, მას სრულიადაც არ ეხებოდა) თქვა:

— გესმის ფეხის ხმა, აქეთ მოდის!

ბერნარმა ხელი გულზე მიიდო და იგრძნო, რაოდენ ძლიერ აუძგერდა. რა დიდი უგუნურობაა მის მხრივ, რომ წინადღით არ ჩამოვიდა, რათა შეხვედრის სცენა მოემზადებინა. რას იტყვის ტერეზა? ასეც მოსალოდნელია, იმგვარად შეარცხვინოს ოჯახი, რომ შემდგომ კეთა-ვითარ ბრალდებას ვერ წაუყენებს ადამიანი. რა ნელა ეშვება კიბეებზე!

ყველანი წამოდგნენ, კარს მიაჩერდნენ. კარი გაიღო და გამოჩნდა ტერეზა.

მრავალი წელი გავიდა მას შემდეგ და ბერნარი მაინც იგონებდა იმ წუთებს, როდესაც ამ დაძაბუნებული სხეულის გამოჩენისას, პატარა, გაფითრებული, ფერ-უმარილწასმული სახის დანახვისას თვალწინ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო წარმოუდგა. ეს ფიქრი ტერეზას მიერ ჩადენილი დანაშაულით არ იყო გამოწვეული. იმ წუთში მას „პტი პარიზიენიდან“[1] ამოჭრილი ფერადი სურათი მოაგონდა, რომელიც, სხვა მრავალრიცხოვან სურათებთან ერთად, არჟელუზის ბაღში მათი ფანჩატურის კედლებს ამშვენებდა. ბავშვობისას, ზაფხულის პაპანაქება დღეებში, როდესაც ირგვლივ კუტკალიები ჭრიჭინებდნენ, უყვარდა შესვლა ფანჩატურში და მწვანე და წითელი ფერით შეღებილ „პუატიეს ტყვე ქალის“ მზერა.

ასევე შესცქეროდა ახლა ტერეზას, სისხლნაკლულს, გამოფიტულს და თავის თავს ეუბნებოდა, ჭეშმარიტი უგუნურობა იყო, რადაც არ უნდა დაგვჯდომოდა, თავიდან რომ არ მოვიცილეთ ეს ქალი ასაფეთქებლად გამზადებული ჭურვის დარადო. ტერეზა, თავადაც რომ არ გრძნობდა, ისე იწვევდა დრამის შეგრძნებას — არა, გაცილებით უა-

---

1 პატარა პარიზელი — პარიზის პოპულარული გაზეთი.

რესს, ვიდრე დრამაა. იგი ან მსხვერპლი უნდა ყოფილიყო, ან ბოროტმოქმედი.

ტერეზას გამოჩენისას დე და ტრავების ოჯახის წევრებმა ისე ვულწრფელად გაიოცეს და ისეთი სიბრალულით დაუწყეს ქალს ცქერა, რომ დეგილემს დავთრები აებნა და აღარ იცოდა რა ეფიქრა.

ტერეზამ წარმოთქვა:

— ასე იმიტომ გავხდი, რომ უამინდობა ხელს მიშლიდა გარეთ გავსულიყავი და მადა დავკარგე. თითქმის არაფერს ვჭამდი. თუმცა სჯობია გახდე, ვიდრე გასუქდე. მოდი, ახლა შენზე ვისაუბროთ, ანა, მე ისეთი მოხარული ვარ...

მერე ანას ხელი აილო (იგი იჯდა, ანა იდგა) და დაკვირვებით მიაჩერდა. ტერეზას თითქოს დალარული სახიდან თვალები ისევ ძველებურად, დაჟინებით მისჩერებოდა. ეს მზერა მუდამ აღიზიანებდა ანას. მან თქვა:

— ასე დაჟინებით რას მომჩერებიხარ?

— მოხარული ვარ შენი ბედნიერების, ჩემო პატარა ანა! — მან ანას „გამბედნიერებელს", დეგილემის ვაჟს ღიმილით შეხედა, შემდეგ მზერა მის მოტიტვლებულ თავის ქალაზე, ულვაშებზე, შავ და ნაცრისფერ ზოლიან შარვალში გამოკვართულ სქელ ბარძაყებზე გადაიტანა. (მერე რა! ისეთივე მამაკაცია, როგორც ყველა მამაკაცი — ყველა ქმარი). ტერეზამ კვლავ ანას შეხედა და უთხრა:

— ქუდი მოიხადე... აი, ახლა უწინდებური ანა ხარ, ჩემო კარგო.

ანა მას ახლა ძლიერ ახლოს ხედავდა. მის ცოტათი აზიდულ ბაგეებს, მის მუდამჟამს ცივსა და გაყინულ თვალებს, რომელთათვისაც უცხო იყო ცრემლები. მაგრამ ვერ ამოეცნო, რას ფიქრობდა ტერეზა. დეგილემმა თქვა, ზამთარი სოფლად არც ისე საშინელია ქალისთვის; თუ მას უყვარს თავისი სახლი, შინ მუდამ ათასი საქმეა გასაკეთებელიო.

— მარიზე არაფერს მეკითხები?

— ჰო, მართლა, მიამბე რამე...

ანამ კვლავ უნდო, მტრული გამომეტყველება მიიღო. იგი დედამისივით თვლების განმავლობაში ერთსა და იმავე სიტყვებს იმეორებდა:

— ყველაფერს მივუტევებდი, რადგან, ბოლოს და ბოლოს, ავადმყოფი ქალია. მაგრამ არ შემიძლია ავიტანო მისი გულგრილობა ბავშვის მიმართ. რაც გინდათ, ისა თქვით და დედას, რომელიც არ ზრუნავს თავის შვილზე, ვერაფერს ვაპატიებდი. მე ის სულმდაბალ ადამიანად მიმაჩნია.

ტერეზა კითხულობდა ყმაწვილი ქალის გულის ნადებს: „ვძულვარ, რადგან თავიდანვე მარიზე არ დავუწყე საუბარი. როგორ ავუხსნა? სულ ერთია, მაინც ვერ მიხვდება, შინაგან სამყაროში ჩაფლული რაოდენ აღსავსე ვარ საკუთარი გრძნობებით. ანა მხოლოდ იმის მოლოდინშია, შვილები შეეძინოს, რომ შთაინთქას მათში, როგორც დედამისი და ოჯახის მოყვარული ყველა ქალი. მე კი მინდა ყოველთვის შევიგრძნობდე საკუთარ „მეს". მარად ვისწრაფი, რომ ვპოვო იგი. ჩვილის პირველსავე წამოტირებაზე, რომელსაც ჩასახავს ეს სერთუკიანი ქონდრისკაცი, ანა დაივიწყებს ყოველივეს, ჩვენს ყმაწვილქალობას და ჟან აზეველოს აღერსს. ჩვენი ოჯახის ქალებს უმაღლეს მიზნად თავისი საკუთარი, პირადი ცხოვრების დაგმობა მიაჩნიათ. სასახელოა გვარის გამგრძელებლისადმი თავის მსხვერპლად შეწირვა. მე ვგრძნობ ამ თავგანწირვის სიმშვენიერეს, მაგრამ... მაგრამ ეს ჩემს ძალ-ღონეს აღემატება".

ტერეზა შეეცადა ყური არ ეთხოვებინა მის ირგვლივ გამართული საუბრისათვის და მარიზე ეფიქრა. პაწია ალბათ უკვე ლაპარაკობს. „ეს მე მხოლოდ რამდენიმე წუთით შემიქცევდა, მაგრამ მალევე მომბეზრდებოდა. მინდა ჩქარა ჩემს საკუთარ თავთან დავრჩე".

იგი ანას მიუბრუნდა:

— პატარა მარი ალბათ კარგად ლაპარაკობს.

— ოჰ, რასაც გაიგებს, ყველაფერს იმეორებს. რომ იცოდე, რა სასაცილოა. საკმარისია მამალმა დაიყივლოს, ან ავტომობილმა დაიგუგუნოს, რომ მაშინვე ატიტინდება: „გესმის მუსიკა?" მშვენიერი, საყვარელი ანგელოსია!

ტერეზა ფიქრობდა: „ყური უნდა დავუგდო, რას ლაპარაკობენ ისინი... თავი სულ მთლად ცარიელი მაქვს.. რას ყვება დეგილემი?" მან თავს ძალა დაატანა და ყური მიუგდო.

— ჩემს ბალიზაკის ადგილ-მამულში ფისის გამომხდელნი ისეთი ყოჩაღები არ არიან, როგორც აქ. ისინი ოთხჯერ ხდიან, არჟელუზში კი შვიდჯერ და რვაჯერ.

— ფისი ასე ძვირად ფასობს და მაინც ზარმაცობენ?

— იცით თუ არა, რომ გამომხდელი ზოგჯერ დღეში ას ფრანკს გამოიმუშავებს?.. მაგრამ მგონი ჩვენი საუბრით დავღალეთ ქალბატონი დეკეირუ...

ტერეზა სკამის ზურგს თავით მიყრდნობოდა. ყველანი წამოიშალნენ, ბერნარმა გადაწყვიტა სენ-კლერში არ წასულიყო. დეგილემი შე-

ჰპირდა, ხვალ მანქანით ბარგს გამოგიგზავნითო. ტერეზამ სცადა წამოდგომა, მაგრამ დედამთილმა შეაჩერა.

ტერეზა თვალებდახუჭული უსმენდა მისი მეუღლე როგორ ეუბნებოდა ქალბატონ დე და ტრავს:

— ოჰ, ისეთ შავ დღეს დავაყრი ამ ბალიონებს, რომ სამუდამოდ დაამახსოვრდეთ.

— იცოდე, ღრმად არ შეტოპო, თორემ აღგებიან და მიგვატოვებენ. ეს კი რა ხელს მოგვცემს. ჯერ ერთი, მათ ბევრი იციან... შემდეგ... საჭირონი არიან აქ. ერთადერთი ბალიონია, ვინც იცის ჩვენი მამულების მიჯნა.

ბერნარის ნათქვამს ტერეზამ ყური ვერ მოჰკრა, მაგრამ გაიგონა დედამთილმა როგორ უპასუხა:

— მაინც ფრთხილად იყავი, ძლიერ ნუ მიენდობი. თვალყური ადევნე მის ყოველ მოძრაობას. სამზარეულოში და სასადილოში მარტო ნურასოდეს შეუშვებ... არა, გულწასული ნუ გგონია, ან სძინავს, ანდა თავს იმძინარებს.

ტერეზამ თვალები გაახილა: მის წინ ბერნარი იდგა ჭიქით ხელში.

— დალიეთ, ესპანური ღვინოა, ჯანზე მოგიყვანთ. — უთხრა მან.

როგორც ყოველთვის, ბერნარი იმას აკეთებს, რაც გადაწყვიტა. იგი სამზარეულოში შევიდა და მსახურებს დაუტია. ტერეზამ გაიგონა ბალიონის მოხუცი ცოლის გამყინავი ხმა და გაიფიქრა: „ცხადია, ბერნარს რაღაცის შეეშინდა, მაგრამ რისი?" ბერნარი კვლავ სასტუმრო ოთახში დაბრუნდა.

— ვფიქრობ, სასადილო ოთახში უფრო მადაზე მოხვალთ, უკვე ვუბრძანე სუფრა ისევ იქ გაგიშალონ.

ტერეზას წინ იმ წარსულ დღეთა ბერნარია, როდესაც სასამართლოში იყო მიცემული, ბერნარი-მოკავშირე, რომელიც ისწრაფოდა, რადაც უნდა დასჯდომოდა, გამოეხსნა იგი უბედურების ხლართებიდან, ამჟამად კი მას ცოლის გამოჯანმრთელება განუზრახავს. ცხადია რაღაც შიშმა შეიპყრო. ტერეზამ თვალი მიადევნა: ბერნარი გულმოდგინედ ჩხრეკდა ბუხარში ნაკვერჩხალს და თან ცეცხლს მისჩერებოდა, მაგრამ ქალი ვერასოდეს მიხვდება, რას ხედავდა ცეცხლის ალზე მიშტერებული ბერნარის დიდრონი თვალები; ეს იყო „პტი პარეზიენიდან" ამოჭრილი ფერადი სურათი: „პუატიეს ტყვე ქალი".

რამდენიც არ უნდა ეწვიმა, არჟელუზის ქვიშიან ნიადაგზე არც ერთი გუბე არ დგებოდა. შუა ზამთარში საკმარისი იყო მზეს ერთი საათით მაინც გამოენათებინა, რომ სრულიად გააშრობდა გზებს, რომელზედაც მოქნილი და მშრალი ფიჭვის წიწვები ხალიჩასავით ეფინა. ბერნარი მთელი დღეების განმავლობაში ნადირობას იყო გადაგებული, მაგრამ სადილობისას ყოველთვის ბრუნდებოდა და კითხულობდა, როგორ გრძნობდა თავს ტერეზა. ასე არასოდეს უზრუნია ცოლზე. მათ ურთიერთობაში ძალდატანება არ იგრძნობოდა. ბერნარი აიძულებდა ტერეზას დღეგამოშვებით აწონილიყო და დღეში მხოლოდ ორი პაპიროსის მოწევის უფლებას აძლევდა, ისიც ჭამის შემდეგ. მისი რჩევით ტერეზა ბევრს დადიოდა: სეირნობა მადაზე მოგიყვანსო, ხშირად ეუბნებოდა ცოლს.

არჟელუზი უკვე აღარ აშინებდა ტერეზას, მას ეჩვენებოდა, რომ ფიჭვებმა მისწი-მოსწიეს მწკრივები, გზას უთმობდნენ და ანიშნებდნენ, უკვე შეგიძლია გაქცევაო. ერთ საღამოს ბერნარმა უთხრა:

— გთხოვთ მადროვოთ ანას ქორწილამდე. მინდა კიდევ ერთხელ გვიხილონ ერთად. მერე თავისუფალი ხართ.

იმღამინდელი საუბრის შემდეგ ტერეზას აღარ მოუვიდა ძილი, მის სიხარულს საზღვარი არ ქონდა. თვალგახელილი იწვა გათენებამდე, სანამ მამლებმა ყივილი არ დაიწყეს. თითქოს მათი გადაძახილები ერთვოდნენ ერთმანეთს და ეს ძლიერი სიმღერა ცას და დედამიწას ეფინებოდა. ბერნარი თავისუფლად გაუშვებს, როგორც ოდესღაც გაუშვა გარეული ტახი, რომლის მოთვინიერებაც ვერ შეძლო. რაკი ანა გათხოვდება, მაშინ რაც უნდა ისა თქვას ხალხმა... ბერნარი პარიზში ჩაიყვანს ტერეზას, თვითონ კი იქაურობას გაეცლება. ასე შეთანხმდნენ. ოფიციალურად არ გაეყრებიან ერთმანეთს, უწინდებურად ცოლ-ქმრად ჩაითვლებიან. მისი არყოფნა ავადმყოფობის მიზეზით უნდა აიხსნას (იტყვიან, თავს მარტო მოგზაურობის დროს გრძნობს კარგადო). ბერნარი გაუგზავნის ხოლმე თავისი ტყიდან აღებულ თანხას ყოველწმიდის დღესასწაულზე.

ბერნარი არ ეკითხებოდა ტერეზას, როგორი გეგმები ჰქონდა და რას მოიმოქმედებდა შემდგომში. ვინდა თავიც ჩამოიხრჩოს, როდესაც მისი ცხოვრებიდან წავა!

— მე მხოლოდ მაშინ ამოვისუნთქებ თავისუფლად, როდესაც მა-

გას მოვიშორებ, — ეუბნებოდა დედას. ვფიქრობ, ქალიშვილობის გვარს დაიბრუნებს, თუმცა, თუ რაიმეს ჩაიდენს, სულ ერთია, მაინც მოგვძებნიან!

მაგრამ ბერნარი ირწმუნებოდა, ტერეზა სისულელეებს მხოლოდ მაშინ სჩადიოდა, როდესაც წინააღმდეგობას ხვდებოდაო. სჯობდა თავის ნებაზე მიეშვათ. ასეა თუ ისე, ბედი უნდა ეცადათ. ბატონი დაროკიც ამასვე ფიქრობდა. რაკი ყოველივე გაითვალისწინეს, რაც მოხდა, მათი აზრით იმაზე უკეთესი გამოსავალი არა იყო რა, ტერეზა გამქრალიყო. მაშინ მალე დავიწყებას მიეცემოდა ეს ამბავი და ხალხიც აღარ იჭორავებდა. ამ აზრმა ისე ძლიერ გაიდგა ფესვი მთელ ოჯახში, რომ ვერავითარი ძალა ვერ შეძლებდა მის ამოძირკვას. ტერეზა უეჭველად უნდა მოიცილონ თავიდან. რა მოუთმენლად ელოდნენ იმ დღეს!

ზამთარი მიიწურა. ტერეზას უყვარდა ეს უკანასკნელი სიშიშვლე მიწისა, ვიდრე გაზაფხული თავის სამოსელში გახვევდა ნიადაგს. მუხნარს ჯერ კიდევ შერჩენოდა შარშანდელი ფოთოლთა და გამხმარი საბურველი. ტერეზამ აღმოაჩინა, რომ არჟელუზის ის მდუმარება, რაც ზამთარში ასე მტანჯველად მოქმედებდა მასზე, უკვე აღარ არსებობდა. წყნარ ამინდშიც კი ტყე რაღაცას კვნესოდა, თითქოს ჩიოდა, ან ნანინას უმღეროდა თავის თავს და მთელი ღამე დაუსრულებლივ ჩურჩულებდა. იგი უკვე ხედავდა თავისი მომავალი ცხოვრების განთიადს, იმ ცხოვრებისას, რომლის ნათლად წარმოდგენა ჯერ არ შეეძლო. მარტო დარჩენილმა იქნებ სინანულითაც გაიხსენოს არჟელუზი, მამლების შეხმატკბილებული ყივილი გარიჟრაჟზე. გაახსენდება ზაფხული სოფელში, დღისით კუტკალიების კრუალი და ღამე ჭრიჭინობელას ჭრიჭინი. პარიზი.. არც ფიჭვნარი და არც თავზარდამცემი სიჩუმე... ცათაზიდული ხეების მაგიერ ხალხის ბრბოს წააწყდება.

ცოლ-ქმარს ანცვიფრებდა ის, რომ შეხვედრისას და საუბრის დროს არავითარ უხერხულობასა და სირცხვილს არ განიცდიდნენ. ტერეზა ფიქრობდა, შეიძლება შეეგუო იმ ადამიანებს, რომელთაც, იცი, მალე დასცილდებიო. ბერნარს აინტერესებდა რამდენს იწონიდა ტერეზა და ეკითხებოდა მისი მომავალი გეგმების შესახებ. ასე თავისუფლად არასოდეს ულაპარაკია ქმართან:

— პარიზი... როდის ვიქნები პარიზში.

ჯერ სასტუმროში იცხოვრებს, შემდეგ კი ბინასაც მოძებნის. იგი ოცნებობდა კურსებზე, ლექციებზე, კონცერტებზე, ემზადებოდა „სა-

ფუძვლიანი სწავლისათვის“. სადილის დროს ბერნარი აღარ უთვალთვალებდა. ყოველგვარი ფარული ეჭვების გარეშე სვამდა წვენს და ცლიდა ღვინის ჭიქას. როდესაც ექიმი პედმეი არჟელუზის გზაზე ბერნარსა და ტერეზას ერთად ხვდებოდა, ცოლს ეუბნებოდა:

— იცი, რაა საკვირველი? როდესაც მათ უცქერი, ვერავითარ შემთხვევაში ვერ მიხვდები, რომ მხოლოდ თვალთმაქცობენ.

## XIII

მარტის მცხუნვარე დილით, ათი საათისათვის, პარიზის ქუჩებს ხალხი ნაკადად მოსდებოდა. ისინი უკვე შესეოდნენ კაფე „მშვიდობის“ აივანს, სადაც ბერნარი და ტერეზაც ისხდნენ. ტერეზამ გადააგდო სიგარეტის ნამწვი და როგორც ლანდებში მაცხოვრებლებს სჩვევიათ, გულმოდგინედ ჩააქრო.

— შიშობთ, რომ ქვაფენილს ცეცხლი წაეკიდება?

ბერნარმა ნაძალადევად გაიცინა. იგი უკვე საყვედურობდა თავს, რომ ტერეზას პარიზში გაცილება მოისურვა. თუმცა, ანას ქორწილის შემდეგ, რა თქმა უნდა, ეს საჭიროც იყო ხალხის თვალის ასახვევად. უფრო კი ყმაწვილი ქალის სურვილს დამორჩილდა. ახლა იგი ფიქრობდა, რომ მის ცოლს ყალბი სიტუაციის შექმნის დიდი ნიჭი ჰქონდა. ვიდრე ტერეზა ჯერ კიდევ მის გვერდით ცხოვრობდა, არაერთხელ მოუწევდა დამორჩილებოდა მის ჟინს. ამ გადარეულ ქალს შეეძლო გავლენა მოეხდინა ისეთ დარბაისელ და ზომიერ ადამიანზეც კი, როგორიც იყო ბერნარი. აი, ახლა, განშორების ჟამს, მისი გული სევდასა და მწუხარებას მოეცვა. ბერნარისთვის ამგვარი გრძნობა უჩვეული იყო (მეტადრე ტერეზას მიმართ... ეს ხომ წარმოუდგენელი ამბავია...). ერთი სული ჰქონდა, როდის განთავისუფლდებოდა ყოველივე ამისგან! მხოლოდ სამხრეთისკენ მიმავალ მატარებელში თუ ამოისუნთქებდა თავისუფლად. ავტომობილი ამ საღამოს ლანგონში დაელოდება. თითქმის სადგურიდანვე იწყება ფიჭვთა მწკრივები ვილანდროში მიმავალ გზაზე... იგი მისჩერებოდა ტერეზას პროფილს, ქალი კი დაჟინებით, ჯიუტად შესცქეროდა ხალხის ბრბოში აღაღბედზე ამორჩეულ რომელიმე სახეს, ვიდრე იგი თვალს არ მიეფარებოდა.

უეცრად ბერნარმა თქვა:

— ტერეზა... მე მინდოდა მეკითხა თქვენთვის... — ბერნარმა გვერდზე გაიხედა, რადგან ვერ უძლებდა ხოლმე ცოლის მზერას და სწრაფად დასძინა: — მსურს გავიგო, იმის გამო ჩაიდინეთ, რომ გძულდით? თქვენში ზიზღს ვიწვევდი?

გაოცებული და განაწყენებული უგდებდა ყურს საკუთარ სიტყვებს. ტერეზას გაეცინა, შემდეგ სერიოზული გამომეტყველება მიიღო: როგორც იქნა! ძლივს! როგორც იქნა, ბერნარმა მისცა ის შეკითხვა, რასაც ტერეზა, მის ადგილზე რომ ყოფილიყო, მაშინვე დაუსვამდა. იქნე' ახლა გამოადგეს ნიზანის გზაზე მიმავალ ეტლში, სენ-კლერის პატ.რ. მატარებელში დიდი ხნის წინ მოსაზრებული აღსარება. იმ ღამეს დიდხანს იჩხრიკებოდა საკუთარ გულში, მოთმინებით ეძებდა მიზეზსა და იმ წყაროს, საიდანაც იშვა მისი დანაშაული. ეგებ საბოლოოდ მისი ტანჯვა-განცდა სათანადოდ იქნეს დაჯილდოებული. მან თვითონაც არ იცოდა, ბერნარის სულში როგორი ძრწოლა გამოიწვია. აი, ბერნარი მიმართავს მას, თითქოს მისთვის რაღაც გაუგებარია და ბუნდოვანი. მას უკვე აღარ ეჩვენება ყოველივე უბრალოდ... ნაკლებ მარტივია... მაშ, ნაკლებ უდრეკიც. ტერეზა შესცქეროდა ამ ახალ ბერნარს ლმობიერად და თითქმის დედობრივი გრძნობით. თუმცა მის პასუხში მაინც დაცინვა ჟღერდა:

— ნუთუ არ იცით, რომ ამის მიზეზი ტყეები და ქონება იყო? დიახ, მინდოდა მარტო მე ვყოფილიყავი მისი ბატონ-პატრონი.

ბერნარმა მხრები აიჩეჩა:

— ამაზე უკვე აღარ ვფიქრობ. რატომ ჩაიდინეთ? ახლა მაინც მითხარით.

ტერეზამ წინ გაიხედა. ძირს, ქვაფენილზე ღავასავით მოედინებოდა ხალხის ნაკადი. ერთი წუთის შემდეგ ტერეზაც გადაეშვება იმ წუმპეში. უეცრად, გარიჟრაჟის შორეულ სხივთა ციმციმივით, ტერეზამ წარმოიდგინა, როგორ დაბრუნდებოდა ლანდებში, განცალკევებულ და წყნარ კუთხეში, თვალწინ დაუდგა სურათი ჭეშმარიტი ცხოვრებისა, სადაც არჟელუზის ნალვლიან სიჩუმეში მისი სული დარჩენილ დღეებს თავის წვრთნასა, ფიქრსა და ღვთის ძიებაში გაატარებდა. ერთმა მაროკოელმა, რომელიც ხალიჩებითა და შუშის მძივებით ვაჭრობდა, იფიქრა, ტერეზა მე მიღიმისო და თავის საქონლიანად მიუახლოვდა. მაგრამ ტერეზას არც მიუხედია მისკენ, კვლავ დამცინავად თქვა:

— მინდოდა თქვენთვის მეპასუხა: მეც არ ვიცი, რატომ მოვიქე-

ცი-მეთქი ასე, ახლა წარმოიდგინეთ, მგონი, ვიცი! მინდოდა თქვენს თვალებში ამომეკითხა მოუსვენარი ცნობისმოყვარეობა და ძრწოლა, ერთი სიტყვით, ყოველივე ის, რაც ამ რამდენიმე წამის წინ შეგნიშნეთ.

ბერნარმა იმგვარი კილოთი ჩაიბუზღუნა, რომ ტერეზას მათი საქორწინო მოგზაურობა გაახსენდა:

— თქვენ მაინც არ იშლით თქვენსას. არა, სერიოზულად მითხარით, რატომ ჩაიდინეთ?

ტერეზა აღარ იცინოდა. ახლა მან ჰკითხა ბერნარს:

— ისეთმა ადამიანებმა, როგორიც თქვენა ხართ, ბერნარ, ყოველთვის იციან მიზეზი თავისი საქციელისა, არა?

— რა თქმა უნდა... ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეჩვენება.

— მე მინდა თქვენგან არაფერი დამალული არ დამრჩეს... რომ იცოდეთ, როგორ ვეწამე, ვცდილობდი ჩემს სულში ჩამეხედა და ყოველივე ნათლად დამენახა. გამიგეთ, საკმარისი იყო ჩემს გონებაში ჩამომეყალიბებინა ის ახსნა-განმარტებანი, რასაც თქვენთვის ვამზადებდი, რომ მაშინვე ცრუდ და ყალბად მეჩვენებოდა.

ბერნარი უკვე მოთმინებას კარგავდა:

— ბოლოს და ბოლოს, ხომ იყო დღე, როდესაც გადაწყვიტეთ... როდესაც პირველად გადადგით ასეთნაირი ნაბიჯი?

— დიახ, ეს ის დღე იყო, როცა მანოში ხანძარი გაჩნდა.

მათ ერთმანეთთან ახლოს მიიწიეს და დაბალი ხმით დაიწყეს საუბარი. პარიზის ამ გზაჯვარედინზე, სადაც მზის სხივები ათბობდ. და მონაბერი გრილი ნიავი უალერსებდა, რომელსაც ზღვის გაღმიდან თამბაქოთა სურნელება მოჰქონდა და წითელ-ყვითელ ფარდებს აფრიალებდა, ტერეზას უცნაურად ეჩვენებოდა გაეხსენებინა ეს სასტიკად სულშემხუთავი დღე, როდესაც შერუჯული ცის ტატნობი კვამლში და ჭვარტლში იყო გახვეული, ჰაერში დამწვარი ფიჭვის სუნი ტრიალებდა, მის მთვლემარე გულში კი ნელ-ნელა ღვივდებოდა ბოროტმოქმედება.

— აი, როგორ მოხდა: გახსოვთ, სასადილო ოთახში ვსაუზმობდით. როგორც ყოველთვის, შუადღის შემდეგ, სიბნელე ჩამოწოლილიყო. თქვენ ბალიონს ელაპარაკებოდით, სახე მისკენ გქონდათ მიბრუნებული და ჭიქაში ისე ასხამდით წვეთებს, არც კი ითვლიდით.

ტერეზა არ უცქეროდა ქმარს, დაძაბული ჰყვებოდა და ცდილობდა პატარა წვრილმანიც კი არ გამორჩენოდა. მაგრამ, როდესაც გაიგონა, რომ ბერნარი იცინოდა, შეხედა მას; დიახ, იგი, როგორც ყოველთვის, ახლაც სულელურად იცინოდა. მან წარმოთქვა:

— არა, მაინც ვინა გგონივართ!

ბერნარს არ სჯეროდა მისი (ნუთუ, რასაც ტერეზა ლაპარაკობდა, დასაჯერებელი იყო?). იგი იცინოდა და ქალმა კვლავ შეიცნო ბერნარი, თავის თავში დარწმუნებული ადამიანი, ვისაც, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ: „ადვილად ვერავინ გააბრიყვებდა". ბერნარმა კვლავ დაიოკა თავი. ტერეზას ფეხქვეშ ნიადაგი გამოეცალა. ქმარი დასცინოდა.

— მაშ, თქვენ ზეგარდმო ძალამ უეცრად შთაგაგონათ ეს აზრი?

ბერნარი სასტიკად ჯავრობდა თავის თავზე, რომ ტერეზას გამოკითხვა მოისურვა. ამით მოუსპო თავს ბედნიერება, ზიზღის გამომხატველი მდუმარებით დაესაჯა ეს გადარეული ქალი. დალახვროს ეშმაკმა! აი, უკვე ასწია თავი. რატომ აიტანა უცაბედად გაგების წყურვილმა? როგორ შეიძლებოდა ამ ქალის ბოდვიდან რაიმეს გაგება! თავად არ იცის, როგორ წამოსცდა. ეს დაუფიქრებლად მოუვიდა...

— მომისმინეთ, რას გეტყვით, ბერნარ, სულაც არ ვცდილობ დაგარწმუნოთ ჩემს უდანაშაულობაში. ამგვარი რამ გუნებაშიც არ გამივლია.

უცნაურმა სურვილმა შეიპყრო, ვინმეს წინაშე მსჯავრი დაედო თავისი თავისთვის. ვიდრე სამოქმედოდ ხელს გამოიღებდა, მსგავსად მთვარეულისა, მრავალი თვეების განმავლობაში გულში უნდა დაემწიფებინა ბოროტმოქმედი ზრახვანი. აკი პირველი ნაბიჯის გადადგმისთანავე ჯიუტად და მოუთმენელი სიშმაგით მიილტვოდა მიზნისკენ!

— მე მხოლოდ მაშინ მეჩვენებოდა თავი უღმობლად, როდესაც ხელი მიკანკალებდა და ვაგვიანებდი. არ მინდოდა თქვენი ტანჯვა გაგრძელებულიყო. მსურდა რაც შეიძლება მალე მივსულიყავი ბოლომდე. თითქოს მაშინ საშინელ ვალს ვიხდიდი, დიახ, ეს ვალისმაგვარი რამ იყო, რაიც გულზე დამწოლოდა.

ბერნარმა კვლავ შეაწყვეტინა:

— ეგ მხოლოდ ფრაზებია! პირველ და ბოლოს, უფრო მარტივად თქვით, რა გინდოდათ? მე თქვენი მოჩმახულისა არაფერი მჯერა.

— რა მსურდა? უფრო იოლი სათქმელი იქნებოდა ის, რაც არ მსურდა. არ მინდოდა მეთამაშა ის როლი, რასაც თავს მახვევდნენ, არ მინდოდა თქვენს ნებაზე გავრჯილიყავ, წარმომეთქვა მზა ფორმულები და ყოველ წუთში მეღალატა ჩემი თავისთვის, იმ ტერეზასთვის, ვინც... მაგრამ არა, ბერნარ... თქვენ ხედავთ, ჩემი მიზანია ვილაპარაკო მხოლოდ სიმართლე. მაგრამ რას უნდა მიეწეროს, რომ რასაც ახლა ვლაპარაკობ, ესოდენ ყალბად ჟღერს?

— ცოტა ხმადაბლა ილაპარაკეთ. იმ მამაკაცმა, წინ რომ ზის, ჩვენკენ მოიხედა.

სინამდვილეში ბერნარს სურდა ყოველივე ეს მალე დამთავრებულიყო. იგი კარგად იცნობდა ამ მანიით შეპყრობილს. მას აუცილებლად უნდოდა თავის სულში ჩიჩქნით დამტკბარიყო. ტერეზას ესმოდა, რომ ეს ადამიანი, რომელიც ერთ წუთში მისთვის მახლობელი შეიქნა, ისევ დასცილდა სამუდამოდ. მიუხედავად ამისა, მაინც სწყუროდა ბერნარს მოესმინა მისთვის. ტერეზა მომხიბლავად იღიმებოდა, ჩუმად, ხმაჩახლეჩით ლაპარაკობდა, ისე, როგორც ბერნარს უყვარდა.

— აი, რას გეტყვით, ბერნარ, ტერეზა, რომელიც ანგარიშმიუცემლად სრესს პაპიროსს, რომ მინდორში ხანძარი არ გააჩინოს, ტერეზა, რომელსაც უყვარს თავისი ფიჭვნარი და შემოსავლის დათვლა, ვისაც ეამაყება, რომ დეკუირუს მიჰყვება ცოლად და თავისი გვარის შერცხვენა არ სურს, თან როგორც პროვინციაში იტყვიან, უხარია რომ „კარგად მოეწყო“, ისევე რეალურია, ისევე ცოცხალია, როგორც მეორე ტერეზა. არა, არა, მე არ შემეძლო ის, პირველი, მსხვერპლად შემეწირა მეორისათვის.

— რომელი სხვა ტერეზა? ვერაფერი გამიგია.

ქალმა ამ კითხვაზე პასუხი ვერ მოახერხა. ბერნარმა საათს დახედა. ტერეზამ წარმოთქვა:

— ხანდახან საქმეების გამო მომიხდება დავბრუნდე შინ... მაროსაც ვნახავ...

— რა საქმეების გამო? მთელი ქონების განმგებელი მხოლოდ მე ვიქნები. ნუ დავუბრუნდებით იმას, რაშიც სამუდამოდ შევთანხმდით: მხოლოდ ოფიციალურ შემთხვევებში გეძლევათ გამოჩენის უფ-

ღება: ოჯახური ზეიმისა ან დაკრძალვის დროს, რაკი მარის საკეთილდღეოდ სჯობს ასეთ ვითარებაში ერთად ვენახონ. მადლობა ღმერთს, ისეთ მრავალრიცხოვან ოჯახს, როგორიც ჩვენია, არც ქორწილები მოაკლდება, არც დასაფლავება! სწორედ ამ გახსენებაზე, სულაც არ გამიკვირდება თუ ძია მარტინი შემოდგომამდე ველარ მიაღწევს. მაშინ გექნებათ კიდეც შემთხვევა ჩვენთან გამოჩნდეთ და მარიც ინახულოთ...

ცხენოსანმა პოლიციელმა ტუჩებთან სასტვენი მიიტანა და თითქოს უხილავი რაზი გადაიხსნა. ფეხოსანთა მთელი ლაშქარი ნიალვარივით მოაწყდა შავ ქვაფენილს, მერე ისევ ტაქსების ტალღამ გადაიარა. „ღამით სამხრეთის მინდვრებისკენ უნდა გავქცეულიყავი დაგერის მსგავსად. უნდა მევლო ტანდაბალ ფიჭვთა ტყეში. მთელი ის მწირი მხარე გამევლო. უნდა მევლო, ვიდრე ღონე გამომელეოდა... მე არ მეყოფოდა სიმამაცე დაგუნაში ჩამეყო თავი (როგორც გასულ წელს ერთმა არქეოლოგმა მწყემსმა ჩაიდინა, რომელსაც რძალი საჭმელს არ აძლევდა), უნდა დავწოლილიყავი ქვიშაზე და მეცადა... დიახ, ამას კი, მგონი, შევძლებდი, მაგრამ ყვავებმა და ჭიანჭველებმა მოცდა არ იციან...

ტერეზა უმზერდა ნიალვარივით მიმავალ ხალხს, იმ მოძრავ მასას, რომელიც მალე მასაც ჩაითრევდა და გაიტაცებდა. დიახ, მხოლოდ ესღა დარჩენოდა.

— თერთმეტს თხუთმეტი წუთი უკლია, დროა დავბრუნდე სასტუმროში.

— გზაზე არ დაგცხებათ.

— არა მგონია, ავტომობილში საღამოს შეიძლება ჩათბუნებაც კი მომიხდეს.

ტერეზამ გონების თვალით წარმოიდგინა ის გზა, რომელსაც გაივლის ბერნარი. გრილი ქარი დაუბერავს სახეზე. ქარი, რომელსაც თან მოაქვს ჭაობის, ფისის, გამხმარი ბალახის, პიტნისა და ნისლის სურნელება. იგი უცქეროდა ბერნარს იმგვარი ღიმილით, რაც ოდესღაც

სენ-კლერის ქალებს აიძულებდათ ეთქვათ: ტერეზას მომხიბვლელობა მეტი აქვს, ვიდრე სილამაზეო. ბერნარს რომ ეთქვა: გაპატიებ, წავიდეთ სახლშიო, იგი წამოდგებოდა და გაჰყვებოდა. მაგრამ ბერნარს ჯავრი მოსდიოდა, რომ თავი ვერ შეიკავა და გული აუჩვილდა; მერე კვლავ მოიქუფრა, შეეშინდა ზედმეტი სიტყვებისა და მოძრაობის, ყოველდღიური საუბრის ჩარჩოებს რომ სცილდება. ბერნარს სწყუროდა ჩამდგარიყო კალაპოტში, რამეთუ იგი უკვე ნაღვლობდა იმ „კალაპოტის" გამო, რომელსაც იმ საღამოს კვლავ ჰპოვებდა სიმშვიდისა და სიწყნარის სახით სენ-კლერის სასადილო ოთახში.

— მე მინდა უკანასკნელად გთხოვოთ პატიება, ბერნარ! — ტერეზამ ეს სიტყვები მეტად საზეიმო გამომეტყველებით წარმოთქვა, რადგან საუბრის გაგრძელების უკანასკნელი იმედი დაკარგა. ბერნარმა შეაწყვეტინა:

— დავანებოთ ამას თავი, ტერეზა.

— ჩემი გულისთვის მარტოდმარტო რჩებით. გვერდით არ გეყოლებით, მაგრამ თქვენს ცხოვრებაში მაინც გარკვეულ ადგილს დავიჭერ. თქვენთვის უმჯობესი იქნებოდა მოვმკვდარიყავი.

ბერნარმა ოდნავ აიჩეჩა მხრები და მხნედ სთხოვა ტერეზას, ჩემზე ნუ ინაღვლებო.

— დეკეირუს ყოველ თაობას თავისი ბერბიჭა ჰყავს! როგორც ჩანს, ახლა მე მხვდა წილად ვყოფილიყავი მათი შემცვლელი. ამ როლისთვის სწორედ რომ ზედგამოჭრილი ვარ. (ხომ არ უარყოფთ?) სამწუხაროა, რომ ქალიშვილი მყავს და არა ვაჟიშვილი. გვარის გამგრძელებელი არ მეყოლება. მაგრამ ერთადაც რომ გვეცხოვრა, მაინც არ მოვისურვებდით მეორე ბავშვის ყოლას... საერთოდ, ყველაფერი რიგზეა.... ნუ გამაცილებთ... დარჩით აქ.

მერე ტაქსი გააჩერა. ერთი წუთით მიუბრუნდა ტერეზას, რათა შეეხსენებინა, ანგარიში უკვე განაღდებულიაო.

ტერეზა დიდხანს უმზერდა ბერნარის ჭიქის ფსკერზე ჩარჩენილ პორტვეინს. შემდეგ კვლავ მიმავალი ხალხის თვალიერება დაიწყო. ზო-

ვიერთნი ბოლთასა სცემდნენ, ეტყობოდათ ვიღაცას უცდიდნენ. ერთმა ქალმა ორჯერ მოხედა ტერეზას და გაუღიმა (ნეტავი მუშა იყო თუ მუშის ტანსაცმელში გამოწყობილი?). ეს ის დრო იყო, როდესაც სამკერვალო სახელოსნოები ცარიელდება. ტერეზას არც უფიქრია აქედან წასვლა. იგი არ იყო მოწყენილი, არავითარ ნაღველს და შმუნვას არ განიცდიდა. გადაწყვიტა, ჟან აზეველოსთან დღეს არ მისულიყო და თავისუფლად ამოისუნთქა. არ ისწრაფოდა მის ნახვას. საუბრისა და ახსნა-განმარტების თავი აღარ ჰქონდა. იგი იცნობდა ჟან აზეველოს, სხვებს კი, რომელთა წრეში მოხვედრაც აგრერიგ სწყუროდა მის სულს, ტერეზა არ იცნობდა. მხოლოდ ერთში იყო დარწმუნებული. ისინი არ მოსთხოვდნენ ახსნა-განმარტებას. უკვე აღარ აშინებდა მარტოობა. იქ, მინდორში, უძრავად რომ გაშოტილიყო, მყის ჭიანჭველები, ძაღლები, ყვავები დაეხვეოდნენ. აქაც იდუმალი საშიშროება ელოდა. ირგვლივ ყოველივე მღელვარებდა და დრტვინავდა, რაც მორევის ტრიალს წააგავდა. შიმშილი იგრძნო და წამოდგა. პირდაპირ ძველებური ყაიდის ინგლისურ სარკეში მისი სხეული აირეკლა. საგზაო ტანსაცმელი მეტად მოხდენილად ედგა და ძლიერ უხდებოდა, მაგრამ არჟელუზში გადატანილი ავადმყოფობის შემდეგ სახე გადაქანცული მოუჩანდა... წამოწეული ლაწვები, მოკლე ცხვირი... ტერეზა სარკეში იყურებოდა და ფიქრობდა, ასაკი არ მემჩნევაო. მან სამეფო ქუჩაზე ისაუზმა (როგორც ხშირად ოცნებობდა ხოლმე). რატომ დაბრუნდეს სასტუმროში, თუ არა სურს? ნახევარი ბოთლი პუიის ღვინისგან სხეულში სასიამოვნო ჟრჟოლა უვლიდა. სიგარეტი მოითხოვა. მეზობელი მაგიდიდან ვიღაც ახალგაზრდა მამაკაცმა ასანთი შესთავაზა. ტერეზამ ღიმილით გადაუხადა მადლობა. წარმოიდგინეთ, იყო წუთები, როდესაც სურვილი ჰქონდა ბერნართან ერთად მჯდარიყო ავტომობილში ვილანდროს ფიჭვთა შორის მიმავალ პირქუშ გზაზე. რატომ უნდა უყვარდეს ადამიანს ერთი და იგივე ადგილი? ფიჭვი თუ ნეკერჩხალი, ზღვა თუ ტრამალები, განა სულ ერთი არ არის? ქალს ახლა მხოლოდ ხორციელი არსებანი აინტერესებდა. „არა, მე არ მინდა არც ლექციები, არც მუზეუმები, არც ქვის ქალაქი, მე ცოცხალი, მღელვარე, მოძრავ ადამიანთა ტევრი მიტაცებს, სა-

დაც ბობოქრობენ ვნებები, ვერავითარი ქარიშხალი რომ ვერ შეედრება. არქეელუზის ფიჭვთა კვნესა, ღამის გამოძახილები მხოლოდ იმიტომ მაღელვებდა, რომ მასში რაღაც იყო ადამიანური".

ტერეზამ ცოტა ღვინო შესვა, ბევრს ეწეოდა. ბაგეზე ბედნიერი ღიმილი დასთამაშებდა. ლაწვებზე და ტუჩებზე ფერი გადაისვა, შემდეგ ქუჩაში გავიდა, ბრბოს შეერია და ადაღბედზე გასწია.

რედაქტორი მ. იორდანიშვილი
მხატვარი ი. დივნაგორცევა-გრიგოლია
მხატვრული რედაქტორი აკ. თევზაძე
ტექნიკური რედაქტორი ნ. აფხაზავა
კორექტორი დ. ცინცაძე
გამომშვები ნ. ჩხეტიანი

ს. ბ. 4340

გადაეცა წარმოებას 26.05.86. ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.12.86.
საბეჭდი ქაღალდი № 1. $60 \times 84^{1}/_{16}$. გარნიტური იბერია. ბეჭდვის ხერხი მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 6,28. პირ. საღ. გატ. 6,51.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,29.
ტირაჟი 20000. შეკვ. № 1561.
ფასი 55 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

380060, ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას პრ. მედქალაქი.
II სასწ. კორპ., საქ. სსრ გამსახკომის № 4 სტამბა.
380060, г. Тбилиси, пр. Важа-Пшавела, Медгородок,
II учеб. корп., Типография № 4 Госкомиздата Груз. ССР.

## „საბჭოთა საქართველომ"
## გამოსცა

პ. მერიმე, „შარლ მეცხრის მეფობის ქრონიკა".
ტ. დერი, „საყვარელო ბოპერ!".
ა. კრისტი, „სიკვდილი ღრუბლებში", „დანიშნულების ადგილი უცნობია".
მოძმე რესპუბლიკების პოეზია, ლატვიელი საბჭოთა პოეტები.
ა. ისაევ-ავარსკი, „გზა მშვიდობისა" (ლექსები).